

იმპერიის მარცხი

იმპერიული რუსეთი, "ეროვნული" იდენტობა, და იმპერიის თეორიები

მაშინ, როცა რუსეთის მომავლის წარმოსადგენად რუსმა პოლიტიკოსებმა ხელახლა დაიწყეს ტერმინ *Держава*-ს (დიდი ძალა) გამოყენება, დასავლელმა მწერლებმა "იმპერიის" მეტაფორა გააცოცხლეს, რათა ყოფილი საბჭოთა კავშირი და თვით პოსტსაბჭოთა რუსეთი აღეწერათ.¹ ადრე ტერმინ "იმპერიას" სსრკ-სა და მის დაქვემდებარებაში მყოფ აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოებს შორის ურთიერთობის ან, მოსკოვისა და არარუსი ხალხების შიდა ურთიერთობის აღსაწერად იყენებდნენ, რაც ცალმხრივ კონოტაციას ატარებდა და მკითხველს ეროვნული პოლიტიკის კონსერვატიულ, ანტისაბჭოთა ინტერპრეტაციაზე მიუთითებდა.² რონალდ რეიგანის მიერ სსრკ-ს „ბოროტების იმპერია“ მოხსენიების შესაბამისად, „იმპერიას“ უწოდებდნენ სახელმწიფოებს, რომლებიც შინ — რეპრესიულად და გარეთ — ექსპანსიურად მიიჩნეოდნენ. მაგრამ, 1980-იანი წლების ბოლოს, საბჭოთა კავშირში ნაციონალისტური და სეპარატისტული მოძრაობების აღზევებასთან ერთად, ტერმინი უფრო ფართოდ გამოიყენებოდა, როგორც მრავალეროვნული სახელმწიფოს კონკრეტული ფორმის, ერთი შეხედვით, გამჭვირვალე, ემპირიული აღწერა.³ როგორც პოლიტოლოგმა მარკ რ. ბაისინჯერმა აღნიშნა, „ის, რაც ადრე სტანდარტულად სახელმწიფოდ მოიხსენიებოდა,

¹ *Держава* გენერალ ალექსანდრ რუცკოის პოლიტიკური ორგანიზაციის სახელია, და რუსეთის ფედერაციის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელის, გენადი ზიუგანოვისა და ერთ-ერთი ნაციონალისტური პარტიის პრეზიდენტობის კანდიდატის, გენერალი ალექსანდრ ლებედის წიგნი დასათაურებულია, როგორც *За державу обидно* (დიდი ძალისთვის სამარცხვინოა).

² მაგალითად, იხ. G. P. Fedotov, "Sud'ba imperii," in *Novyi grad: Sbornik statei* (New York: Izdatel'stvo imeni Chekhova, 1952); Olaf Caroe, *Soviet Empire* (London: Macmillan, 1953, 1967); Albert Herling, *The Soviet Slave Empire* (New York: Funk, 1951); U.S. Library of Congress, Legislative Reference Service, *The Soviet Empire: Prison House of Nations and Races* (Washington, D.C.: U.S. Government Printing Office, 1958); Walter Kolarz, *Russia and Her Colonies* (London: George Philip and Son, 1952); George Gretton, ed., *Communism and Colonialism: Essays by Walter Kolarz* (London: Macmillan, 1964); Helene Carriere d'Encausse, *Decline of an Empire* (New York: Newsweek Books, 1979); და Robert Conquest, ed., *The Last Empire: Nationality and the Soviet Future* (Stanford, Calif: Hoover Institution Press, 1986).

³ ნაწილობრივი სია მოიცავს: David Pryce-Jones, *The Strange Death of the Soviet Empire* (New York: Metropolitan, 1995); Kristian Gerner, *The Baltic States and the End of the Soviet Empire* (London: Routledge, 1993); David Remnick, *Lenin's Tomb: The Last Days of the Soviet Empire* (New York: Random House, 1993); Sanford R. Lieberman ed., *The Soviet Empire Reconsidered: Essays in Honor of Adam B. Ulam* (Boulder: Westview Press, 1994); Jack F. Matlock, *Autopsy on an Empire: American Ambassador* (New York: Random House, 1995); Robert Cullen, *Twilight of Empire: Inside the Crumbling Soviet Union* (New York: Atlantic Monthly Press, 1991); John B. Dunlop, *The Rise of Russia and the Fall of the Soviet Empire* (Princeton, N.J.: Princeton University Press, 1993); Neil Felshman, *Gorbachev, Yeltsin and the Last Days of the Soviet Empire* (New York: St. Martin's, 1992); Marco Buttino, ed., *In a Collapsing Empire: Underdevelopment, Ethnic Conflicts and Nationalisms in the Soviet Union* (Milano: Feltrinelli, 1993); G. R. Urban, *End of Empire: The Demise of the Soviet Union* (Washington, D.C.: American University Press, 1993); Richard L. Rudolph and David F. Good, eds., *Nationalism and Empire: The Habsburg Empire and the Soviet Union* (New York: St. Martin's, 1992); და Ryszard Kapuscinski, *Imperium* (New York: Knopf, 1994).

უეცრად საყოველთაოდ დაიგმო, როგორც იმპერია“.⁴ მიუხედავად იმისა, რომ თავიდან ყოველგვარი თეორიზებისგან დაცლილი იყო, "საბჭოთა იმპერიის" ცნება გულისხმობდა სახელმწიფოს, რომელმაც ლეგიტიმაცია დაკარგა და ჩამოშლისთვის იყო განწირული. ექსპანსიის ნაცვლად, მოსალოდნელი იყო იმპლოზია. ბეისინჯერმა ამ იარლიყის წრიულ ხასიათზე მიუთითა: "ახლა საერთო კონსენსუსი თითქოს ასეთია — საბჭოთა კავშირი იმპერია იყო და ამიტომ დაიშალა. თუმცა, მას ასევე ხშირად იმპერიად სწორედ იმიტომ მოიხსენიებენ, რომ დაიშალა."⁵ ლეგიტიმურობის ნაკლებობისა და დაშლისადმი მიდრეკილების გაგება იმპერიული მეტაფორის ნაწილია, მაგრამ მათ, ვინც იკვლევენ ელცინის რუსეთის პოლიტიკას ე.წ. ახლო საზღვარგარეთის მიმართ, ბოლო წლებში კვლავ დაიწყეს „იმპერიის“ ცნების მისი თავდაპირველი, ექსპანსიონისტური მნიშვნელობით გამოყენება.

როგორც არ უნდა ყოფილიყო იმპერიის ახსნის ან პროგნოზირების შესაძლებლობა, ეს ცნება დომინანტური მეტაფორაა კონფერენციების სერიების, მთელი რიგი პროექტებისა და ჟურნალებში მიმდინარე დებატებისთვის.⁶ იმავდროულად, როცა მკვლევრები თავდაჯერებულნი პროგნოზირებენ იმპერიების ეპოქის დასასრულს, მათ გადაშენებულ სახეობათა შედარებითი კვლევების ახალი მზარდი ინდუსტრია აღმოაჩინეს. ეს თავი იმპერიას განიხილავს პრობლემად სახელმწიფოთა შიდა მშენებლობისთვის, როგორცაა, მაგალითად, კონტინენტური სახელმწიფო იმპერიები [contiguous state empires]. ასეთი სახელმწიფოები შედარებით და თეორიულ ლიტერატურაში გაცილებით ნაკლებადაა განხილული, ვიდრე საზღვაო [overseas] კოლონიური იმპერიები. სახელმწიფოს შენარჩუნების, ლპობისა და დაშლის პრობლემებს ერებისა და იმპერიების ურთიერთქმედების პრიზმით ვუყურებ და ვამტკიცებ, რომ იმპერიის გაგება ისტორიულ კონტექსტუალიზებას მოითხოვს, ვინაიდან იმპერიის სიცოცხლისუნარიანობა დაკავშირებულია ლეგიტიმაციის ქმედით დისკურსებთან და საერთაშორისო გარემოსთან, სადაც იმპერიები არსებობენ. ამ თავში, უპირველესად განვიხილავ იმპერიის გადარჩენის, ლპობისა და ჩამოშლის თეორიებს, რომლებიც, იმედი მაქვს, გარკვეულწილად, დაგვეხმარება, გავიგოთ რუსული და საბჭოთა იმპერიების დინამიკა

⁴ Mark R. Beissinger, "The Persisting Ambiguity of Empire," ჟურნალში Post-Soviet Affairs 11, no. 2 (April-June 1995): გვ. 155.

⁵ იქვე.

⁶ მათ შორის იყო: "Great Power Ethnic Politics: The Habsburg Empire and the Soviet Union," რომელიც გაიმართა ავსტრიის კვლევების ცენტრში, მინესოტას უნივერსიტეტში 26—28 აპრილს, 1990, რომელიც გამოქვეყნდა რუდოლფის და გუდის ტომში, ციტირებული n. 3; SSRC ვორკშოპიდან, "The End of Empire: Causes and Consequences," at the Harriman Institute, Columbia University, November 20-21, 1994, და შემდეგი პუბლიკაციები, Karen Barkey and Mark von Hagen, eds., *After Empire: Multinational Societies and Nation-Building: The Soviet Union and the Russian, Ottoman, and Habsburg Empires* (Boulder, Colo.: Westview Press, 1997); და კონფერენცია, "The Disintegration and Reconstitution of Empires: The USSR and Russia in Comparative Perspective," held at the University of California, San Diego, January 10—12, 1996, რომელიც გამოქვეყნდა კარენ დევიზასა და ბრიუს პაროტის შედგენილ კრებულში, *The End of Empire? The Transformation of the USSR in Comparative Perspective* (Armonk, N.Y.: Sharpe, 1997). ამ საკითხზე დებატების გასაცნობად, იხ. Mark R. Beissinger, "The Persisting Ambiguity of Empire"; და რონალდ გრიგორი სუნის პასუხი, "Ambiguous Categories: States, Empire and Nations," *Post-Soviet Affairs* n, no. 2 (April-June 1995): 185-196. ასევე, იხ. Dominic Lieven, *Empire: The Russian Empire and Its Rivals* (London: Murray, 2000).

და ნგრევა. შემდეგ, გამოვიყენებ იმპერიისა და ერის იდეალურ ტიპებს, რათა უკეთ გავიგოთ ცარისტული იმპერიის სტრუქტურა, ევოლუცია და მარცხი შეექმნა სიცოცხლისუნარიანი „ეროვნული“ იდენტობა. გარკვეული განმარტებებით დავიწყებ.

სხვადასხვა სახის ისტორიულად არსებულ პოლიტიკურ თემსა და ერთეულს შორის, იმპერიები ყველაზე გავრცელებული იყო, და ბევრი თვალსაზრისით, თანამედროვე ბიუროკრატიული სახელმწიფოს წინამორბედიც. ისტორიკოსმა ენტონი პეგდენმა ევროპულ დისკურსებში იმპერიის სხვადასხვა მნიშვნელობა მოიძია. კლასიკურ ეპოქაში თავისი თავდაპირველი მნიშვნელობით, imperium აღნიშნავდა რომაელი მაგისტრატების აღმასრულებელ ხელისუფლებას, ხოლო მოგვიანებით, ამ სიტყვამ "არაქვემდებარე ძალის" მნიშვნელობა შეიძინა. ასეთი გამოყენება გვხვდება მაკიაველის „მთავარის“ პირველ სტრიქონში: „ყველა სახელმწიფო, ყოველგვარი მმართველობა, რომლებსაც ჰქონდათ და აქვთ ადამიანებზე იმპერია...“⁷ XVI საუკუნისათვის იმპერიამ მიიღო სტატუსის, სახელმწიფოს, პოლიტიკური ურთიერთობების მნიშვნელობა, რომელიც ადამიანთა ჯგუფებს გაფართოებულ სისტემაში უყრიდა თავს, მაგრამ რომაელთა დროიდან მოყოლებული ის უკვე ატარებდა იმპერიის, როგორც უზარმაზარი სახელმწიფოს, „გაფართოებული ტერიტორიული მმართველობის“ ერთ-ერთ თანამედროვე მნიშვნელობას.⁸ დაბოლოს, „[ავგუსტუსის დროიდან] იმპერატორობაზე პრეტენზია გულისხმობდა ხარისხს, და საბოლოოდ ძალაუფლების ტიპს, რომელიც უზრალო მეფეებისთვის მიუწვდომელი იყო“.⁹ აბსოლუტური ან ავტოკრატიული მმართველობა მაშინ იმპერიასთან იყო გაიგივებული, იმ იდეასთან ერთად, რომ იმპერია გულისხმობდა „ერთი ხელისუფლების ქვეშ ტერიტორიების მრავალფეროვნებას“.¹⁰ პეგდენი ხაზს უსვამს ამ დისკურსული ტრადიციების გამძლეობას. ტერმინ imperium-ის სამივე მნიშვნელობა — როგორც შეზღუდული და დამოუკიდებელი ან "სრულყოფილი" მმართველობა; როგორც ტერიტორია, რომელიც ერთზე მეტ პოლიტიკურ საზოგადოებას მოიცავს; და როგორც ერთი ინდივიდის აბსოლუტური სუვერენიტეტი — XVIII საუკუნის ბოლომდე შემორჩა და ზოგჯერ შემდეგაც გვხვდება. სამივე მნიშვნელობა, ძირითადად, რომის იმპერიის დისკურსული პრაქტიკებიდან მოდის და, უფრო ნაკლებად, ათენისა და მაკედონიის იმპერიებიდან.¹¹ მეტიც, იმპერია დაკავშირებული იყო „ერთი ექსკლუზიური მსოფლიო სამფლობელოს ცნებასთან“, როგორც რომაულ ხანაში, ისე მოგვიანებით, ხოლო დიდ ევროპულ საზღვაო იმპერიებს, განსაკუთრებით ესპანეთის იმპერიას, არასდროს მიუტოვებიათ „უნივერსალიზმის ეს მემკვიდრეობა, რომელიც საუკუნეების განმავლობაში ვითარდებოდა და მყარდებოდა ძლიერი და განსწავლული ელიტების მიერ“.¹²

⁷ Anthony Pagden, *Lords of All the World: Ideologies of Empire in Spain, Britain, and France, c. 1500-c. 1800* (New Haven, Conn.: Yale University Press, 1995), გვ. 12.

⁸ იქვე, გვ. 15.

⁹ იქვე.

¹⁰ იქვე, გვ. 16.

¹¹ იქვე, გვ. 17.

¹² იქვე, გვ. 27-28.

მართალია, სოციოლოგები მგრძნობიარენი იყვნენ იმპერიასთან დაკავშირებული ბევრი ისტორიული მნიშვნელობის მიმართ, მაგრამ მაინც ცდილობდნენ იმპერია პოლიტიკური ურთიერთობების ვიწრო ჭრილში დაენახათ. მაიკლ დოილის განმარტება — "იმპერია ... არის ურთიერთობა, ფორმალური თუ არაფორმალური, რომელშიც ერთი სახელმწიფო პრაქტიკულად აკონტროლებს სხვა პოლიტიკური საზოგადოების [polity] პოლიტიკურ სუვერენიტეტს" — უკიდურესად სასარგებლოა, მიუხედავად იმისა, რომ ის თითქმის მხოლოდ საზღვაო იმპერიებს მიესადაგება.¹³ შემდგომში ის ამტკიცებს, რომ იმპერია არის "ორ პოლიტიკურ სუბიექტს შორის ურთიერთქმედების სისტემა, რომელთაგან ერთი, დომინანტური მეტროპოლია, პოლიტიკურად აკონტროლებს დაქვემდებარებული პერიფერიის შიდა და გარე პოლიტიკას — პრაქტიკულ სუვერენიტეტს".¹⁴ ჯონ არმსტრონგი, ასევე, საუბრობს იმპერიაზე, როგორც „რთულ პოლიტიკურ ერთეულზე, რომელსაც მცირე პოლიტიკური ერთეულები აქვს შეთვისებული".¹⁵ ჩემი მიზნებისთვის, კონტინენტური [contiguous] იმპერია-სახელმწიფოების განხილვისას, რომლებიც თავის თავში სულაც არ მოიცავენ სახელმწიფოებს, პოლიტიკური საზოგადოება უფრო ფართოდ უნდა განისაზღვროს, ვიდრე უბრალოდ სახელმწიფოდ.¹⁶

ვეთანხმები არმსტრონგსა და დოილს და იმპერიას განვსაზღვრავ, როგორც ბატონობის ან კონტროლის გარკვეულ ფორმას ორ ერთეულს შორის, რომლებიც გაყოფილია იერარქიული და უთანასწორო ურთიერთობით. უფრო სწორედ, კომპოზიტურ სახელმწიფოდ, სადაც მეტროპოლია ბატონობს პერიფერიაზე და ამ უკანასკნელს არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს. იმის ნაცვლად, რომ იმპერიები და იმპერიალიზმი (იმპერიების მშენებლობა და შენარჩუნება) პოლიტიკურ ერთეულებს შორის ურთიერთობებზე დავიყვანო, იმპერიალიზმის განმარტებას განვაგრძობ, როგორც მიზანმიმართულ ქმედებებს ან პოლიტიკას, რომლებიც ხელს უწყობს სახელმწიფოს გაფართოებას ან შენარჩუნებას იმ მიზნით, რომ პირდაპირ ან არაპირდაპირ გაიზარდოს პოლიტიკური ან ეკონომიკური კონტროლი ნებისმიერ დასახლებულ ტერიტორიაზე, რაც გულისხმობს მისი მაცხოვრებლების არათანაბარ მოპყრობას საკუთარ მოქალაქეებთან ან ქვემეგრდომებთან შედარებით. დოილის მსგავსად, ხაზს ვუსვამ, რომ იმპერიული სახელმწიფო განსხვავდება მრავალეროვნული სახელმწიფოების, კონფედერაციების ან ფედერაციების უფრო ფართო კატეგორიისგან იმით, რომ ის "არ არის მოწყობილი საზოგადოებებსა და ინდივიდებს შორის პოლიტიკური თანასწორობის საფუძველზე. იმპერიის სამფლობელო ხალხია, რომელიც უთანასწორო მმართველობასა და ქვემდებარებული".¹⁷ ყველა მრავალეროვნული, მულტიკულტურული ან მულტირელიგიური სახელმწიფო არ არის აუცილებლად იმპერია,

¹³ Michael W. Doyle, *Empires* (Ithaca, N.Y.: Cornell University Press, 1986), გვ. 45.

¹⁴ იქვე, გვ. 12.

¹⁵ John A. Armstrong, *Nations before Nationalism* (Chapel Hill: University of North Carolina Press, 1982), გვ. 131.

¹⁶ Doyle, *Empires*, გვ. 45.

¹⁷ იქვე, გვ. 36

მაგრამ იქ, სადაც განსხვავებები რჩება და მოპყრობა უთანასწოროა, მაგალითად, ეთნიკურად განსხვავებული ტერიტორიებზე, მაშინ ურთიერთობა იმპერიულია. არათანაბარი მოპყრობა შეიძლება მოიცავდეს კულტურული ან ლინგვისტური დისკრიმინაციის ფორმებს ან პერიფერიიდან მეტროპოლიამდე არახელსაყრელი გადანაწილების პრაქტიკას (მაგრამ არა აუცილებლად, როგორც, მაგალითად, საბჭოთა იმპერიაში). მაშასადამე, იმპერიის იდეალური ტიპი ძირეულად განსხვავდება იდეალური ეროვნული სახელმწიფოსგან. მაშინ, როცა იმპერია უთანასწორო მმართველობაა რაღაც განსხვავებულზე, ეროვნული სახელმწიფოს მმართველობა, ყოველ შემთხვევაში, თეორიულად მაინც, თუ ყოველთვის პრაქტიკაში არა – ერთნაირია ერის ყველა წევრისთვის. კანონის წინაშე თანასწორ მოქალაქეებს სხვანაირი ურთიერთობა აქვთ თავიანთ სახელმწიფოსთან, ვიდრე იმპერიას დაქვემდებარებულებს.

გარდა უთანასწორობისა და დაქვემდებარებისა, მეტროპოლიის ურთიერთობა პერიფერიასთან განსხვავებებითაა მონიშნული — ეთნიკურობით, გეოგრაფიული განცალკევებითა და განსხვავებული ადმინისტრირებით.¹⁸ თუ პერიფერიები სრულად არის ინტეგრირებული მეტროპოლიაში, როგორც ეს შუა საუკუნეების რუსეთის სამთავროების შემთხვევაში იყო მოსკოვთან მიმართებით და მათ ისევე კარგად ან ცუდად ეპყრობოდნენ, როგორც მეტროპოლიის სხვა პროვინციებს, მაშინ ურთიერთობა არ არის იმპერიული. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მეტროპოლია აუცილებლად ეთნიკურობით ან გეოგრაფიით არაა განსაზღვრული. აქ მთავარი მმართველი ინსტიტუციაა. რამდენიმე იმპერიაში, პერიფერიისგან გეოგრაფიული ან ეთნიკური განსხვავების ნაცვლად, მმართველ ინსტიტუციას სტატუსი ან კლასობრივი ხასიათი ჰქონდა, განსაკუთრებულად პრივილეგირებული თავადაზნაურობა ან პოლიტიკური კლასი, როგორებიც იყვნენ ოსმალები ოსმალეთის იმპერიაში, ან იმპერიული ოჯახი და მემამულე თავადაზნაურობის ზედა ფენები და ბიუროკრატია რუსეთის იმპერიაში, ან, ასევე – კომუნისტური ნომენკლატურა საბჭოთა კავშირში. ჩემი გაგებით, არც ცარისტული რუსეთი და არც საბჭოთა კავშირი არ იყო ეთნიკური „რუსული იმპერია“, სადაც მეტროპოლია მთლიანად გაიგივებული იქნებოდა მმართველ რუსულ ერთან. პირიქით, მმართველი ინსტიტუტი – ერთ შემთხვევაში თავადაზნაურობა, მეორე შემთხვევაში კი – კომუნისტური პარტიის ელიტა, მრავალეროვნული იყო, თუმცა ძირითადად რუსები იყვნენ და იმპერიულად მართავდნენ როგორც რუს, ისე არარუს ქვეშევრდომებს. იმპერიაში, ერებისგან განსხვავებით, მმართველთა შორეულობა და განსხვავებულობა მმართველი ინსტიტუციის ზემდგომობის იდეოლოგიური გამართლების ნაწილი იყო. იმპერიაში მართვის უფლებამოსილება მმართველ ინსტიტუციაშივეა მოცემული და არა მართულის თანხმობაში.

¹⁸ როგორც ალექსანდ მოტილი ამტკიცებს, პერიფერიები უნდა განსხვავდებოდნენ მოსახლეობით — კლასობრივად, ეთნიკურობით, რელიგიით ან სხვა ნიშნით — ჰქონდეთ სხვა ტერიტორია და წარმოადგენდნენ ან განსხვავებულ პოლიტიკურ ერთეულს ან განსხვავებულ საზოგადოებას. "From Imperial Decay to Imperial Collapse: The Fall of the Soviet Empire in Comparative Perspective," Rudolph and Good, eds., Nationalism and Empire, გვ. 18.

ყველა სახელმწიფოს აქვს ცენტრები, დედაქალაქები და მთავარი ელიტები, რომლებიც გარკვეულწილად აღემატებიან სახელმწიფოს სხვა ნაწილებს, მაგრამ იმპერიებში მეტროპოლია გამორჩეულად ბატონობს.¹⁹ მას შეუძლია რეგულარულად დამლიოს პერიფერიული ერთეულების სურვილები და გადაწყვეტილებები. საქონლის, ინფორმაციისა და ძალაუფლების ნაკადები პერიფერიიდან მეტროპოლისკენ და უკან პერიფერიისკენ მიედინება, მაგრამ იშვიათად პერიფერიიდან პერიფერიისკენ. მეტროპოლიაზე პერიფერიის დამოკიდებულების ხარისხი გაცილებით დიდი და ყოვლისმომცველია, ვიდრე სხვა ტიპის სახელმწიფოებში. გზები და რკინიგზა დედაქალაქისკენ მიემართება; დახვეწილი არქიტექტურული და მონუმენტური სანახაობები იმპერიულ ცენტრს სხვა ცენტრებისგან გამოარჩევს; ხოლო მთავარი იმპერიული ელიტა სხვადასხვაგვარად გამოარჩევს თავს როგორც პერიფერიული ელიტებისგან, რომლებიც ხშირად მათი მსახურები და წარმომადგენლები არიან, ასევე დაქვემდებარებული მოსახლეობისგან.²⁰ მეტროპოლია პერიფერიისგან უთანასწორო გზებით იღებს სარგებელს; სახეზე გვაქვს „ექსპლუატაცია“, ან, სულ მცირე, ასეთი ექსპლუატაციის აღქმა. სწორედ ესაა კოლონიად ყოფნის მნიშვნელობის არსი.

მიუხედავად იმისა, რომ დაქვემდებარება, არათანაბარი მოპყრობა და ექსპლუატაცია სხვადასხვანაირად შეიძლება გაიზომოს, ისინი ყოველთვის ატარებს სუბიექტურ და ნორმატიულ ხასიათს. როგორც ბაისინჯერმა თქვა: „იმპერიის ‘ობიექტური’ ტერმინებით განსაზღვრის ნებისმიერი მცდელობა – როგორც სტრატეგიკაციის სისტემის, როგორც ძალაზე დაფუძნებული პოლიტიკის, როგორც ექსპლუატაციის სისტემის — საბოლოოდ ვერ ახერხებს მოიხელთოს ის, რაც უდავოდ ყველაზე მნიშვნელოვანი განზომილებაა ნებისმიერი იმპერიული მდგომარეობის: აღქმა... იმპერიები და სახელმწიფოები, უპირველეს ყოვლისა, განირჩევიან არა ექსპლუატაციით ან ძალის გამოყენებით, არამედ არსებითად იმით, არის თუ არა პოლიტიკა და პოლიტიკები მიღებული როგორც „ჩვენი“ ან უარყოფილი, როგორც „მათი“.“²¹

ამას ისიც უნდა დავამატო, რომ იმპერიად აღქმა ეხება არა მხოლოდ პერიფერიების, არამედ მეტროპოლიების დამოკიდებულებასაც. იმპერია არსებობს მაშინაც კი, თუ პერიფერიული მოსახლეობა დარწმუნებულია, რომ იმპერიასთან მათი ასოცირების შედეგი უფრო მომგებიანია, ვიდრე ექსპლუატაციური, მანამ, სანამ არსებობს ორი პირობა — გამორჩევა [distinction] და დაქვემდებარება. მართლაც, „პოსტკოლონიალიზმის“ ლიტერატურის დიდი

¹⁹ რა თქმა უნდა, რამდენადაც სუსტდება იმპერიული მეტროპოლია და ძლიერდება პერიფერიები, როგორც 1848 წლის შემდეგ ჰაბსბურგის იმპერიაში მოხდა, ის იძულებული ხდება მოილაპარაკოს ძლიერ პერიფერიებთან, როგორც ეს ვენამ ბუდაპეშტთან გააკეთა და დროთა განმავლობაში იმპერია შეიძლება ჰიბრიდულ იმპერიად იქცეს სხვადასხვა ავტონომიური „სამეფოებით“ და „სამთავროებით“, რომლებიც ისე აღარ სცემენ პატივს ცენტრის ავტორიტეტს როგორც წარსულში.

²⁰ Fatma Miige Gogek, "The Social Construction of an Empire: Ottoman State under Suleiman the Magnificent," კრებულში Halil Inalcik and Cemal Kafadar eds., Suleiman II and His Time (Istanbul: Isis Press, 1993), გვ. 93-108.

²¹ Mark R. Beissinger, "Demise of an Empire-State: Identity, Legitimacy, and the Deconstruction of Soviet Politics," კრებულში Crawford Young ed., The Rising Tide of Cultural Pluralism: The Nation-State at Bay? (Madison: University of Wisconsin Press, 1993), გვ. 98, 99.

ნაწილი ეხება სწორედ განსხვავებისა და განვითარების ჰეგემონურ კულტურებს, რომლებიც ლეგიტიმაციას ანიჭებდნენ იმპერიულ ურთიერთობებს და აშუალებდნენ წინააღმდეგობას.

შეჯამებისთვის, იმპერია კომპოზიტიური სახელმწიფო სტრუქტურაა, რომელშიც მეტროპოლია გარკვეულწილად გამორჩეულია პერიფერიისგან და მათ შორის ურთიერთობა წარმოდგენილია ან აღქმულია მეტროპოლიური ან პერიფერიული აქტორების მიერ, როგორც გამართლებული ან გაუმართლებელი უთანასწორობა, დაქვემდებარება და/ან ექსპლუატაცია. "იმპერია" არ არის მხოლოდ პოლიტიკური ერთობის ფორმა, არამედ შეფასებითად დატვირთული წოდებაა, რომელიც ჯერ კიდევ XIX საუკუნის ბოლოს (და ზოგჯერ, ჩვენს დროშიც) პოლიტიკური არსებობის ამაღლებულ ფორმად განიხილებოდა (გაიხსენეთ ნიუ-იორკი როგორც „იმპერია სახელმწიფო“ [Empire State]), თუმცა XXI საუკუნის დასაწყისში იგივე წოდება ეჭვქვეშ აყენებს პოლიტიკური ერთობის ლეგიტიმურობას და პროგნოზირებს მის საბოლოო, გარდაუვალ დაღუპვას.²² ამრიგად, საბჭოთა კავშირი, რომელსაც მეოთხედი საუკუნის წინ სოციოლოგების უმეტესობა სახელმწიფოდ აღწერდა, ხოლო იშვიათად, ისიც საკმაოდ კონსერვატიული ანალიტიკოსების მიერ – იმპერიად, მისი დაშლის შემდეგ თითქმის საყოველთაოდ აღიწერება როგორც იმპერია, ვინაიდან ის ახლა არალეგიტიმურ, კომპოზიტიურ სახელმწიფოდ მოჩანს, რომელმაც ვერ შეძლო მის შიგნით ერების განვითარების შეკავება.

ვითვალისწინებ რა, რომ სახელმწიფოს ფორმები და სახელმწიფოს ცნებები დროთა განმავლობაში იცვლებოდა, ვიღებ "სახელმწიფოს" საკმაოდ ბაზისურ განმარტებას, როგორც საერთო პოლიტიკური ინსტიტუციების ერთობლიობას, რომელსაც შემოსაზღვრულ ტერიტორიაზე შეუძლია ლეგიტიმური ძალადობის მონოპოლიზება და გარკვეული საქონლისა და მომსახურების განაწილება. როგორც როჯერს ბრუბეიკერმა აღნიშნა, თანამედროვე სახელმწიფოებრიობის წარმოშობა ნიშნავდა არსებითად შუასაუკუნეობრივი „პიროვნებების ქსელიდან“ – „მმართველობის ტერიტორიულობაზე“ გადასვლას, რადგან მსოფლიო შემოსაზღვრული და ურთიერთგამომრიცხავი მოქალაქეობების მქონეებისგან შედგებოდა.²³ თანამედროვე „სახელმწიფო“ (ძირითადად XV საუკუნის შემდგომ) ხასიათდება შედარებით ფიქსირებული ტერიტორიული საზღვრებით, საკუთარ ტერიტორიაზე ერთიანი სუვერენიტეტითა და მუდმივი ბიუროკრატიული და სამხედრო აპარატით. როდესაც სახელმწიფოებმა გვიან შუასაუკუნეებისა და ადრე მოდერნულ პერიოდებში თავიანთი ტერიტორიები გააერთგვაროვნეს, გაანადგურეს კონკურენტი სუვერენიტეტები და მოახდინეს ადმინისტრირების სტანდარტიზება, რიგმა სახელმწიფოებმა, რომლებიც თავიდან ძალიან ჰგავდნენ აქამდე აღწერილ იმპერიებს, განამტკიცეს ლინგვისტური, ეთნო-კულტურული ან რელიგიური ნიშნით განსაზღვრული შედარებით ერთგვაროვანი შიდა საზოგადოებები, რამაც XVIII საუკუნის ბოლოს რევოლუციებისა და შემდგომ "ნაციონალიზმის ხანის" დადგომასთან

²² არგუმენტი რომელიც კარგად ჩამოაყალიბა მარკ ბაისინჯერმა.

²³ Rogers Brubaker, *Citizenship and Nationhood in France and Germany* (Cambridge, Mass.: Harvard University Press, 1992), გვ. 22.

ერთად შესაძლებელი გახადა "ერის" იდეის მოაზრება.²⁴ ამავდროულად, ნაკლებად ერთგვაროვანმა სახელმწიფოებმა, რომლებიც მოდერნული დროში კონტინენტურ იმპერიებად აღმოცენდნენ – გაამყარეს თავიანთ შიდა კავშირები, რათა კონკურენტუნარიანები ყოფილიყვნენ ახალ საერთაშორისო გარემოში, თუმცა, ვერ მიაღწიეს შიდა ერთგვაროვნების ისეთ ხარისხს, როგორც პროტეოროვნულმა სახელმწიფოებმა, პორტუგალიამ ან საფრანგეთმა.

„შინაგანი კოლონიალიზმის“ კვლევაში მაიკლ ჰეხტერი ამტკიცებს, რომ მხოლოდ პოსტ ფაქტუმ შეიძლება დადგინდეს (ერი)-სახელმწიფო აშენდა, თუ იმპერია. თუ ცენტრმა წარმატებით შეძლო მის მიერ მართული ტერიტორიის მოსახლეობის ინტეგრირება და მათგან ცენტრალური ხელისუფლებისთვის ლეგიტიმაციის მოპოვება, მაშინ (ერი)-სახელმწიფო შექმნილა, მაგრამ თუ მოსახლეობა უარყოფს ან წინააღმდეგობას უწევს მმართველობას, მაშინ ცენტრმა მხოლოდ იმპერიის შექმნა მოახერხა.²⁵ ჩვენი დროის უძველესი ერი-სახელმწიფოებიდან ბევრმა, თუ არა უმეტესობამ, თავისი ისტორიული ევოლუცია არაერთგვაროვან დინასტიურ კონგლომერატებად დაიწყო, რომლებიც ხასიათდებოდა მეტროპოლიასა და პერიფერიას შორის იმპერიული ურთიერთობებით, და მხოლოდ სახელმწიფო ხელისუფლებების მიერ გამაერთგვაროვნებელი ნაციონალიზაციის მძიმე შრომის შედეგად, იერარქიული იმპერიები გარდაიქმნა შედარებით ეგალიტარულ ეროვნულ სახელმწიფოებად, რომლებიც შემდეგ თანასწორუფლებიანი მოქალაქეობის ჰორიზონტალურ პრინციპს დაეფუძნა. მიუხედავად ამისა, ნაციონალიზმის ეპოქაში, სწორედ ნაციონალიზაციის პროცესმა გაააქტიურა ზოგიერთი მოსახლეობის ეთნოეროვნული ცნობიერება, რომლებსაც შეეძლოთ საკუთარი თავის გამორჩევა (ან სხვების მიერ იყვნენ გამორჩეული) და შემდეგ წინააღმდეგობას უწევდნენ მმართველ ეროვნებაში ასიმილირებას – ასეთი ერები "უმცირესობებად" განისაზღვრნენ და მეტროპოლიასთან კოლონიურ ურთიერთმიმართებაში აღმოჩნდნენ. ასეთ შემთხვევებში, „ერის-მშენებლობამ“ სახელმწიფოს ძირეული იმპერიულობა გამოავლინა.

ერის თანამედროვე თეორეტიკოსების კვალად, ერს განვსაზღვრავ, როგორც ადამიანთა ჯგუფს, რომელიც თავს პოლიტიკურ საზოგადოებად წარმოიდგენს, რომელიც განსხვავდება დანარჩენი კაცობრიობისგან, თვლის, რომ ის იზიარებს გარკვეულ მახასიათებლებს, შესაძლოა წარმოშობას, ღირებულებებს, ისტორიულ გამოცდილებას, ენას, ტერიტორიას ან სხვა მრავალ

²⁴ შიდა პოლიტიკური და კულტურული ინტეგრაციის ამ პროცესს, განვითარებად ურბანულ ცენტრებს, სახელმწიფო ფორმების კონსოლიდაციას, ჩვეულებრივ, ანალიტიკოსები დასავლეთ ევროპას მიაწერდნენ ხოლმე, პირველი ეროვნული სახელმწიფოების ტრადიციულ ადგილს, მაგრამ ვიქტორ ლიბერმანმა დამაჯერებლად აჩვენა, რომ ადრე მოდერნულ პერიოდში, დაახლოებით 1450-დან 1830 წლამდე, მთელმა ევრაზიამ, ბრიტანეთიდან იაპონიამდე, მსგავსი და დაკავშირებული პროცესი გაიარა. იხილეთ მისი "Introduction" და "Transcending East-West Dichotomies: State and Culture Formation in Six Ostensibly Disparate Areas," *Modern Asian Studies* 31, no. 3 (1997): 449-461, 463-546.

²⁵ Michael Hechter, *Internal Colonialism: The Celtic Fringe in British National Development, 1536—1966* (Berkeley: University of California Press, 1975), გვ. 60-64.

ელემენტს და მისი განსაზღვრული კულტურის საფუძველზე იმსახურებს თვითგამორკვევას, რაც ჩვეულებრივ გულისხმობს საკუთარი ტერიტორიის („სამშობლოს“) და საკუთარი სახელმწიფოს კონტროლს.²⁶ ერი არც ბუნებრივია და არც პირველყოფილი, არამედ ელიტებისა და მასების რთული ფუძემდებლური ინტელექტუალური და პოლიტიკური მუშაობის შედეგია. ერები ისტორიის კონკრეტულ გაგებაში არსებობენ, ამბებში, სადაც ერი დროში განუწყვეტლივ მოძრავ სუბიექტადაა წარმოდგენილი და რომელიც მრავალი საუკუნის განმავლობაში ეროვნულ თვითშეგნებისკენ მიემართება.²⁷

შორეულ წარსულში შეიძლება არსებობდა კიდევ პოლიტიკური საზოგადოებების მაგალითები, რომლებიც ახლოს არიან თანამედროვე ერების შესახებ ჩვენს წარმოდგენებთან, თუმცა, მოდერნულ დროში პოლიტიკური საზოგადოებები იმ დისკურსის ფარგლებში არსებობენ, რომელიც XVIII საუკუნის ბოლოს და XIX საუკუნის დასაწყისში შეიქმნა შემოსაზღვრული ტერიტორიული სუვერენიტეტების ცნების გარშემო, სადაც პოლიტიკური წესრიგის ლეგიტიმაციას ერად ჩამოყალიბებული „ხალხი“ ქმნის. დაახლოებით XVIII საუკუნის ბოლოდან დღემდე, სახელმწიფო „ერს“ შეეზარდა და თითქმის ყველა თანამედროვე სახელმწიფომ ეროვნულ სახელმწიფოდ გამოაცხადა თავი, როგორც ეთნიკური, ისე სამოქალაქო გაგებით, მთავრობებით, რომლებიც ძალაუფლებას ერისგან იღებენ და მისი ინტერესების შესაბამისად ახორციელებენ. მოდერნულმა სახელმწიფოებმა თავიანთი თავი ერზე მითითებითა და ერის დისკურსში ნაგულისხმევ სახალხო სუვერენიტეტზე პრეტენზიით დააკანონეს.²⁸

მიუხედავად იმისა, რომ ერის დისკურსი სახელმწიფო პატრიოტიზმის გამოხატულების სახით დაიწყო, XIX საუკუნის განმავლობაში ის სულ უფრო ეთნიკური გახდა, სანამ „ეროვნული საზოგადოება“ საერთო ენის, რელიგიის და/ან სხვა მახასიათებლების მქონე კულტურულ საზოგადოებად არ დაინახეს, რომელსაც ჰქონდა ხანგრძლივი, ძველი წარსული, საერთო ნათესაობა, საერთო წარმომავლობა და დროში წინსვლის ნარატივები. დავიწყებას მიეცა მეთოდები, რომელთა საშუალებითაც ჩამოყალიბდა და წარმოისახა საერთო წარსულისა და საერთო წარმოშობის იდეები, ასევე ისიც, თუ როგორ შეირჩა დიალექტებისგან პირველადი ენები და როგორ გაბატონდა ისინი ბეჭდვითი პრესისა და სკოლების მეშვეობით, და ისიც,

²⁶ ეთნიკურ ჯგუფსა და ეროვნებას/ერს შორის განსხვავება აუცილებლად ტერიტორიული კი არა, არამედ შეიძლება დისკურსული იყო, რომელშიც ისინი მოქმედებენ. ეთნიკურობის დისკურსი ძირითადად ეხება კულტურას, კულტურულ უფლებებს და გარკვეულ შეზღუდულ პოლიტიკურ აღიარებას, ხოლო ერის დისკურსი უფრო ხშირად ეხება სახალხო სუვერენიტეტს, სახელმწიფო ძალაუფლებას და ტერიტორიული სამშობლოს კონტროლს. მაგრამ ეს არ არის აუცილებლად ან მხოლოდ ასე, რადგან შეგვიძლია არატერიტორიული ნაციონალიზმების გახსენებაც, როგორც იყვნენ ებრაელები სიონიზმამდე, სომხები XIX საუკუნეში, და ბოშები. განმარტების სირთულეების შესახებ სხვა შეხედულებისთვის, იხილეთ Lowell W. Barrington, " 'Nation' and 'Nationalism': The Misuse of Key Concepts in Political Science," PS: Political Science & Politics, 30, no. 4 (December 1977): 712-716

²⁷ მაგალითად, იხილეთ Etienne Balibar, "The Nation Form: History and Ideology," კრებულში Etienne Balibar and Immanuel Wallerstein, Race, Nation, Class: Ambiguous Identities (London: Verso, 1991), გვ. 86—106; Benedict Anderson, Imagined Communities: Reflections on the Origin and Spread of Nationalism (London: Verso, 1983; rev. ed., 1991).

²⁸ Brubaker, Citizenship and Nationhood in France and Germany, გვ. 22, 27.

როგორ იყენებდნენ ისტორიას მსოფლიოს უძრავ ქონებაზე პრეტენზიების დასასაბუთებლად. ნაციონალისტები ერისა და სახელმწიფოს შესაბამისობაში მოყვანას ესწრაფოდნენ, თითქმის უტოპიურ მიზანს, და არ შეეცდებოდათ თუ ვიტყვით, რომ მოდერნული ისტორიის დიდი ნაწილი ერებისა და სახელმწიფოების ერთმანეთთან შეთავსების ისტორიაა — მსოფლიოში, სადაც ეს ორი თითქმის არასოდეს ემთხვევა ერთმანეთს.

XX საუკუნისთვის, ასეთი წარმოსახვითი საზოგადოებები სახელმწიფოს დაფუძნებისთვის ყველაზე ლეგიტიმურ მიზეზს წარმოადგენდა, რამაც ჩაანაცვლა დინასტიური, რელიგიური და კლასობრივი დისკურსები — და ამავდროულად, ეჭვქვეშ დააყენა ლეგიტიმაციის ალტერნატიულ ფორმულები, როგორც, მაგალითად, იმპერიების საფუძველია. ოდესღაც სიცოცხლისუნარიანი იმპერიული სახელმწიფოები სულ უფრო დაუცველები ხდებოდა ნაციონალისტური მოძრაობების მიმართ, რომლებმაც, თავის მხრივ, გაძლიერდა იმ ახალი იდეით, რომ სახელმწიფოები უნდა წარმოადგენდნენ, თუ არა ემთხვეოდნენ — ერებს. სუბალტერნულ ინტერესთა დემოკრატიული წარმომადგენლობის იდეის პარალელურმა გაჩენამ კიდევ უფრო გაამწვავა ფუნდამენტური დამაბულობა უთანასწორო იმპერიულ ურთიერთობებსა და ეროვნული მოქალაქეობის ჰორიზონტალურ კონცეფციებს შორის. წარმომადგენლობითი ინსტიტუციების მქონე ლიბერალურ სახელმწიფოებს, რომლებიც თავს დემოკრატიებად აცხადებდნენ, შეეძლოთ ყოფილიყვნენ (და იყვნენ) ეფექტურები დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, ბელგიისა და ნიდერლანდების საზღვაო იმპერიებში, მაგრამ დიდი კონტინენტური იმპერიები ეწინააღმდეგებოდნენ დემოკრატიზაციას, რადგან ის ძირს უთხრიდა დომინანტური იმპერიული ელიტის ლეგიტიმაციას და მეტროპოლიასა და პერიფერიას შორის იერარქიულ და არათანაბარ ურთიერთობებს. მიუხედავად იმისა, რომ წინარემოდერნულ ისტორიაში იმპერიები ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული და დღევანდელი პოლიტიკური ერთეულები იყვნენ, მოდერნულ დროში ნაციონალიზმისა და დემოკრატიის ძლიერი კომბინაციით მათი საფუძველები თანდათანობით მოირყა.²⁹

სახელმწიფოსა და ერის განვითარების ზოგიერთი მაკროისტორიული ანალიზი ამტკიცებს, რომ ადგილი ჰქონდა ტერიტორიული კონსოლიდაციის, მოსახლეობისა და ინსტიტუციების გაერთგვაროვნების, ძალაუფლებისა და სუვერენიტეტის კონცენტრაციის უნივერსალურ

²⁹ ერი-სახელმწიფოები და იმპერიები შეიძლება კონტინუუმის ორ პოლუსად განვიხილოთ, მაგრამ, არა ფიქსირებულად და სტაბილურად, რადგან ისინი შეიძლება ერთმანეთში გადადიოდნენ და დროთა განმავლობაში ერთი მეორედ გარდაიქმნებოდეს. ერი-სახელმწიფო შეიძლება სტაბილური, ჰომოგენური და თანმიმდევრული ჩანდეს, მაგრამ ეთნიკური, სუბეთნიკური ან რეგიონული მოძრაობების აღმასვლასთან ერთად, სუბალტერნული მოსახლეობის მიერ ის შეიძლება იმპერიულად იყოს აღქმული. მათთვის, ვინც ბელგიაში დომინანტურ მოსახლეობასთან აიგივებს თავს, ის ერი-სახელმწიფოა, შესაძლოა მრავალეროვნული სახელმწიფოც, მაგრამ ფლამანდიელი მებრძოლისთვის, რომელიც ვალონური უმრავლესობის ჩაგვრას გრძნობს, ბელგია ერთგვარი მინი იმპერიაა. ტერმინი „იმპერია“ პოლემიკურად გამოიყენებოდა ისეთი მცირე სახელმწიფოებისთვის, როგორებიცაა ბელგია, საქართველო და ესტონეთი, და ზოგჯერ ასეთი ნაციონალიზებული სახელმწიფოების იმპერიებად მოხსენიება შეიძლება ანომალიურად ჩანდეს. მაგრამ სწორედ გამაეროვნებელი სახელმწიფოს ასიმილაციური გაერთგვაროვნების ან დისკრიმინაციის პრაქტიკებით ვლინდება განსხვავებისა და დაქვემდებარების ურთიერთობები — რასაც მე იმპერიული ურთიერთობის შემადგენელ ელემენტად განვიხილავ.

პროცესს, რამაც საფუძველი დაუდო თანამედროვე ეროვნულ სახელმწიფოს. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი ანალიზი, რა თქმა უნდა, ასახავს სახელმწიფოს ფორმირების ძირითად ტენდენციებს ადრეულ მოდერნულ პერიოდში, ეს მძლავრი მეტანარატივი უგულებელყოფს გარკვეულ პირობებში ისეთი ნაკლებად „მოდერნული“ პოლიტიკური ფორმების მდგრადობასა და გამძლეობას, როგორც, მაგალითად, იმპერია. ჩნდება კითხვა, რატომ არ გადაიქცა ევროპის უკანასკნელი იმპერიები ეროვნულ სახელმწიფოებად XIV და XX საუკუნეებში? როგორ შეუშალა ხელი იმპერიული ელიტების პრაქტიკამ და პრეფერენციებმა ერის შექმნას, მაშინაც კი, როცა ერად ჩამოყალიბებას, შესაძლოა, მათი სახელმწიფო საერთაშორისო ასპარეზზე უფრო კონკურენტუნარიანი გაეხადა? რამდენიმე კონტინენტურ იმპერიაში სახელმწიფო ხელისუფლებამ მართლაც სცადა სახელმწიფოში არსებული განსხვავებების გაერთგვაროვნება, რათა მიეღწია ისეთივე ეფექტურობისთვის, რომელიც თან ახლდა უფრო ერთგვაროვან ეროვნულ სახელმწიფოებს, მაგრამ ის, რაც ოდესღაც შესაძლებელი იყო შუა საუკუნეებში და ადრე მოდერნულ დროში, როდესაც საკმაოდ არაერთგვაროვანი მოსახლეობა შედარებით ერთგვაროვან პროტოერებში ასიმილირდა, შესაძლოა, საერთო რელიგიური ან დინასტიური ლოიალობის გარშემო, „ნაციონალიზმის ეპოქაში“ თითქმის შეუძლებელი გახდა. მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე დროში კომუნიკაციის ქსელები უფრო შემჭიდროვდა, XIX საუკუნის ევროპის კონტინენტურ იმპერიებში ყველაზე გამაერთიანებელი სოციალური და დისკურსული პროცესები იმპერიული სახელმწიფოს ქვედა დონეებზე მიმდინარეობდა. იგივე ხდებოდა ერთი საუკუნის შემდეგ სსრკ-ში. ერის გავრცელებული დისკურსი — პროგრესის, წარმომადგენლობისა და სახელმწიფოებრიობის ყველა თანმხლები იდეით, ხელმისაწვდომი გახდა ყველა ლინგვისტური და კულტურული ჯგუფისთვის. ერის ფორმაში ნაგულისხმევ სახალხო სუვერენიტეტსა და დემოკრატიაზე მითითებები დაუპირისპირდა იმპერიის თანდაყოლილ უთანასწორობას, იერარქიას და დისკრიმინაციას, რაც ძირს უთხრის მისი არსებობის გამართლებას. თანამედროვე იმპერიები გაიჭედნენ პრივილეგიებისა და გამორჩეულობის [distinctions] შენარჩუნებასა (რაც ტრადიციულ ელიტებს ძალაუფლებას უნარჩუნებდა) და ლიბერალურ რეფორმებს შორის (რაც ძირს გამოუთხრდა ძველ მმართველ კლასებს). მიუხედავად იმისა, რომ XIX საუკუნის დიდმა "ბურჟუაზიულმა" საზღვაო იმპერიებმა მეტროპოლიებში შეძლეს ლიბერალიზმისა და დემოკრატის დამკვიდრება და ამავდროულად, კოლონიებში მკაცრი რეპრესიული რეჟიმების შენარჩუნება, ცენტრსა და პერიფერიაში განსხვავებული პოლიტიკის გატარება ბევრად უფრო რთული იყო კონტინენტურ იმპერიებში, ვიდრე საზღვაოში. დემოკრატიულმა მეტროპოლიამ და კოლონიზებულმა პერიფერიებმა საზღვაო იმპერიებში მოახერხეს თანაარსებობა, რასაც ბრიტანეთის, საფრანგეთის და ბელგიის მაგალითები გვიჩვენებს, თუმცა კონსტიტუციონალიზმთან ან ლიბერალურ დემოკრატიასთან ერთად ავტოკრატის შენარჩუნება სამეფოს ნაწილში ბევრად უფრო დიდი რყევების გამოწვევი აღმოჩნდა კონტინენტურ იმპერიებში. რუსეთში, პრივილეგიები რომლითაც ფინეთის დიდი საჰერცოგო სარგებლობდა, ან თუნდაც კონსტიტუცია, რომელიც ბულგარეთს, როგორც იმპერიის მიღმა სახელმწიფოს ჰქონდა მინიჭებული, გამუდმებით ახსენებდა ცარის განათლებულ

ქვეშევრდომებს, რომ ის უარს ამბობდა მათთვის მსგავსი ინსტიტუციების მინიჭებაზე. სწორედ აქ ძვეს კონტინენტური იმპერიების მთავარი წინააღმდეგობა. რაღაც ტიპის განცალკევება, აპარტიდია აუცილებელი ერთ სახელმწიფოში, ერთდროულად, დემოკრატიული და არადემოკრატიული პოლიტიკური წესრიგის შესანარჩუნებლად. მაგრამ ეს უალრესად არასტაბილური კომპრომისია, რაც XX საუკუნეში სამხრეთ აფრიკისა და ისრაელის მთავრობებმა აღმოაჩინეს.

კონტინენტურ იმპერიებში, სადაც ერსა და იმპერიას შორის გაყოფა უფრო მყიფეა, ვიდრე საზღვაო იმპერიებში, მმართველმა ელიტებმა შეიძლება სცადონ იმპერია-ერის ჰიბრიდული ცნებების კონსტრუირება, როგორც ეს XIX საუკუნეში მეფის რუსეთში ან ოსმალეთის იმპერიაში მოხდა.³⁰ ახალი ეროვნული სახელმწიფოების ეფექტურობით წარმოქმნილ საფრთხეებზე საპასუხოდ, იმპერიულმა ელიტებმა დაიწყეს "ძველი რეჟიმის" იმპერიიდან "თანამედროვე" იმპერიაზე გადასვლა, უფრო პოლიცენტრული და დიფერენცირებული პოლიტიკიდან, სადაც რეგიონები ინარჩუნებდა სრულიად განსხვავებულ იურიდიულ, ეკონომიკურ და თუნდაც პოლიტიკურ სტრუქტურებს – უფრო ცენტრალიზებულ, ბიუროკრატიულ სახელმწიფოზე, სადაც კანონები, ეკონომიკური პრაქტიკა და ჩვეულებები და დიალექტებიც კი გაერთგვაროვნდა სახელმწიფო ელიტების მიერ. უფრო თანამედროვე იმპერიებმა მთელი რიგი სტრატეგიები შეიმუშავეს თავიანთი მმართველობის დასტაბილურებისთვის. რუსეთში მონარქია საკუთარ თავს უფრო „ეროვნულად“ წარმოიდგენდა და საზოგადოების წინაშეც ასე წარმოადგენდა თავს, რამაც ის მართულ ხალხს დაუახლოვა. ავსტრო-უნგრეთში ცენტრალურმა სახელმწიფომ ძალაუფლება გაუნაწილა რამდენიმე არამმართველ ხალხს, რითაც იმპერია უფრო თანასწორ მრავალეროვნულ სახელმწიფოდ იქცა. ოსმალეთის იმპერიაში მოდერნიზებისკენ მოწოდებულმა ბიუროკრატებმა უარი თქვეს გარკვეულ ტრადიციულ იერარქიულ პრაქტიკებზე, რომელიც მუსლიმებს უპირატესობას ანიჭებდა არამუსლიმებთან მიმართებით, ხოლო რეფორმების ეპოქაში, რომელიც *თანზიმათის* სახელითაა ცნობილი, მათ იმპერიის ყველა ხალხისგან სამოქალაქო ერის შექმნა და ახალი იმპერიული საზოგადოების ოსმალისტური იდეის განხორციელება სცადეს. XIX საუკუნის ბოლო ორ ათწლეულში ცარისტულმა მთავრობამ კიდევ ერთი სტრატეგია გამოცადა — ადმინისტრაციული და კულტურული გარუსების პოლიტიკა, რომელიც მხოლოდ ერთ ეროვნებას ანიჭებდა უპირატესობას. 1908 წლის შემდეგ ახალგაზრდა თურქებმა ყველაფერი სცადეს, ოსმალისტური ლიბერალიზმით დაწყებული იმპერიის პანისლამური, პანთურქული და სულ უფრო ნაციონალისტური გარდაქმნით დასრულებული³¹. მაგრამ მოდერნიზებისკენ მოწოდებული იმპერიალისტები გაიჭედნენ, ერთი მხრივ, გაერთგვაროვნებისა და რაციონალიზაციის ახალ პროექტებს შორის, და იმ

³⁰ იხილეთ ბენედიქტ ანდერსონის თავი „ოფიციალური ნაციონალიზმი და იმპერიალიზმი“, წარმოსახვითი საზოგადოებანი, გვ. 83—112; და ჯეინ ბერბანკის გამოუქვეყნებელი ესსე „The Imperial Construction of Nationality“.

³¹ On the Ottoman case, see Ronald Grigor Suny, "Religion, Ethnicity, and Nationalism: Armenians, Turks, and the End of the Ottoman Empire," in Omer Bartov and Phyllis Mack, eds., In God's Name: Genocide and Religion in the Twentieth Century (Oxford: Berghahn Press, 2001).

პოლიტიკებსა და სტრუქტურებს შორის, რომლებიც, მეორე მხრივ, ინარჩუნებდა მანძილსა და განსხვავებას ქვეშევრდომებთან მიმართებით, ისევე, როგორც დიფერენციაციებსა და პრივილეგიებს იმპერიის ხალხებს შორის. მოდერნიზებისკენ მოწოდებული იმპერიები ემბდნენ ლეგიტიმაციის ახალ ფორმულებს, რომლებიც შეარბილებდა დამპყრობლობისა და ღვთით კურთხეულობის რიტორიკას და სანაცვლოდ გააძლიერებდა იმპერიული მეტროპოლიის, როგორც ცივილიზაციის გამავრცელებლის მისიას – მის კომპეტენციას განვითარების ახალ პროექტში.

XIX და XX საუკუნეების ეკონომიკური გარდაქმნების უთანაბრობის გათვალისწინებით, უაღრესად კონკურენტულ საერთაშორისო გარემოში, სახელმწიფოთა უმეტესობამ, თუნდაც ისეთმა საკმაოდ კონსერვატიულმა იმპერიულმა სახელმწიფოებმა, როგორებიც იყვნენ ოსმალეთის და რომანოვების იმპერიები, ეკონომიკური და სოციალური „მოდერნიზაციის“ სახელმწიფო პროგრამები განახორციელეს. დეველოპმენტალიზმი მალევე ღრმად ჩაინერგა როგორც ეროვნულ, ისე იმპერიული სახელმწიფო პოლიტიკებში. იმისათვის რომ გაემართლებინათ უცხოელების მმართველობა ხალხებზე, რომლებიც თავად ქმნიდნენ ერებს — იმპერიებმა შექმნეს დაბლა მდგომი ან არაცივილიზებული ხალხების განვითარების იდეა, რაც XX საუკუნემდე იმპერიული ლეგიტიმაციის დომინანტური წყარო იყო.³²

თუმცა, დეველოპმენტალიზმში სუბვერსიული დიალექტიკაა მოცემული. მისი წარმატება იმპერიის წარუმატებლობის პირობებს ქმნის. თუ კოლონიზებულ ხალხში დეველოპმენტალისტური პროგრამა წარმატებულია, ესე იგი, თუ მატერიალური კეთილდღეობა და ინტელექტუალური დახვეწილობა, ურბანიზაცია და ინდუსტრიალიზაცია, სოციალური მობილობა და სამყაროს შემეცნება რეალიზდება, ეს საფუძველს აცლის "ჩამორჩენილ" ხალხზე უცხო იმპერიული მმართველობის გამართლებას. მართლაც, ერის-მშენებლობისა და ნაციონალიზმის ჩახშობის ნაცვლად, იმპერიალიზმი უფრო ხშირად პირობებს და სტიმულს ქმნის ახალი ერების მშენებლობისთვის. ხდება მოსახლეობის ეთნოგრაფიული აღწერა, სტატისტიკური დათვლა, მისთვის თავისებურებებისა და ფუნქციების მიწერა, ხოლო შემდეგ ის თავის თავს იმგვარად წარმოადგენს, რომ "ერად" ჩაითვალოს. შემთხვევითი არ არის, რომ XX საუკუნის ბოლოს მსოფლიო რუკაზე იმპერიალიზმის მიერ დადგენილი საზღვრების მქონე ათეულობით სახელმწიფოა მონიშნული. და თუ დამოუკიდებლობის მომენტისთვის ამ სახელმწიფოებში მკაფიოდ განსაზღვრული და ჩამოყალიბებული ერები არ არსებობს, მაშინ, ახალბედა სახელმწიფოების შესავსებად, სახელმწიფო ელიტები საქმიანად შეუდგებიან ეროვნული პოლიტიკური საზოგადოებების ფორმირებას.

³² იხილეთ ფრედერიკ კუპერი და რენდალ პეკარდი, „Introduction“, Cooper and Packard, eds., *International Development and the Social Sciences: Essays on the History and Politics of Knowledge* (Berkeley: University of California Press, 1997), გვ. 1—41.

რა თქმა უნდა, დეველოპმენტალიზმი იყო არა მხოლოდ „ბურჟუაზიული“ ერი-სახელმწიფოებისა და იმპერიების, არამედ თვითგამოცხადებული სოციალისტური სახელმწიფოების პროექტიც. პრობლემა გაღრმავდა მაშინ, როცა იმპერიებმა, რომლებიც თავიანთ მმართველობას განვითარებისა და პროგრესის ინსტრუმენტად წარმოიდგენდნენ და მას მოდერნულობისა და მოდერნიზაციის სახელით ამართლებდნენ — ზედმეტად კარგად შეასრულეს დასახული ამოცანა, დაქვემდებარებულ მოსახლეობას მიაწოდეს სწრაფვისა და წინააღმდეგობის ენა და მართლაც შექმნეს სუბიექტები, რომელთაც იმპერია იმ სახით, როგორადაც კოლონიზატორები ხედავდნენ, უკვე აღარ სჭირდებოდათ. იმპერიის გამართლების ეს დიალექტიკური ინვერსია, რაც მოდერნიზაციის თეორიასა და პრაქტიკაში იდო, ჩემი აზრით, საბჭოთა იმპერიის თანდათანობითი ლპობის საფუძველი გახდა. კომუნისტურმა პარტიამ საკუთარი თავი, ფაქტობრივად, უსარგებლოდ აქცია. ვის სჭირდებოდა „ავანგარდი“, როცა უკვე ურბანული, განათლებული, მოძრავი და მოტივირებული საზოგადოება გყავდა? ვის სჭირდებოდა მოსკოვის იმპერიული კონტროლი, როცა ეროვნულ ელიტებს და მათ ამომრჩევლებს საკუთარი ინტერესების გამოხატვა მარქსიზმ-ლენინიზმის მიერ დაშვებული ეროვნული თვითგამორკვევის იდეით შეეძლოთ?

XX საუკუნის დასაწყისში, როდესაც იმპერიალიზმის პრობლემამ, მეცნიერები და თეორეტიკოსები და ასევე, პოლიტიკოსებიც დააინტერესა, მათ ყურადღება მიმართეს იმპერიის მშენებლობის მიზეზებსა და დინამიკაზე — ექსპანსიასა და დაპყრობაზე, შემოერთებასა და ანექსიაზე.³³ ახლახან, თეორეტიკოსებმა ჩამოაყალიბეს პირობები, რომელთა დაკმაყოფილების შემთხვევაში იმპერიები წარმატებით ინარჩუნებენ თავს. ანტიკურობის ისტორიკოსის, მოზეს ფინლის მინიშნების კვალად, დიდილი მზერას მიაპყრობს წინარემოდერნული იმპერიების სერიას – ათენს, რომს, ესპანეთს, ინგლისსა და ოსმალეთს და ამტკიცებს, რომ იმ ფაქტორებს შორის, რომლებიც იმპერიას შესაძლებელს, მდგრადს და, უფრო ცოცხალსა და ექსპანსიონისტურს ხდის, არის ძალაუფლებრივი განსხვავება, რომელიც უფრო მეტია მეტროპოლიაში, უფრო ნაკლები კი – პერიფერიებში; იმპერიული ან ჰეგემონური მეტროპოლიის პოლიტიკური ერთიანობა, რაც გულისხმობს არა მხოლოდ ძლიერ, ერთიან ცენტრალურ მთავრობას, არამედ იმპერიულ ელიტაში ლეგიტიმურობისა და ერთიან თემად ყოფნის უფრო ფართო განცდასაც; ტრანსნაციონალური კავშირის გარკვეული ფორმა – ძალები ან აქტორები, რელიგია, იდეოლოგია, ეკონომიკა, საზოგადოების მოწყობა, რომელიც მეტროპოლიაში იღებს სათავეს და შეუძლია დაქვემდებარებული საზოგადოებების მოცვა.

³³ მათ შორის ყველაზე ცნობილი იყო ლენინის თეორია, რომ განვითარებულ კაპიტალისტურ სახელმწიფოებში მოგების ნორმის დაცემამ ევროპულ სახელმწიფოებს იმპერიების აშენება აიძულა, რათა თავიანთი ნამეტი კაპიტალი აეთვისებინათ, და ჯ. ჰობსონის თეორია, რომელზეც ლენინმა თავისი დააფუძნა, რომ კაპიტალისტურ საზოგადოებებში სიმდიდრის დაუბალანსებელი განაწილება მასების მხრიდან არასაკმარის მოხმარებას იწვევს, ხოლო მდიდრების მხრიდან ზედმეტ დაზოგვას, რაც შემდეგ განუვითარებელ ქვეყნებში ახალი ბაზრების პოვნის საჭიროებას აჩენს. ისტორიკოსები, რომლებიც ეკონომიკურ ახსნას აკრიტიკებდნენ, როგორცაა კარლტონ ჰეისი, საპირისპიროს ამტკიცებდნენ, რომ კაპიტალიზმის იმპერატივების ნაცვლად, სახელმწიფოებს მეტროპოლიის ეროვნული ინტერესები ან ნაციონალიზმი უბიძგებდა არაევროპული სამყაროს კოლონიზებისკენ.

ათენს ჰქონდა ასეთი ტრანსნაციონალური საზოგადოება და იმპერიული გახდა, ხოლო სპარტას არ ჰქონია და სხვა სახელმწიფოებზე მხოლოდ ჰეგემონიის განხორციელება შეეძლო.³⁴

პერიფერიებზე ერთიანი მეტროპოლიის უფრო დიდი „ძალა“ უნდა გავიგოთ არა მხოლოდ უფრო დიდ იძულების ძალად, არამედ უფრო დიდ დისკურსულ ძალადაც. ბოლო დროს, მკვლევრები მატერიალური და სტრუქტურული ანალიზების მიღმა გავიდნენ, რათა გამოიკვლიონ, თუ როგორ ინარჩუნებდნენ იმპერიები თავს, არა მხოლოდ შიშველი ფიზიკური ძალის მეშვეობით, არამედ ერთგვარად წარმოებული თანხმობით. „კოლონიურმა“ და „პოსტკოლონიურმა“ მკვლევრებმა შეისწავლეს ის გზები, რომლითაც იძულების ძალას დისკურსული ძალა ავსებდა და ასაბუთებდა. "კოლონიალიზმი", ამტკიცებს ერთ-ერთი ბოლო კრებული, "(როგორც მისი ანალოგი, რასიზმი) დისკურსული ოპერაციაა და, როგორც დისკურსული ოპერაცია, ის კოლონიზებულ ქვეშევრდომებს მოიხმობს [interpellates] მათი წარმოდგენათა სისტემაში ჩართვით. ისინი ყოველთვის უკვე გაწერილები არიან წარმოდგენათა ამ სისტემაში."³⁵ იქნება ეს „წყლის ბავშვების“ ზღაპარი, რომერტ დიქსონის ან რადიარდ კიპლინგის სათავგადასავლო ისტორიები, თუ ბაზარ სპილოს ზღაპრები — ეს ფანტაზიები შეიცავდა აღმატებული და არასრულფასოვანი რასებისა და ერების ნატურალიზებულ სახეებს. კოლონიური კვლევების ერთ-ერთი ყველაზე მეტყველი არგუმენტი ისაა, რომ კოლონიალიზმი და მისი თანმდევი რასიზმი არა მხოლოდ კოლონიზებულის პოზიციას საზღვრავდა, არამედ ძირეულად აყალიბებდა კოლონიზატორის წარმოდგენას საკუთარ თავზე. იმპერიალიზმის ამოცანა იყო მმართველსა და მართულს შორის განსხვავებისა და მანძილის შექმნა და შენარჩუნება. დისკუსიაში, რომელიც ედვარდ საიდის მთავარი ნაშრომით, „ორიენტალიზმით“ დაიწყო და გაგრძელდა მისი უახლესი „კულტურა და იმპერიალიზმით“, მკვლევრებმა შეისწავლეს ის გზები, რომლითაც ევროპამ საკუთარი თავი გაიგო იმით, რაც არ ყოფილა, ანუ, კოლონიზებული მსოფლიოთი.³⁶ ესეების კრებულში, „იმპერიის დამაბულობები“, ენ ლორა სტოლერი და ფრედერიკ კუპერი ზეგავლენების ჩვეულ ხედვას აბრუნებენ: „ევროპა მისი იმპერიული პროექტებით შეიქმნა, ისევე, როგორც კოლონიური მისწრაფებები ჩამოაყალიბა თავად ევროპაში მიმდინარე კონფლიქტებმა“.³⁷ ევროპული თვითგაგებების საფუძველში დევს კოლონიზებულთა და კოლონიზატორთა კატეგორიების აგებისა და კვლავწარმოების ძირითადი პრობლემა, მათი განსხვავებულობის შენარჩუნება, სადაც პირველი მეორეზე დაბლა დგას. XIX საუკუნის დიდი ევროპული საზღვაო იმპერიები "ბურჟუაზიული" იმპერიები იყვნენ, სადაც "მმართველი ელიტები, რომლებიც ძალაუფლების მოპოვებას განზოგადებული მოქალაქეობისა და ინკლუზიური სოციალური უფლებების საფუძველზე ცდილობდნენ, იძულებულები იყვნენ ეპასუხათ

³⁴ Doyle, *Empires*, გვ. 71—72.

³⁵ Chris Tiffin and Alan Lawson, eds., *De-scribing Empire: Post-Colonialism and Textuality* (London: Routledge, 1994), გვ. 3.

³⁶ Edward W. Said, *Orientalism* (New York: Pantheon, 1978); *Culture and Imperialism* (New York: Knopf, 1993).

³⁷ Frederick Cooper and Ann Laura Stoler, "Between Metropole and Colony: Rethinking a Research Agenda," *ნაშრომში Tensions of Empire: Colonial Cultures in a Bourgeois World* (Berkeley: University of California Press, 1997), გვ. i.

მთავარ კითხვაზე: მიესადაგებოდა თუ არა, და ვის მიესადაგებოდა იგივე პრინციპები ძველ საზღვაო იმპერიებსა და ახლად დაპყრობილ ტერიტორიებზე, რომლებიც ახლა ერი-სახელმწიფოების დამოკიდებული ტერიტორიები ხდებოდნენ." ³⁸ მოქალაქეობის ევროპული იდეები ერის წევრობას ეხებოდა, მაგრამ ეს წევრობა კულტურას და აღზრდას გულისხმობდა. დამოკიდებულებები როგორც შიდა დაბალი კლასების, ისე კოლონიებში დაქვემდებარებული ხალხების მიმართ ერის საზღვრების უმნიშვნელოვანეს საკითხთან იყო დაკავშირებული – ვინ უნდა შევიდეს, და რის საფუძველზე, და ვინ უნდა გამოირიცხოს. თანასწორობის ევროპული წარმოდგენები დადგენილ იერარქიებს შეეჯახა; დემოკრატიული თანამონაწილეობის იდეები – გადაწყვეტილების მიღების ავტორიტარული წესს; უნივერსალური გონიერების იდეები კი – „ადგილობრივ“ წარმოდგენებს. ევროპული ხელისუფლების, ძალაუფლებისა და პრივილეგიების განსამტკიცებლად, განსხვავება მმართველსა და მართულს შორის უნდა შენარჩუნებულიყო, დაცულიყო და გაკონტროლებულიყო. რასა განსხვავების ყველაზე მძლავრი ნიშანი იყო, დაკავშირებული ევროპულ კლასობრივ ენასთან, რომელიც უკვე „ეყრდნობოდა მთელ რიგ სახეებსა და მეტაფორებს, რომლებიც თავიდან ბოლომდე რასით იყო განსაზღვრული“.³⁹ მმართველ კლასებს კიდევ ერთხელ უნდა დაემტკიცებინათ თავიანთი განსხვავება მართულებისგან, რაც სულ უფრო რთულდებოდა, რადგან დემოკრატიის განვრცობამ სახალხო კლასებს პოლიტიკაში შესასვლელად გაუხსნა გზა. XIX საუკუნეში, ცივილურობისა და პატივცემულობის დისკურსები გამოარჩევდა მათ, ვისაც მართვის კულტურული კომპეტენცია ჰქონდა, მათგან, ვინც უბრალოდ წარმომადგენლობას საჭიროებდა.⁴⁰

მუდმივად არც ერთი პოლიტიკური საზოგადოება არ არსებობს, ამიტომ ბევრ ისტორიკოსს და სოციოლოგს ყველაზე მეტად აინტერესებდა, თუ რატომ კნინდება და იშლება იმპერიები. რამდენიმემ დაასკვნა, რომ კრიზისი და იმპერიების ნგრევა მათი ბუნების ნაწილია.⁴¹

³⁸ იქვე.

³⁹ იქვე, გვ. 9.

⁴⁰ როგორც სტოლერი და კუპერი აღნიშნავენ, "იმპერიის ყველაზე ძირითადი წინააღმდეგობა" მდგომარეობს იმაში, რომ "კოლონიზებული პირების სხვაობა არც თანდაყოლილი იყო და არც სტაბილური; მისი განსხვავება უნდა განსაზღვრულიყო და შენარჩუნებულიყო... ერთ დროს ნათელი სოციალური საზღვრები, სულაც არ დარჩებოდა ასე" (იქვე, გვ. 7).

⁴¹ ერთ-ერთ ასეთ „გარდუვალობისტს“, ალექსანდრ მოტილს, სასარგებლო განსხვავება შემოაქვს იმპერიულ დაკნინებასა და იმპერიულ დაშლას შორის და ყურადღებას ამახვილებს კრიზისის როლზე საბოლოო დაშლაში. დაკნინების პროცესი მიმდინარეობს „როდესაც ცენტრის აბსოლუტური ძალაუფლება პერიფერიაზე ვეღარ შენარჩუნდება და პერიფერიას შეუძლია და მოქმედებს ცენტრის წების საწინააღმდეგოდ“. დაკნინების მეორე ფორმა, მოტილის მიხედვით, გულისხმობს იმპერატორის მმართველობის აბსოლუტური ხარისხის დაკარგვას. მაგრამ მისი ნაცვლად, რომ უბრალოდ მივიღოთ მოტილის მოსაზრება, რომ „იმპერატორების ძალაუფლება უნდა იყოს შედარებით აბსოლუტური, რათა მათი გადაწყვეტილების მიღების უნარი იმპერიულად ჩაითვალოს“, რაც ეწინააღმდეგება XIX საუკუნის იმ იმპერიების გამოცდილებას, რომლებიც საპარლამენტო მონარქიები ან რესპუბლიკები იყვნენ. თუმცა, თუკი მივყვებით დოილის ზოგად ფორმულირებას, დავასკვნით, რომ მეტროპოლიის ეფექტურობისთვის საჭიროა, მან შეინარჩუნოს შიდა პოლიტიკური ერთობა, რომელსაც შეუძლია დაძლიოს პერიფერიის რეალური ან პოტენციური წინააღმდეგობები. მეტროპოლიური პოლიტიკური ერთეულის

ალექსანდრ მოტილი ასკვნის, რომ "იმპერიების ლპობა თითქოს გარდაუვალი ჩანს... ერთი სიტყვით, იმპერიები არსებითად წინააღმდეგობრივ პოლიტიკურ ურთიერთობებს მოიცავს. ისინი საკუთარ თავს ანადგურებენ, და ამას თავისებურად აკეთებენ, არავითარ შემთხვევაში შემთხვევით და გამორჩეულად პოლიტიკური გზით." მათი შლა მომდინარეობს „პოლიტიკიდან, რომელსაც იმპერიული ელიტები სახელმწიფოს დაცემის შესაჩერებლად ატარებენ“. იქნება ეს ომი, ჰაბსბურგების, რომანოვების და ოსმალეთის შემთხვევაში, რამაც გაანადგურა ცენტრალური სახელმწიფო, თუ რევოლუცია ზემოდან, როგორც გორბაჩოვის საბჭოთა კავშირის შემთხვევაში, როცა ცენტრის შიგნიდან აფეთქებამ დაქვემდებარებულ პერიფერიებს საშუალება მისცა „თავიანთი პრობლემების გადაჭრის გზები დამოუკიდებლად ეძებნათ.“⁴² თუმცა, თუკი იმპერიების მიერ წასაგებ ომებში შესვლის ტენდენციას გარდუვალობად არ მივიღებთ, რაც შეიძლება ნებისმიერ სახელმწიფოს დაემართოს, ან იმას, რომ პარტიის ლიდერად გორბაჩოვის არჩევა ან მის მიერ გატარებული რეფორმების კონკრეტული ფორმა გარდაუვალი იყო და არა პირობითი [contingent], მაშინ არ არსებობს საჯარო პოლიტიკური გადაწყვეტილებების გამო იმპერიების შლის გარდუვალობა. პირიქით, ჩამოშლის ალბათობა, როგორც უკვე მივანიშნე, გამომდინარეობს ორი ფაქტორიდან: ძალისგან, რომელიც ლეგიტიმაციას აძლევს ნაციონალიზმსა და დემოკრატიას და ძირს უთხრის იმპერიის არსებობის გამართლებას და სხვა რყევების გამომწვევი, ასევე ლეგიტიმაციის მიმცემი ფორმულებიდან, როგორცაა დეველოპმენტალიზმი, რომელიც ზუსტად ისეთ ვითარებას ქმნის, სადაც იმპერიული იერარქია და დისკრიმინაცია საჭირო აღარაა.

დეკოლონიზება კონტინენტური იმპერიისთვის ბევრად უფრო რთულია, ვიდრე საზღვაო იმპერიისთვის, რადგან ამ დროს თავად სახელმწიფოს ფორმა იცვლება. სახელმწიფოს დაპატარავება ნიშნავს ზოგიერთი იდეაზე უარის თქმას, რომელიც ამ სახელმწიფოს ინარჩუნებდა, და ლეგიტიმაციის ახალი წყაროების ძიებას. კონტინენტურ იმპერიებს, როგორცაა ჰაბსბურგები, ოსმალეთის, ცარისტული რუსეთისა და საბჭოთა კავშირის — იმპერიაში არ ჰქონდათ მკაფიოდ გამოყოფილი საზღვრები და ამიტომ მიგრაციამ შერეული მოსახლეობა ჩამოაყალიბა, უაღრესად ინტეგრირებული ეკონომიკა და საზიარო ისტორიული გამოცდილება და კულტურული მახასიათებლები – ეს ყველაფერი, სახელმწიფოს მთლიანი ჩამოშლის გარეშე, იმპერიის ბირთვის ან რომელიმე პერიფერიის გამოყოფას უკიდურესად ართულებს. გასაგებია, რომ ოთხი შემთხვევიდან სამში – ჰაბსბურგების, ოსმალეთისა და ცარიზმის იმპერიების დასრულებას წინ ომში დამარცხება უძლოდა. ისიც მართალია, რომ პერიფერიების გამოყოფამ ეს იმპერიები დაასუსტა, თუმცა, ოთხიდან ორ შემთხვევაში (ოსმალეთისა და საბჭოთა კავშირის), სწორედ იმპერიისგან ბირთვის გამოყოფამ – ქემალის

აბსოლუტიზმიდან განაწილებულ ძალაუფლებრივ მოწყობებზე გადასვლა სულაც არ იწვევს იმპერიულ დაკნინებას იქამდე, სანამ ელიტები გაერთიანებულები იქნებიან თავიანთ იმპერიულ პოლიტიკებში.

⁴² იქვე, გვ. 40, 36-37.

ნაციონალისტურმა თურქეთმა ანატოლიაში და ელცინის რუსეთმა – მიაყენა საბოლოო დარტყმა ძველ იმპერიულ სახელმწიფოს.⁴³

ამ თეორიული მსჯელობის შესაჯამებლად, ვამტკიცებ, რომ ჩვენს დროში იმპერიების დაშლა შეიძლება მხოლოდ იმ ინსტიტუციური და დისკურსული ძვრების კონტექსტში გავიგოთ, რაც ერი-სახელმწიფოს აღზევებას ახლდა თან. ისტორიულად, ბევრი ყველაზე წარმატებული სახელმწიფო იმპერიული სახით დაიწყო, თავისი დინასტიური ბირთვით, რომელიც ქორწინების ან დაპყრობის გზით ვრცელდებოდა პერიფერიებზე, იერთებდა მათ, რომლებიც დროთა განმავლობაში ერთ, შედარებით ერთგვაროვან პოლიტიკურ საზოგადოებაში ასიმილირდნენ. XIX საუკუნის ბოლოს, იმპერიები იმ პოლიტიკურ ერთეულებს წარმოადგენდნენ, რომლებიც ან არ იყვნენ დაინტერესებულნი, ან მარცხი იწვნის ერი-სახელმწიფოს მშენებლობის პროექტში. XX საუკუნის იმპერიების მსხვრევადობა ნაციონალიზმის სპეციფიკურ განვითარებასთანაა დაკავშირებული, XIX საუკუნეში სამოქალაქოდან ეთნიკურზე გადასვლასთან, და ერების შექმნასთან, რომლებიც დროთა განმავლობაში სახელმწიფოს შეერწყნენ. ამრიგად, გასული ორი საუკუნის განმავლობაში თანამედროვე სახელმწიფოების უმეტესობის მთავარი პროექტი ნაციონალიზებისკენ იყო მიმართული, ესე იგი, სახელმწიფოში ერის შექმნისკენ, რაც მიზნად ისახავდა ერისა და სახელმწიფოს შერწყმას, ერი-სახელმწიფოს შექმნას. როდესაც ერის დისკურსი პოლიტიკური ლეგიტიმაციის მთავარი წყარო გახდა, თანმხლები პრეტენზიით სახალხო სუვერენიტეტზე თავისი დემოკრატიულობისკენ მიდრეკილებითა და კულტურული ფესვებისკენ მოწოდებით, რაც, თავის მხრივ, უცხო იყო ძველი ევროპული არისტოკრატიის ტრანსნაციონალური კოსმოპოლიტიზმისთვის — ეს ყველაფერი, იმპერიის ფეხებთან დაგდებულ დროში შენელებული ბომბად იქცა.

საფრანგეთიდან გავრცელებულ ნაციონალიზმს თან ახლდა პრეტენზია, რომ კულტურულ საზოგადოებას კონკრეტულ ტერიტორიაზე პოლიტიკური უფლებები ჰქონდა, რითაც შემდეგ უცხო მმართველებისგან დამოუკიდებლობა საბუთდებოდა. მიუხედავად იმისა, იყო თუ არა მონარქი ან თავადაზნაურობა იმავე ეროვნების, რაც ხალხი, ის შეიძლებოდა ერის ნაწილად ან მისთვის უცხოდ განსაზღვრულიყო. როდესაც ნაციონალიზმი სახელმწიფო პატრიოტიზმიდან ეთნიკურ საზოგადოებებთან გაიგივებაზე გადავიდა, რომლებიც თავად არიან ხანგრძლივი ისტორიული და კულტურული ევოლუციების პროდუქტი — ეთნიკურობის ერთი შეხედვით ხანგრძლივობა, სიძველე, ერის ბუნებრიობის, პირველყოფილობის არგუმენტს წარმოადგენდა, რომლის წინაშე დინასტიებისა თუ რელიგიური ინსტიტუციების ხელოვნური პრეტენზია გაფერმკრთალდა. დროთა განმავლობაში, გადარჩენის მოსურნე ნებისმიერი სახელმწიფო ნაციონალიზებული სახელმწიფო უნდა გამხდარიყო, თავი ერთან დაეკავშირებინა, რათა ერის ახალ უნივერსალურ

⁴³ ჯერემი კინგმა მიმითითა, რომ მსგავსი პროცესი მოხდა ავსტრო-უნგრეთის იმპერიაშიც, სადაც XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში გერმანელმა, ჩეხმა და უნგრელმა ურბანულმა ბურჟუაზიებმა შეწყვიტეს მონარქიის მხარდაჭერა.

დისკურსში ლეგიტიმაცია შეეძინა. ნაციონალიზმის ეპოქაში, და უდავოდ პირველი მსოფლიო ომის გამო, ტერმინმა იმპერიამ ხშირ შემთხვევაში (თუმცა არა ყოველთვის; გაიხსენეთ იმპერია სადაც მზე არასდროს ჩადის) საძულველი მნიშვნელობა შეიძინა, რაზეც ბაისინჯერი საუბრობს. ეროვნული თვითგამორკვევის იდეისადმი ვილსონისეულმა და ლენინისტურმა მხარდაჭერამ მნიშვნელოვნად მოარღვია იმპერიების ლეგიტიმაცია იმის მიუხედავად, რომ ორივე სახელმწიფომ, რომელსაც უილსონი და ლენინი ხელმძღვანელობდნენ, მომდევნო ნახევარი საუკუნის განმავლობაში ამა თუ იმ სახით გააგრძელა იმპერიული არსებობა.

ბოლოს უნდა განვიხილოთ ის გზები, რომლითაც საერთაშორისო კონტექსტს თავისი წვლილი შეაქვს იმპერიების სტაბილურობასა და სიმყიფეში, არა მხოლოდ იმ გაგებით, რომ უაღრესად კონკურენტული საერთაშორისო გარემო იმპერიებს რთული ეკონომიკური და სამხედრო გამოწვევების წინაშე აყენებს, არამედ იმ დომინანტური გაგებების დონეზეც, თუ რას წარმოადგენს სახელმწიფოებისთვის ლეგიტიმაცია. გასულ საუკუნეში, როდესაც ერებმა სახელმწიფოებს ლეგიტიმაცია მიანიჭა, საერთაშორისო სამართალმა და საერთაშორისო ორგანიზაციებმა, როგორცაა გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, დაადგინეს ახალი ნორმები, რომლებიც აკანონებდნენ ეროვნულ თვითგამორკვევას, სხვა სახელმწიფოების საქმეებში არჩარევას და სახელმწიფოთა სუვერენულ თანასწორობას. ორივე მსოფლიო ომის შემდეგ, საერთაშორისო ასპარეზზე ახალი სახელმწიფოები და ყოფილი კოლონიები სწრაფადვე მიიღეს, როგორც სრულად დამოუკიდებელი აქტორები. ამ მიღებას საფუძველი ჩაეყარა 1991 წელს, როდესაც ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები – მაგრამ არა მათზე დაბლა მდგომი პოლიტიკური ერთეულები — სწრაფადვე აღიარეს დამოუკიდებელ სახელმწიფოებად ყველა თანმხლები უფლებითა და პრივილეგიით. განსაკუთრებით 1945 წლის შემდგომ პერიოდში, დეკოლონიზების ტალღამ იმპერიები მმართველობის მოძველებულ ფორმებად აქცია, რომელთაც მხოლოდ გარდამავალ ფაზაში ჰქონდათ გამართლება, რასაც ხელი შეიძლებოდა შეეწყო ერი-სახელმწიფოდ განვითარებისთვის. იმპერიების ამგვარი გამართლება იმპერიების რეტროსპექტიულ ისტორიებში გვხვდება. როგორც მაილს კალერი ამბობს, „XX საუკუნის დასაწყისის იმპერიებით დომინირებული სისტემა, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, სწრაფად გადაიხარა ერი-სახელმწიფოებით დომინირებული სისტემისკენ; 1920-იან და 1930-იან წლებთან მკვეთრ კონტრასტში, იმპერია მალევე დაუსაბუთებელ და მოძველებულ ინსტიტუციურ ფორმებად განისაზღვრა“.⁴⁴ კალერი აღნიშნავს, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდის ორი გაბატონებული ძალა, აშშ და სსრკ, „მიუხედავად თავიანთი იმპერიული მემკვიდრეობისა, რიტორიკულად ანტიკოლონიურები იყვნენ,“ ხოლო ამერიკის ეკონომიკურმა ბატონობამ, თავისი ლიბერალური, საბაზრო მიდგომით, „შეამცირა

⁴⁴ Miles Kahler, "Empires, Neo-Empires, and Political Change: The British and French Experience," კრებულში Dawisha and Parrott, ed., *The End of Empire?*, გვ. 288. იმპერიების მსგავსი დელეგიტიმაცია როგორც ჩანს, რამდენიმე ისტორიულ კონიუნქტურაში მოხდა და არა მხოლოდ ორი მსოფლიო ომის შემდეგ, არამედ, მაგალითად, XVIII საუკუნის მეორე ნახევარშიც, როდესაც საფრანგეთის, ესპანეთის და ბრიტანეთის იმპერიებმა ამერიკაში დაშლა დაიწყეს. იხილეთ Pagden, *Lords of All the World*.

იმპერიების, როგორც ფართომასშტაბიანი ეკონომიკური ერთეულების უპირატესობა“.⁴⁵ ამრიგად, როგორც დისკურსის, ისე საერთაშორისო პოლიტიკისა და ეკონომიკის დონეზე, XX საუკუნის ბოლო ყველაზე არახელსაყრელი დრო იყო როგორც ფორმალური საზღვაო იმპერიებისთვის, ისე კონტინენტური იმპერია-სახელმწიფოებისთვის.

ბოლო დრომდე, იმპერიული რუსეთის ისტორიკოსები დიდ ყურადღებას ამახვილებდნენ რუსეთის სახელმწიფოს მშენებლობაზე, ან საერთოდ თავს არიდებდნენ ერის საკითხს, ან მას სახელმწიფოს ცნების ნაწილად განიხილავდნენ. არც ემპირიული და არც თეორიული კვლევა არ ჩატარებულა ცარიზმის, როგორც იმპერიის, ან რუსეთის, როგორც ერის ბუნებაზე. ეს შეიძლება ნაწილობრივ განპირობებული იყოს იმით, რომ რუსეთი ადრე უფრო მეტად დინასტიური სამეფოსთან იყო გაიგივებული, ვიდრე ეთნო-ნაციონალურ ან რელიგიურ საზოგადოებასთან. როგორც პოლ ბუშკოვიჩი აღნიშნავს, ყველაზე ძველი რუსული ისტორიები მმართველ მთავართა საგმირო საქმეების ამბებია, ხოლო დამფუძნებელი ლეგენდები დინასტიებს შეეხება. XV საუკუნის ბოლოდან XVII საუკუნის შუა ხანებში ალექსეი მიხაილოვიჩის მეფობამდე, რუსეთად ითვლებოდა ტერიტორია, რომელსაც რიურისკიდები და მოგვიანებით რომანოვების დინასტია აკონტროლებდა.⁴⁶ რიჩარდ ვორტმანი რუსეთის მონარქიის მიერ და მის შესახებ შექმნილი რიტუალებისა და მითების შესწავლის საფუძველზე ამტკიცებს, რომ XV საუკუნის ბოლოდან XIX საუკუნემდე მონარქიის სახე-ხატი უცხოობა იყო, უბრალო ხალხისგან მმართველისა და ელიტის განცალკევებულობა.⁴⁷ ამბობდნენ, რომ მმართველების წარმომავლობა უცხოური იყო (ვარანგები ბალტიის ზღვის მიღმიდან იყვნენ), და ხშირად ისინი დასავლეთის უცხო მმართველებთან იყვნენ შედარებული. „მმართველის პოლიტიკური და კულტურული უპირატესობის გამოსახატად, უცხო ნიშან-თვისებები პოზიტიურ ღირებულებას ატარებდა, ადგილობრივი კი — ნეიტრალურს ან უარყოფითს“.⁴⁸ მმართველობის მოდელებიც კი უცხო იყო — ბიზანტიური და მონღოლური — ხოლო უცხოობა უპირატესობას გამოხატავდა. მოგვიანებით, XVIII და XIX საუკუნეებში, მმართველის, როგორც დამპყრობლის მითი გამოიყენებოდა მონარქიის მიერ რუსეთში ცივილიზაციისა და პროგრესის მომტანად, ხოლო მმართველი წარმოდგენილი იყო როგორც უანგარო გმირი, რომელმაც რუსეთი დესპოტიზმისა და ნგრევისგან იხსნა.

როგორი ადრეული იდენტობა, ან იდენტობები, ჩამოყალიბდა "რუსებს" შორის? უძველესი ცნობებიდან მოყოლებული, ის ხალხები, რომლებიც შემდეგ რუსეთი გახდნენ, კულტურულად და ენობრივად მრავალფეროვანი იყვნენ.⁴⁹ "გარდასულ დროთა ამბებში"

⁴⁵ იქვე.

⁴⁶ Paul Bushkovitch, "What Is Russia? Russian National Consciousness and the State, 1500-1917," unpublished paper, გვ. 3.

⁴⁷ Richard Wortman, Scenarios of Power: Myth and Ceremony in Russian Monarchy, Vol. I, From Peter the Great to the Death of Nicholas I (Princeton, N.J.: Princeton University Press, 1995).

⁴⁸ იქვე, გვ. 6

⁴⁹ ეს არგუმენტი კარგად ჩამოაყალიბა ანდრეას კაპელერმა ნაშრომში *Russland als Vielvolkerreich: Entstehung, Geschichte, Zerfall* (Munich: C. H. Beck'sche Verlagsbuchhandlung, 1992). გამოვიყენე გი იმარტის ფრანგული თარგმანი, *La Russie, Empire multiethnique* (Paris: Institut d'Etudes Slaves, 1994), გვ. 25-30.

აღნიშნულია, რომ რეგიონში ცხოვრობდნენ სლავები, ბეიტები, თურქი და ფინელი ხალხები და რომ სლავები სხვადასხვა ჯგუფებად იყვნენ დაყოფილი. მათიანეს მიხედვით, სხვადასხვა აღმოსავლური სლავური ხალხი მხოლოდ მას შემდეგ გაერთიანდნენ, რაც ვარანგები, სახელად „რუს“, "რუსეთში" მოვიდნენ. იმ რამდენიმე მკვლევარს შორის, ვინც ეს კითხვა დასვა, ზოგადად თანხმობაა, რომ 988 წელს (ტრადიციული თარიღით) მართლმადიდებლური ქრისტიანობის მიღებიდან და გავრცელებიდან მომდევნო რამდენიმე საუკუნის განმავლობაში, რუსები შეადგენდნენ საზოგადოებას, რომელიც აერთიანებდა მართლმადიდებლობისა და რუსობის იდეებს და თავს განსხვავებულად თვლიდნენ როგორც პოლონეთისა და ლიტვის კათოლიკეებისგან, ისე ვოლგის რეგიონისა და ციმბირის არაქრისტიანი მომთაბარე ხალხებისგან.⁵⁰ დინასტიურ მბრძანებელთან კუთვნილება მნიშვნელოვანი იყო, მაგრამ ეს სახელმწიფოსადმი ლოიალობაში არ უნდა აგვერიოს. მართლაც, სიტყვა „სამეფო“ შეიძლება ბევრად უპრიანი იყოს, ვიდრე „სახელმწიფო“, რადგან ადრეულ ხანაში ხალხი, როგორც საზოგადოება, არ განირჩეოდა პოლიტიკური ხელისუფლისგან. როგორც ვალერი კიველსონი აღნიშნავს, როგორც ჩანს, კიევის დიდ მთავრებს საერთოდ არ ჰქონდათ ან მცირე წარმოდგენა ჰქონდათ სახელმწიფოზე, როგორც შემოსაზღვრულ ტერიტორიულ ერთეულზე, რომელსაც ერთი სუვერენი მართავს, განკარგავს, გადასახადებს იღებს და თავის ხალხს აკონტროლებს. პირიქით, კიევის პოლიტიკური საზოგადოების ტერიტორია ამორფული და თხევადი რჩებოდა. უნიტარული კიევის სამეფოს "დიდი სამთავროს" კონცეფცია და წოდება კიევის ლექსიკასა და პოლიტიკურ ცნობიერებაში ნელ-ნელა შევიდა, როგორც ბიზანტიიდან შემოტანილი. თავად პოლიტიკური საზოგადოება (თუკი არსებობდა ასეთი) არასრულად იყო ჩამოყალიბებული გაფანტულად დასახლებული ხალხების გარშემო („რუსი“) და ფრაგმენტულად იმართებოდა სამთავრო ხაზის ურთიერთდაკავშირებული მოქიშპე და დაპირისპირებული შტოების მიერ. დიდი სამთავრო ანდერძები აჩვენებს, რომ სამთავროთა პოლიტიკების მიზანი პირადი და ნათესაობრივი იყო და მათ არ ჰქონდათ რაიმე ფართო მისწრაფებები შეექმნათ ერთიანი სუვერენიტეტი ან ტერიტორიული მმართველობა.⁵¹

იდენტობა ჩამოყალიბდა როგორც შიგნიდან, რელიგიის, ეკლესიის, და საბოლოოდ ერთიანი მოსკოვის სახელმწიფოს (დაახლოებით XV საუკუნიდან) კონსოლიდაციით, ისე საზღვრებზე იმ ხალხებთან ბრძოლაში, რომლებიც განსხვავებულად მიიჩნეოდნენ. მაშასადამე, თავიდანვე რუსული იდენტობა დაკავშირებული იყო რწმენის ზენაციონალურ სამყაროსთან, ხოლო პოლიტიკური სამყარო მმართველი დინასტიის მიერ იყო ბუნდოვნად განსაზღვრული და მის

⁵⁰ Nicholas V. Riasanovsky, "Historical Consciousness and National Identity: Some Considerations on the History of Russian Nationalism" (New Orleans: Graduate School of Tulane University, 1991), გვ. 2-3; Omeljan Pritsak, "The Origin of Rus", *Russian Review* 36, no. 3 (1977 წლის ივლისი): 249-273.

⁵¹ Valerie Kivelson, "Merciful Father, Impersonal State: Russian Autocracy in Comparative Perspective," *Modern Asian Studies* 31, no. 3 (1997): 637—638.

პერიფერიებზე მცხოვრებ „სხვებთან“ იყო შეპირისპირებული.⁵² რელიგიური მიკუთვნებულობა წინა და ადრე მოდერნულ დროში იმავე ფუნქციას ასრულებდა, რასაც დღეს ეთნიკური მიკუთვნებულობა, როგორც იდენტობის ხელმისაწვდომი ლექსიკონი ასრულებს. სწორედ რელიგიისა და პოლიტიკური საზოგადოების სფეროში მიმდინარეობდა დაპირისპირება იმაზე, თუ რა იყო წევრობის პირობა და როგორი ქცევა იყო სწორი ან არასწორი.⁵³ როგორც ისტორიკოსი რიჩარდ ჰელი ამბობს, „მოსკოველები უფრო ხშირად თავს განმარტავდნენ, როგორც Православные (მართლმადიდებლებს), ვიდრე როგორც Русские (რუსები) რაც, რა თქმა უნდა, ბევრი მათგანი არ იყო“.⁵⁴ მიუხედავად იმისა, რომ სამეფო ეთნიკურად და რელიგიურად სულ უფრო არაერთგვაროვანი ხდებოდა, მოსკოვისადმი მიკუთვნებულობის "ტესტი" მართლმადიდებლობის მიღება იყო. მთელი თავისი იზოლაციისა და ხშირად რეკლამირებული ქსენოფობიის მიუხედავად, რუსეთი გასაკვირად ეკუმენური იყო უცხოელების მიმართ დამოკიდებულებით. „ნებისმიერი უცხოელის მიერ მართლმადიდებლობაზე მოქცევა მას ავტომატურად მოსკოველად აქცევდა, სრულად მიიღებოდა ცენტრალური ხელისუფლების მიერ და, როგორც ჩანს, ადგილობრივი მოსახლეობის მიერაც“.⁵⁵

თუ თავიდანვე არა, მომდევნო რამდენიმე საუკუნეში რუსული იდენტობა მჭიდროდ დაუკავშირდა რელიგიას, ცვალებად, გაფართოებად ტერიტორიასა და სახელმწიფოს. როდესაც ივანე III დიდმა XV საუკუნის შუა ხანებში აიღო ცარის და Самодержец-ის (ავტოკრატი) წოდებები, ის პრეტენზიას აცხადებდა რუსეთის სუვერენულ მმართველობაზე. მოსკოვმა, რომელსაც გასულ საუკუნეში რუსეთის სამთავროები ხშირად უპირატესობას ანიჭებდნენ და რომელსაც მონღოლები აწინაურებდნენ კიდევ, ახლა "ოქროს ურდო" ჩაანაცვლა, როგორც სუვერენულმა ძალამ რუსის მიწებზე" და "ჩინგისიდური იმპერიული ლეგიტიმაციის მანტია" მოირგო.⁵⁶ "იმპერიული სუვერენიტეტი", წერს ვორტმანი, რუსული გაგებით "ერთადერთი ჭეშმარიტი სუვერენიტეტი იყო".⁵⁷ ამავდროულად, ბიზანტიისა და საღვთო რომის იმპერიის ორთავიანი არწივის მითვისებითა და სახეცვლილებით, ივანე დასავლეთის მონარქებთან თანასწორობაზე აცხადებდა პრეტენზიას. რუსი ხალხისგან გამოსაყოფად, მოსკოვის მთავრებმა თავიანთ წინაპრებად რიურიკები გამოაცხადეს და ამით უცხოობა მოირგეს. მათი მოკავშირე, მართლმადიდებლური სამღვდელთა, თანამშრომლობდა იმპერიული მითის აგებაში, რომელიც დახვეწილად გამოიხატა კორონაციის რიტუალებში: „ცერემონიამ იმპერიული მემკვიდრეობის ფიქცია წმინდა

⁵² Michael Cherniavsky, "Russia," in Orest Ranum, ed., *National Consciousness, History, and Political Culture in Early-Modern Europe* (Baltimore: Johns Hopkins University Press, 1975), გვ. 119-121.

⁵³ Gregory Guroff and Alexander Guroff, "The Paradox of Russian National Identity," სტატია წარმოდგენილი იყო რუსეთის ზღვისპირა პროექტის კონფერენციაზე, "The Influence of Ethnicity on Russian Foreign Policy," May 1993, no. 16, გვ. 7-9.

⁵⁴ Richard Hellie, *Slavery in Russia, 1450-1725* (Chicago: University of Chicago Press, 1982), გვ. 392.

⁵⁵ იქვე.

⁵⁶ Kivelson, "Merciful Father, Impersonal State," გვ. 643.

⁵⁷ Wortman, *Scenarios of Power*, გვ. 25.

ქვეყნის იმპერატორად აქცია“.⁵⁸ მიხეილ ჩერნიავსკისთვის, ყაენისა და ბასილეუსის ეს იდეოლოგიური ნაზავი, სხვადასხვა ტრადიციის გარკვეულწილად არათანმიმდევრული სინთეზია, ერთგვარი თამაში. „ამრიგად, რუსი დიდმთავარი ერთდროულად ატარებდა ყაენის, რომის იმპერატორის, მართლმადიდებელი სუვერენისა და ივანე I-ის დინასტიის შთამომავლის (ყაენის ერთგული ქვეშევრდომის) წოდებებს, რომლებიც ერთმანეთს კი არ ეწინააღმდეგებოდნენ, არამედ განამტკიცებდნენ“.⁵⁹

XVI საუკუნის შუა ხანებში ივან IV-ის მიერ ყაზანისა და ასტრახანის დაპყრობით, მოსკოვის სახელმწიფომ შეიერთა ეთნიკურად კომპაქტური არარუსული ტერიტორიები, მართლაც უცხო პოლიტიკური საზოგადოება, და შედარებით ერთგვაროვანი რუსეთი მრავალეროვან იმპერიად გადააქცია. ცარებმა თავიანთი სამეფოს აღსანიშნავად Россия შემოიღეს ნაცვლად Русь-ისა, რომელიც რუსეთის ძირითად ტერიტორიებს აღნიშნავდა. თუმცა, ბიზანტიის იმპერატორისა და მონღოლი ყაენისგან განსხვავებით, რუსეთის მეფე იყო არა მთელი სამყაროს, არამედ მხოლოდ მთელი რუსეთის აბსოლუტური და სუვერენული მმართველი (царь всея руси [სრულიად რუსეთის მეფე]).⁶⁰ მიუხედავად ამისა, როგორც ყაზანისა და ასტრახანის დამპყრობელმა, მოსკოვის ცარმა მონღოლი ყაენების პრესტიჟი მოიპოვა და რაც უფრო სამხრეთისა და აღმოსავლეთისკენ მიიწევდა, ციმბირისა და ჩრდილოეთ კავკასიის მცირე მმართველების ერთგულების მოპოვებასა და მათ დაქვემდებარებას ცდილობდა. როგორც მიხაილ ხოდარკოვსკიმ აჩვენა, როდესაც დალესტნის შამხალმა ან ყაზარდოელმა მთავრებმა ცართან შეთანხმება დადეს, მათ ეგონათ, რომ ხელშეკრულება დადეს, როგორც თანასწორებმა, მაგრამ რუსებმა ეს შეთანხმება ცალსახად არასწორად თარგმნეს, როგორც ერთ-ერთი ქვეშევრდომის ვედრება რუსეთის სუვერენისადმი.⁶¹

რუსეთის იმპერიული ძალაუფლება მოსაზღვრე სამყაროში სუვერენ ზემდგომად შევიდა და ასეც ეპყრობოდა შემხვედრ მცირე მეფეებსა და ხალხებს. სასაზღვრო მიწების დაპყრობა და ანექსია ცარის სუვერენიტეტის გაფართოება იყო, რომელიც ხორციელდებოდა მისი სახლის ან სამეფო კარის მეშვეობით და ჩაფიქრებული იყო, როგორც "რუსული მიწების შეკრების" მორიგი ეტაპი. არარუს ელიტებს, როგორც წესი, რუსი დიდგვაროვნობის ნაწილად აქცევდნენ, როგორც ეს ყაზანისა და ასტრახანის წარჩინებულების შემთხვევაში მოხდა, თუმცა გლეხობის ვალდებულებათა ნაწილი ახლა უკვე მოსკოვისკენ იყო გადამისამართებული. მას შემდეგ, რაც

⁵⁸ იქვე, გვ. 28.

⁵⁹ Cherniavsky, "Russia", გვ. 123; აგრეთვე მისი "Khan or Basileus: An Aspect of Russian Medieval Political Theory," *Journal of the History of Ideas* 20 (October-December 1959): გვ. 459-476; ხელახლა დაბეჭდილი ჩერნიავსკის გამოცემაში, *The Structure of Russian History: Interpretive Essays* (New York: Random House, 1970), გვ. 65—79; და *Tsar and People: Studies in Russian Myths* (New Haven, Conn.: Yale University Press, 1961).

⁶⁰ Paul Bushkovitch, "The Formation of a National Consciousness in Early Modern Russia," *Harvard Ukrainian Studies* 10, no. 3—4 (December 1986): 363.

⁶¹ Michael Khodarkovsky, "From Frontier to Empire: The Concept of the Frontier in Russia, Sixteenth-Eighteenth Centuries," *Russian History*, 19, nos. 1-4 (1992): 115-128; *Where Two Worlds Met: The Russian State and the Kalmyk Nomads, 1600-1771* (Ithaca, N.Y.: Cornell University Press, 1992); და "Of Christianity, Enlightenment and Colonialism: Russia in the North Caucasus, 1550-1800," *Journal of Modern History* 71, no. 2 (June 1999): 394-430.

რეგიონი იმპერიის ნაწილი გახდა, ცარისტული სახელმწიფო მზად იყო სასტიკი ძალა გამოეყენებინა მისი დაკარგვის თავიდან ასაცილებლად. აჯანყებებს უმოწყალოდ ახშობდნენ. მაგრამ, როდესაც უსაფრთხოების პრობლემა მოგვარდა, მოსკოვმა ადგილობრივ ელიტებს, თუმცა უკვე არასუვერენულებს, ნება დართო ემართათ და ძალაში დაეტოვებინათ ტრადიციული წეს-ჩვეულებები და კანონები. რამდენადაც საზღვრისპირა რეგიონები გარკვეულწილად იმპერიის ნაწილები გახდნენ, როგორც სასაზღვრო ტერიტორიები, ბევრი მათგანი ადმინისტრაციულად განსხვავებული დარჩა, თუმცა ყოველთვის ცენტრს ექვემდებარებოდა.⁶²

რუსული ექსპანსია ზეგანსაზღვრული იყო ეკონომიკური, იდეოლოგიური და უსაფრთხოების ინტერესებით. ციმბირში ბეწვისა და ურალში მინერალური სიმდიდრეების საცდური, ვოლგისა და სამხრეთ სტეპის გასწვრივ მომთაბარეთა შემოსევის საფრთხეები, სასოფლო-სამეურნეო მიწებისადმი გლეხების ლტოლვა და სასაზღვრო რეგიონებში თავისუფლებისადმი სწრაფვა — ექსპანსიისთვის დამატებით სტიმულს იძლეოდა. თუმცა, მისიონერული სურვილები მთავარი მოტივაცია არ ყოფილა, მიუხედავად იმისა, რომ ყოველ დაპყრობას შემდეგ მისიონერები მოსდევდნენ. როცა რუსებმა აღმოსავლეთში და სამხრეთში ვაჭრობა დაიწყეს, ამან ისინი ციმბირის ხალხებთან, სამხრეთ სტეპების ყალმუხებთან და მთის კავკასიელებთან დააკავშირა — განსხვავებები რელიგიაში, წეს-ჩვეულებებში, საკვებსა და სურნელში რუსებისთვის უფრო მკაფიოდ გამოჩნდა. მართალია, ზოგი, აღმოსავლეთ საზღვრისპირეთში კაზაკი ვაჭრების მსგავსად, დიდწილად გულგრილი იყო იმის მიმართ, რაც უცხო იყო, სხვები, განსაკუთრებით სასულიერო პირები, მართლმადიდებლობის წარმართებში გავრცელებას ცდილობდნენ.⁶³ მოქცევის შემდეგ უცხოელები ადვილად ასიმილირდებოდნენ ხოლმე რუსულ საზოგადოებაში. „მონებს, ცოლებს ან სახელმწიფო მსახურებს, ახალ ქრისტიანებს, როგორც ჩანს, ქრისტიანებად და რუსებად იღებდნენ... ამგვარად, ხარკის გადამხდელ უცხოელებს, რომლებსაც უცხოელებად დარჩენა სურდათ, შეეძლოთ ტყეში დარჩენილიყვნენ და ხარკი გადაეხადათ, ხოლო მათ, ვისაც უნდოდა ან იძულებული იყო რუსი გამხდარიყო, ამის გაკეთება შეეძლოთ, თუ ისინი წესების მიხედვით ითამაშებდნენ.“⁶⁴

იმავედროულად, როდესაც სხვადასხვა რელიგიისა და ცხოვრების წესის მქონე ხალხები იმპერიული ძალაუფლებისგან განსხვავებულები და მასზე დაქვემდებარებულები რჩებოდნენ, თავად ცარის მმართველი ინსტიტუცია თავს იმპერიის ხალხისგან (Народ) გამოარჩევდა. XVII საუკუნის დასაწყისის არეულობის ხანაში [Смутное время] რუსეთის შიდა რღვევასთან ერთად, ზოგიერთმა ადამიანმა რუსეთი არა უბრალოდ მოსკოვის ცარის

⁶² Marc Raeff, "Patterns of Russian Imperial Policy toward the Nationalities," კრებულში Edward Allworth, ed., Soviet Nationality Problems (New York: Columbia University Press, 1971), გვ. 22-42.

⁶³ Yuri Slezkine, Arctic Mirrors: Russia and the Small Peoples of the North (Ithaca, N.Y.: Cornell University Press, 1994), გვ. 41-45.

⁶⁴ იქვე, გვ. 44-45.

საკუთრებად, არამედ როგორც სახელმწიფოდ წარმოიდგინა, რომელსაც მეფე — და მათ შორის ხალხიც — მართავდა. მაგრამ ახლად შერჩეულმა რომანოვების დინასტიამ, 1613 წლის შემდეგ არ მიიღო ახალი კონცეფცია და, ნაცვლად იმისა, რომ სახალხო კრება გაეხადა არჩევნების საფუძველი, ახალმა მმართველებმა ის ღვთაებრივი შთაგონების შედეგად წარმოადგინეს. დინასტია კვლავ დაშორდა ხალხს და თავისი თავი რიურისა და კიევის მთავრის, წმინდა ვლადიმერის შთამომავლად გამოაცხადა.⁶⁵

უკრაინის (1654) და ვილნიუსის (1656) ანექსიით, იმპერიული პრეტენზიები განმტკიცდა და მონარქი "სრულიად დიდი, პატარა და თეთრი რუსეთის მეფედ" გამოცხადდა.⁶⁶ 1667 წელს შემოღებულ ალექსეი მიხაილოვიჩის სახელმწიფო ბეჭედზე გამოსახული იყო სამგვირგვინოვანი ფრთააწეული არწივი, რაც აღნიშნავდა ყაზანს, ასტრახანსა და ციმბირს, და თან ჰქონდა სვეტების სამი წყება, რომელიც აღნიშნავდა დიდ, პატარა და თეთრ რუსეთს. ცარი, რომელსაც ახლა Святой (წმინდა) ეწოდებოდა, კიდევ უფრო დაშორდა თავის ქვეშევრდომებს იმით, "რომ თავი სამეფოს უზენაეს თაყვანისმცემლად წარმოადგინა, ვინც ღვთისმოსაობით ყველას აღემატებოდა".⁶⁷ საუკუნის ბოლოს კი, ცარი ფედორი "დიდრუსეთის სამეფოზე" (Великороссийское Царствие) მიუთითებდა, "ტერმინზე, რომელიც იმპერიულ, აბსოლუტისტურ სახელმწიფოს აღნიშნავს და ემორჩილება როგორც რუსული, ისე არარუსული ტერიტორიები".⁶⁸ იმპერიის XVII საუკუნისეულ ხედვაში დიდრუსეთი, მეფე და სახელმწიფო სუვერენიტეტისა და აბსოლუტიზმის ერთ კონცეფციაში მოექცა, ხოლო სახელმწიფო, იმპერია და თვითმპყრობელი ცარი ლეგიტიმაციათა დახვეწილ ურთიერთგანამტკიცებელ სისტემაში გაერთიანდა. ვორტმანის თანახმად, რუსეთში "სიტყვა იმპერია რამდენიმე ურთიერთდაკავშირებულ, თუმცა განსხვავებული მნიშვნელობებს ატარებდა. პირველი, ის ნიშნავდა იმპერიულ ბატონობას ან უზენაეს ძალაუფლებას, რომელიც შეუზღუდავია სხვა ხელისუფლების [authority] მიერ. მეორე, ის ნიშნავდა იმპერიულ ექსპანსიას, არარუსული მიწების დიდ დაპყრობებს. მესამე, ის გულისხმობდა ქრისტიანულ იმპერიას, ბიზანტიის იმპერატორის, როგორც მართლმადიდებლობის დამცველის

⁶⁵ ბუშკოვიჩი ყურადღებას ამახვილებს XVII საუკუნის შედარებით ნაკლებად ცნობილ პროცესზე, რასაც ის უწოდებს "აღორძინების სლავიზმს", პოლონეთში, ხორვატიაში და სხვაგან განვითარებულ იდეას, რომ ყველა სლავს უძველესი და გამორჩეული წარმოშობა აქვს. პოლონელმა მწერლებმა ისინი ძველ სარმატებს დაუკავშირეს, ხოლო სიმეონ პოლოცკის მსგავსმა მკვლევრებმა რუსულ წრეებში შეიტანეს იდეა, რომ რუსები სარმატულ ტომს წარმოადგენენ. XVIII საუკუნეში ეს იდეა ტატიშჩევისა და ლომონოსოვის ნაშრომებშიც მოხვდა, რომლებმაც ის თავიანთ სახელმწიფოზე ორიენტირებულ ისტორიებს მოარგეს. მაგრამ უფრო იმპერიული იდეოლოგიის დაწინაურებითა და განმანათლებლობის იდეების შემოტანასთან ერთად ეს იდეა თანდათან გაქრა და ის კარამზინის XIX საუკუნის დასაწყისის ისტორიაში აღარ გვხვდება. იხ. Bushkovitch, "What Is Russia?" გვ. 4-7.

⁶⁶ James Cracraft, "Empire versus Nation: Russian Political Theory under Peter I," *Harvard Ukrainian Studies*, 10, no. 3-4 (December 1986): 524-540; ხელახლა დაიბეჭდა კრებულში Cracraft, ed., *Major Problems in the History of Imperial Russia* (Lexington: Heath, 1994), გვ. 224-234. ციტატები შემდგომში ამ უკანასკნელი პუბლიკაციიდანაა.

⁶⁷ Wortman, *Scenarios of Power*, გვ. 33.

⁶⁸ იქვე, გვ. 38.

მემკვიდრეობას. ეს მნიშვნელობები ერთმანეთში იყო არეული და ერთმანეთს განამტკიცებდა“.⁶⁹

მაგრამ ცარი არა მხოლოდ წმინდა მმართველი, ქრისტიანი მონარქი და ეკლესიის ყველაზე ღვთისმოსავი მეთაური იყო, არამედ მზარდი ბიუროკრატიული სახელმწიფოს ძლიერი საერო მმართველიც, დამპყრობელი და დიდებულებისა და ჯარების მთავარსარდალი. პეტრე დიდის ტახტზე ასვლის შემდეგ, ქრისტიანი იმპერატორისა და ქრისტიანული იმპერიის იდეამ გზა დაუთმო ბევრად უფრო საერო — „დაპყრობისა და ძალაუფლების დასავლურ მითს“.⁷⁰ „პეტრემ ტახტზე ასვლის შემდეგ გამოაცხადა, რომ რუსი ცარის ძალაუფლების წყარო არა მემკვიდრეობის ღვთიური წესით დადგენილი ტრადიციები იყო, არამედ ბრძოლის ველზე მიღწეული წარმატებები... დამპყრობლის სახემ წარმომავლობის ძველი ფიქციები ჩაანაცვლა“.⁷¹ პეტრემ უცხოობის სახე ახალ უკიდურესობებამდე მიიყვანა, მან კანონად აქცია თავისი პრეფერენციები უწვერობის, უცხოური სამოსის, ბაროკოს არქიტექტურისა და ჰოლანდიური, გერმანული და ინგლისური ტექნოლოგიების მიმართ. მან ახალი დედაქალაქი ააშენა, როგორც „ფანჯარა დასავლეთისკენ“. რუსეთისთვის შექმნა ახალი ცივილური საზოგადოება, ქალები საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩააბა, რაც დაგვირგვინდა მისი მეორე ცოლის, უაზნო ეკატერინეს, რუსეთის იმპერატორ-დედოფლად კურთხევით. 1721 წელს მან იმპერატორის წოდება მიიღო და რუსეთი იმპერიად აქცია. „პეტრეს იდეოლოგია რაციონალიზმის ეპოქის პირმშო იყო, და ამიტომ მის მიერ რუსეთის „ზოგად კეთილდღეობაში“ შეტანილი წვლილი მისი მმართველობის ლეგიტიმაციის წყაროდ გამოცხადდა“.⁷² იმპერატორი იყო „სამშობლოს მამა“ (Отец отечества) და ამიერიდან, „სუვერენსა და მის ქვეშევრდომებს შორის ურთიერთობა დაფუძნებული უნდა ყოფილიყო არა მემკვიდრეობით უფლებასა და პირად ვალდებულებაზე, არამედ სახელმწიფოს მსახურების ვალდებულებაზე“.⁷³

ზოგი ისტორიკოსი რუსეთის ეროვნული ცნობიერების დაბადებას XVII საუკუნეს უკავშირებს, ან სულ მცირე, პეტრეს დროს. მაგალითად, მიხეილ ჩერნიავესკი ამტკიცებს, რომ XVII საუკუნის ბოლოს საეკლესიო სქიზმისა და პეტრე I-ის რეფორმების შედეგად ორმაგი ცნობიერება წარმოიშვა: ევროპეიზებული თავადაზნაურების, რომლებიც საკუთარ თავს „რუსეთთან“ აიგივებდნენ და თვლიდნენ, რომ ისინი „განსაზღვრებისამებრ რუსულ“ საქმეს აკეთებდნენ და ძველმორწმუნეების, და ზოგადად გლეხების, ცნობიერება, რომლებმაც „დაიწყეს წვერის, ტრადიციული სამოსისა და ძველი რიტუალების ჯიუტი მიდევნება, რითაც, ტახტის წინააღმდეგ, მათ თავიანთი რუსული იდენტობა შექმნეს“.⁷⁴ ამ ხედვის მიხედვით, „ეროვნული

⁶⁹ იქვე, გვ. 6.

⁷⁰ იქვე, გვ. 41.

⁷¹ იქვე, გვ. 44.

⁷² იქვე, გვ. 61

⁷³ იქვე, გვ. 64.

⁷⁴ Cherniavsky, "Russia," გვ. 141.

ცნობიერება წარმოიშვა, როგორც სახალხო რეაქცია აბსოლუტისტური სახელმწიფოს თვითიდენტობაზე, იმ იდეით, რომ ის, რაც მას უპირისპირდებოდა — ცარის, იმპერიისა და მართლმადიდებლობის აბსოლუტისტური ცნობიერება — შეიძლებოდა ჩამოცილებულიყო რუსულ თვითიდენტობას".⁷⁵ თუმცა, ჯეიმს კრეკრაფტს ამ ხედვაში მნიშვნელოვანი შესწორება შეაქვს და აღნიშნავს, რომ ნიკონისა და პეტრეს რეფორმებზე რეაქციის დიდი ნაწილი, არა ქსენოფობიის ან ეროვნული ცნობიერების გამოხატულება იყო, არამედ უმეტესწილად "მტკივნეული წინააღმდეგობა ქვეყნის იმ კოდექსის მიმართ, რომელიც ძალადობდა მათ ჯერ კიდევ არსებითად რელიგიურ მსოფლმხედველობაზე".⁷⁶ იდეები იმის შესახებ, თუ რას ნიშნავდა რუსეთი და რუსობა, სოციალურ ჯგუფებს შორის და მათ შიგნით კონკურენციის საგანი იყო, იდენტობათა არეულ, ცვალებად, არასისტემურ თამაშში, სადაც რელიგიური და ეთნოკულტურული განსხვავებები ერთმანეთს კვეთდნენ და განამტკიცებდნენ. რუსობა კვლავ მჭიდროდ იყო დაკავშირებული მართლმადიდებლობასთან, მაგრამ ასევე ცარის სამეფოში ცხოვრებასთან. როდესაც სახელმწიფო დაშორდა საზოგადოების უფრო ტრადიციულ ეთნორელიგიურ განცდას და პოლიტიკური ცივილიზაციის არაეთნიკური, კოსმოპოლიტური, ევროპული გაგებისკენ გადაიხარა, ხალხი "რუსული" საზოგადოების ამ ორ გაგებას შორის მოყვა.

XVIII საუკუნისთვის რუსეთი იმპერია იყო დიდი სახელმწიფო მრავალმხრივი გაგებით, რომლის მმართველი სრულ, აბსოლუტურ სუვერენულ ძალაუფლებას ახორციელებდა მის მრავალფეროვან ტერიტორიებზე და ქვეშევრდომებზე. მისი თეორეტიკოსები შეგნებულად აიგივებდნენ ამ პოლიტიკურ საზოგადოებას წარსული იმპერიების ენასა და სახეებთან. პეტრე დიდმა ჩამოაყალიბა იმპერატორის, როგორც გმირისა და ღმერთის სახე-ხატი, ვინც სხვა ადამიანებზე მაღლა იდგა და თავისი ქვეშევრდომების საერთო კეთილდღეობისთვის ზრუნავდა.⁷⁷ მან თავის მემკვიდრეებს, რომელთაგან ოთხი ქალი იყო, არისტოკრატების სტაბილური და უსაფრთხო მმართველი კლასი დაუტოვა. მიუხედავად რამდენიმე ჩაშლილი და წარმატებული გადატრიალებისა, ცარი და თავადაზნაურობა ერთმანეთს ორივესთვის ხელსაყრელი წყობის შენარჩუნებაში ეხმარებოდნენ, რომელშიც იმპერიული კარისა და თავადაზნაურობის ინტერესები ქვეყნის საერთო კეთილდღეობად იყო გამოცხადებული.⁷⁸ XVIII საუკუნის მონარქები აერთიანებდნენ დამპყრობლისა და აღმშენებლის ასპექტებს და ამავდროულად ინარჩუნებდნენ როგორც ბატონ-ყმობას, ისე ყმების მფლობელ დიდგვაროვანთა ფენას.⁷⁹ ამ კოსმოპოლიტურ სამყაროში დაბადებით მიღებულ პრივილეგიებთან და დაბრკოლებებთან შედარებით, ეთნიკურობა და რელიგია მეორეხარისხოვანი იყო.

⁷⁵ იქვე, გვ. 140.

⁷⁶ Cracraft, "Empire versus Nation," გვ. 225.

⁷⁷ Wortman, Scenarios of Power, გვ. 81.

⁷⁸ იქვე., გვ. 82; სახელმწიფოს როგორც არისტოკრატთა ინტერესების დამცველის განხილვისთვის, იხილეთ Ronald Grigor Suny, "Rehabilitating Tsarism: The Imperial State and Its Historians," *Comparative Studies in Society and History* 31, no. i (January 1989): 168-179.

⁷⁹ Wortman, Scenarios of Power, გვ. 82-83.

მიუხედავად იმისა, რომ რიგი სპეციალისტები, განსაკუთრებით ჰანს როგერი, წერდნენ XVIII საუკუნის რუსეთში ეროვნულ ცნობიერებაზე, რუსეთთან გაიგივება, ყოველ შემთხვევაში დიდებულებსა და განათლებულ მოსახლეობაში, ძირითადად სახელმწიფო პატრიოტიზმის განცდას გულისხმობდა, ანუ გაიგივებას სახელმწიფოსთან და მის მმართველთან და არა ერთან, როგორც სახელმწიფოსგან დამოუკიდებლად წარმოდგენილ უფრო ფართო პოლიტიკურ საზოგადოებასთან. როგორც სინტია ჰილა უიტაკერი გვიჩვენებს, XVIII საუკუნის რუსეთის 45 მოყვარული ისტორიკოსი ძირითადად დაკავებული იყო ავტოკრატიის რელიგიური დასაბუთების — ახალი, სეკულარული დასაბუთებით ჩანაცვლებით, რაც გულისხმობდა დინასტიური უწყვეტობის, მმართველის დინამიურობის, ხალხის კეთილდღეობაზე მისი ზრუნვის ან მართველობის ალტერნატიულ ფორმებზე თვითმპყრობელობის უპირატესობის ჩვენებას.⁸⁰ და მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი ისტორიკოსი, მაგალითად, ვასილი ტატიშჩევი (1686-1750), ამტკიცებდა, რომ დასაბამისეული კონტრაქტი ხალხსა და ცარს შორის იყო გაფორმებული, მათაც კი სჯეროდათ, რომ ამ შეთანხმების დადების შემდეგ მას "ვერავინ დაარღვევდა".⁸¹ მმართველები ქირაობდნენ ისტორიკოსებს, რათა ისინი დაპირისპირებოდნენ უცხოელების მიერ გავრცელებულ „ტყუილებსა“ და „სიყალბეებს“. შესაძლოა, ყველა სოციალური ფენის რუსს ჰქონდა იდენტობის განცდა, რომლითაც ის ყველაფერ რუსულს პოზიტიურად ან ნეგატიურად უპირისპირებდა გერმანულს, პოლონურს ან ფრანგულს. რუსი მწერლები იზიარებდნენ ეროვნული განსხვავებების აღნიშვნის ზოგად ევროპულ პრაქტიკას, ან რასაც „ეროვნული ხასიათი“ შეიძლება ეწოდოს, პრაქტიკას, რომელშიც განმანათლებლობის მოღვაწეები, ვოლტერით და მონტესკიეთი დაწყებული, ჰერდერით და ბლუმენბახით დამთავრებული, ყველანი ჩართულები იყვნენ. განსხვავებისადმი ამ მგრძობელობას მოწმობდა "რუსი" დიდებულების წინააღმდეგობა და უკმაყოფილება "უცხოელებისადმი", რომლებიც სახელმწიფო სამსახურში ძალიან მაღალ თანამდებობებს იკავებდნენ. ანნას მეფობის დროს როცა ეს პრინციპი დაირღვა, რუსმა დიდებულებმა გააპროტესტეს იმპერატორის გარშემო მყოფი გერმანელი ბარონების ხილვადობა. აქ პატრიოტიზმი არა მხოლოდ პრივილეგიების დაცვისა და ძალაუფლებისთვის ბრძოლაში კონკურენტების დათრგუნვის საშუალება იყო, არამედ, ერთ ჯგუფში მეორის წინააღმდეგ სოლიდარობის გაძლიერებით უფრო პოზიტიურ ფუნქციასაც ასრულებდა. ანნას ან პეტრე III-ის გერმანოფილიასთან გაცნობიერებულ წინააღმდეგობაში, ელიზაბეტის და ეკატერინე II-ის კორონაციები რესტავრაციის შესტები იყო, რომლებიც პეტრე დიდის დიდებას აბრუნებდნენ. ამ მონარქების ხედვით, პეტრე ავთენტურ რუსეთს წარმოადგენდა, ხოლო ელიზაბეტმა მაქსიმალურად გამოიყენა ის, რომ იგი პეტრესა და ეკატერინე I-ის ქალიშვილი იყო. გერმანელი პრინცესა, შემდეგში ეკატერინე II, შეიძლება ლეგიტიმური მმართველობის უფლების არმქონე უზურპატორად მიჩნეულიყო,

⁸⁰ Cynthia Hyla Whittaker, "The Idea of Autocracy among Eighteenth-Century Russian Historians," კრებულში Jane Burbank and David Ransel, eds., *Imperial Russia: New Histories for the Empire* (Bloomington: Indiana University Press, 1998), გვ. 32-59.

⁸¹ იქვე, გვ. 41.

თუმცა, მის მიერ ძალაუფლების ხელში ჩაგდება გამართლდა, როგორც უცხოელი ტირანისგან გათავისუფლების აქტი. ის გამოსახული იყო არა მხოლოდ მინერვად, განმანათლებლობის განსახიერებად, არამედ მონარქად, რომელსაც უყვარდა რუსეთი და პატივს სცემდა მის მართლმადიდებლურ რელიგიას. მართალია, იგი კოსმოპოლიტური კულტურით იყო გარემოცული, რომელშიც რუსულის ნაცვლად ფრანგულად ლაპარაკს ამჯობინებდნენ, წარჩინებულთა ელიტა რუსული ეთნიკური კულტურის ელემენტებისადმი გულგრილი არ ყოფილა: "დიდრუსული შეფერილობის იმპერიული პატრიოტიზმი XVIII საუკუნის მეორე ნახევრის ისტორიისა და ლიტერატურის თემა იყო".⁸² ეკატერინეს კარზე სხვადასხვა ეთნიკური წარმომავლობის დიდგვაროვნები ერთნაირ სამოსს ატარებდნენ, ხოლო იმპერატორმა ქალებისთვის მშობლიური ელემენტების მქონე „რუსული ტანსაცმელი“ შემოიღო.

რუსეთი იმპერიის მშენებლობის განსაკუთრებულ ლოგიკას მისდევდა. ტერიტორიის ხელში ჩაგდების შემდეგ, როგორც წესი, დაპყრობით, ხშირად დასახლების გაფართოებით, ცარის ქვეშევრდომები ადგილობრივ ელიტებს იმპერიის მსახურობაზე ითანხმებდნენ.⁸³ მაგრამ ბევრ პერიფერიაში, როგორებიცაა ვოლგა, ციმბირი, ამიერკავკასია და ცენტრალური აზია, ინტეგრაცია ელიტებით დასრულდა (და ისინიც მხოლოდ ნაწილობრივ ჩართეს) და არ მოიცავდა რიგით გლეხს, თუ მომთაბარე მოსახლეობას, რომლებმაც შეინარჩუნეს თავიანთი ტომობრივი, ეთნიკური და რელიგიური იდენტობები. ზოგი ელიტა — თათარი და უკრაინელი დიდგვაროვნები — რუსულ дворянство-ში (აზნაურობა) შეერია, მაგრამ სხვებმა, ბალტიისპირეთის გერმანელმა ბარონებმა ან ფინეთის შვედმა არისტოკრატებმა, შეინარჩუნეს თავიანთი პრივილეგიები და განცალკევებული იდენტობები. პოლიტიკური საზოგადოების „ნაციონალიზება“, გაერთვაროვნება, საერთო „რუსულ“ საზოგადოებაში (განსაკუთრებით, დიდებულებს შორის) განსხვავებული ხალხების ინტეგრირება, თანაარსებობდა დისკრიმინაციისა და გამორჩევის პოლიტიკასთან. მათი საყაენოს დამორჩილების შემდეგ, რუსეთმა ბაშკირებს უფლებები მიანიჭა, როგორც ვოლგის რეგიონის სამხედრო მმართველს. ზოგიერთ ხალხს, მაგალითად, ქართველებს, უფლება მიეცათ შეენარჩუნებინათ თავიანთი ჩვეულებითი სამართალი; გერმანელი ბარონები და ბერძენი და სომეხი ვაჭრები ეკონომიკური და სამართლებრივი შეღავათებით სარგებლობდნენ, ხოლო ებრაელებს ეკრძალებოდათ მუდმივი დასახლების არედან ემიგრაცია. მუსლიმთა რელიგიურ და სოციალურ ცხოვრებას სახელმწიფო არეგულირებდა.

რელიგია რუსებსა და არარუსებს შორის განსხვავების მთავარ ნიშნად რჩებოდა, ხოლო საკუთრივ რელიგიური იდენტობა მიიჩნეოდა, რომ სხვის არსებით თვისებებს ავლენდა, რაც

⁸² Wortman, *Scenarios of Power*, p. 136.

⁸³ Raeff, "Patterns of Russian Imperial Policy toward the Nationalities"; "In the Imperial Manner," კრებულში Marc Raeff, ed., *Catherine the Great: A Profile* (New York: Hill & Wang, 1972), გვ. 197—246; S. Frederick Starr, "Tsarist Government: The Imperial Dimension," კრებულში Jeremy Azrael, ed., *Soviet Nationality Policies and Practices* (New York: Praeger, 1978), გვ. 3-38.

ქვეყნის პროგნოზირებას აადვილებდა. მართლმადიდებელი ქრისტიანები უფრო ლოიალურებად მიიჩნეოდნენ, ვიდრე ორპირი მუსლიმები. "განმანათლებელი" სახელმწიფო მოხელეები ხშირად ამტკიცებდნენ, რომ მართლმადიდებლურ ქრისტიანობაზე მოქცევა გააძლიერებდა იმპერიას და ასევე ცივილიზაციას შეიტანდა საზღვრისპირა ტერიტორიების ბნელ მოსახლეობაში.⁸⁴ მიუხედავად იმისა, რომ მსგავსი რელიგიური „გარუსების“ მცდელობები ფრაგმენტული იყო, მათ აღქმის დონეზე განამტკიცეს კავშირი რუსობასა და მართლმადიდებლობას შორის. დაწყებული პეტრეს მცდელობებით, მოეხდინა რუსეთის მოდერნიზება, სახელმწიფომ და ეკლესიამ გააძლიერეს აქამდე სპორადული მცდელობები, მიეტანათ მართლმადიდებლობისა და დასავლური სწავლების სარგებელი აღმოსავლეთისა და სამხრეთის ბნელი არარუსებისთვის.⁸⁵

როდესაც ევროპა 1789 წლის [საფრანგეთის რევოლუციის] შედეგებს იმკიდა, რუსეთი წარმოადგენდა "ყველაზე იმპერიულ ერს, რომელიც უფრო მეტ ხალხს აერთიანებდა, ვიდრე ნებისმიერი სხვა". აკადემიკოსი ჰაინრიხ სტორხი 1797 წელს ხოტბას ასხამდა რუსეთის ეთნოგრაფიულ მრავალფეროვნებას და აღნიშნავდა, რომ „დედამიწაზე არც ერთი სხვა სახელმწიფო არ იტევს ასეთ მრავალფეროვან მოსახლეობას“.⁸⁶ რუსეთი თავის წარმოსახვაში ხელახლა დაბადებული რომის იმპერია იყო. როდესაც საფრანგეთის რევოლუციისა და ნაპოლეონის ომების შემდეგ ერის დისკურსი ჩამოყალიბდა და მას შემდეგ, რაც „ხალხისა“ და სახალხო სუვერენიტეტის ცნებები ევროპაში გავრცელდა, უცხო ცარის ტრადიციული მონარქიული იდეები გასაქანს არ აძლევდა ახალ ეროვნულ პოპულიზმს. ნაპოლეონისადმი რუსეთის წინააღმდეგობამ, ისევე, როგორც იმპერიის გაფართოებამ კავკასიასა და ფინეთში, მხოლოდ გააძლიერა დაუმარცხებელი ძალაუფლების იმპერიული სახე, რომელიც ფიზიკურად წარმოჩინდა როგორც ბრძოლის ველზე, ისე სამწყობრო მოედანზე XIX საუკუნის დასაწყისის სასტიკი ცარების მიერ.⁸⁷ 1812 წელს საფრანგეთის რუსეთში შეჭრის მომენტში, ალექსანდრე I-მა გამოსცა რესკრიპტი, რომელშიც ნათქვამია: "მე იარაღს იქამდე არ დავდებ, სანამ ჩემს იმპერიაში მტრის უკანასკნელი ჯარისკაცი რჩება".⁸⁸ რუსი ხალხი ნახსენები არ ყოფილა, ვინაიდან იმპერია იმპერატორის საკუთრებად იყო წარმოდგენილი. მაშინაც კი, როცა ფრანგები მოსკოვისკენ დაიძრნენ, მრჩევლებს ალექსანდრეს დარწმუნება დასჭირდათ, რომ იგი მოსკოვში წასულიყო და ეროვნული ლიდერის როლი ეკისრა. მისი მანიფესტები, რომელსაც კონსერვატორი პოეტი ადმირალი შიმკოვი წერდა, "ხალხის პატრიოტულ და რელიგიურ გრძნობებზე აპელირებდა".⁸⁹ იმდროინდელი მწერლები ცარს წარმოადგენდნენ, როგორც "ღვთის ანგელოზს", "მამაო ჩვენოს", რომელსაც ჰყვარობდა მისი ქვეშევრდომი ხალხი

⁸⁴ Michael Khodarkovsky, "Not by Word Alone": Missionary Policies and Religious Conversion in Early Modern Russia," *Comparative Study of Society and History*, 38, no. 2 (April 1996): 267-293.

⁸⁵ Slezkine, *Arctic Minors*, გვ. 47-71; Kappeler, *La Russie*, გვ. 47.

⁸⁶ როგორც ციტირებულია Kappeler, *Russland als Vielvolkerreich*, გვ. 121; Wortman, *Scenarios of Power*, გვ. 136-137.

⁸⁷ Wortman, *Scenarios of Power*, გვ. 170.

⁸⁸ იქვე., გვ. 217.

⁸⁹ იქვე., გვ. 218.

და რომელთა მიმართაც ის დიდ სიყვარულს გრძნობდა, ხოლო მას შემდეგ, რაც ფრანგებმა რუსეთიდან უკან დაიხიეს, მტრებისგან რუსეთის გათავისუფლების მიზეზად "ღმერთის მიერ ჩვენთვის მონდობილი ხალხის დიდი სიმამაცე" და ღვთაებრივი განგება გამოცხადდა.⁹⁰ რუსეთის ხელისუფლება წინააღმდეგობას უწევდა დიდი გამარჯვების სახალხო ტრიუმფად წარმოჩენას და სანაცვლოდ მას წარმოადგენდა, როგორც ერთგული ხალხით მხარდაჭერილი თვითმპყრობელობის ღვთით დადგენილ ტრიუმფს. როგორც ვორტმენი ამბობს, „იმპერიულ სცენარში ხალხის ჩართვა საფრთხეს უქმნიდა ცარის, როგორც უზენაესი ძალის ხატებას, რომლის წოდება გარედან ან ზემოდან მოდიოდა, ღვთაებრივი მანდატიდან ან გონის ემანაციებიდან. სოციალური თვალსაზრისით შეუძლებელი იყო ხალხის ისტორიულ აგენტად გამოსახვა იმ სცენარში, რომელიც მონარქის — როგორც მმართველი ელიტის იდეალის — ძალაუფლების განდიდებას ემსახურებოდა“.⁹¹

ნაპოლეონის ომებიდან რუსეთი კიდევ უფრო იმპერიული გამოვიდა, ვიდრე XVIII საუკუნეში იყო. ახლა უკვე ფინეთის დიდი საჰერცოგოს მფლობელი, იმპერატორი იქ კონსტიტუციურ მონარქად მსახურობდა, სადაც დიდი საჰერცოგოს საჯარო სამართალი უნდა დაეცვა, ხოლო პოლონეთის სამეფოში (1815-1832) ის Цар Польский იყო, პოლონეთის კონსტიტუციური მეფე. 1832 წელს კოდირებული ფუნდამენტური კანონების თანახმად, „რუსეთის იმპერატორი არის თვითმპყრობელი (самодержавный) და შეუზღუდავი (неограниченный) მონარქი“, მაგრამ მისი სამეფო კანონებით, Rechtsstaat-ით იმართებოდა და ამით აღმოსავლეთის დესპოტიზმებისგან განსხვავდებოდა.⁹² მეფე თავისი ხალხისგან ცალკე და მასზე მაღლა იდგა; მისი ხალხი კვლავ მრავალფეროვანი იყო არა მხოლოდ ეთნიკურად, არამედ მათი მმართველი ინსტიტუციების კუთხითაც. გამარჯვებული რუსეთი საფრანგეთის რევოლუციის პრინციპების წინააღმდეგ კონსერვატიული ბასტიონი იყო და მრავალი თვალსაზრისით — ნაციონალიზმის ანტიეთეზისი. ალექსანდრე I-მა ეს პირადად გამოხატა გეგმაში, შეექმნა წმინდა ალიანსი, სადაც სხვადასხვა სახელმწიფო "ერთიანი ქრისტიანული ერის" წევრებად გამოაცხადებდნენ თავს, რომელსაც "ქრისტიანი ხალხის თვითმპყრობელი", იესო ქრისტე მართავს.⁹³

შეიძლება დასახელდეს რუსეთის ერად ვერჩამოყალიბების ოთხი მიზეზი. პირველი მათგანი ღრმად იყო ფესვგადგმული ცარისტული რუსეთის უზარმაზარ გეოგრაფიაში, შეზღუდული რესურსების, მოსახლეობისა და კომუნიკაციის სიმჭიდროვის ნაკლებობაში.⁹⁴ ეკონომიკური, სამართლებრივი და კულტურული კავშირების ქსელი არ გაზრდილა ისეთივე მასშტაბით, როგორც, ვთქვათ, ადრეულ მოდერნულ საფრანგეთში.⁹⁵ რუსეთი იმდენად დიდი იყო, მისი

⁹⁰ იქვე., გვ. 221.

⁹¹ იქვე., გვ. 222.

⁹² Marc Szeftel, "The Form of Government of the Russian Empire Prior to the Constitutional Reforms of 1905-06," კრებულში John Shelton Curtiss, ed., *Essays in Russian and Soviet History in Honor of Geroid Tanquary Robinson* (New York: Columbia University Press, 1962), გვ. 105-119.

⁹³ იქვე., გვ. 230.

⁹⁴ Victor Lieberman, "Transcending East-West Dichotomies."

⁹⁵ საფრანგეთის შემთხვევისთვის, იხილეთ Jonathan Dewald, *Pont-St.-Pierre 1398—1789: Lordship, Community, and Capitalism in Early Modern France* (Berkeley: University of California Press, 1987), გვ. 284.

საგზაო სისტემა კი იმდენად ცუდი, ხოლო მისი ურბანული დასახლებები იმდენად ცოტა და ერთმანეთისგან დაშორებული, რომ სახელმწიფოსთვის უკიდურესად რთული იყო ხშირად განეხორციელებინა თავისი ნება ქვეშევრდომებზე. გლეხებს დიდწილად შეეხება ჰქონდათ ადგილობრივ ბატონთან ან, უფრო სავარაუდოა, მამულის მმართველებთან და არა სახელმწიფო ხელისუფლებასთან, რომელსაც მხოლოდ მაშინ გრძნობდნენ, როცა ჯარში გამწვევი ჩინოვნიკი გამოჩნდებოდა ან ვერ იხდიდნენ გადასახადებს ან მოსაკრებლებს. არარუსებზე არაპირდაპირი მმართველობა ხშირად ნორმად ითვლებოდა, და XIX საუკუნის ბოლომდე არარუსების კულტურას მცირედით თუ ეხებოდნენ.

ამას იმპერიაში ერის ვერ ჩამოყალიბების მეორე მიზეზთან — შეუსაბამო ეპოქასთან მივყავართ. XIX საუკუნის დასაწყისში, ერის დისკურსის გაჩენასთან ერთად, სუბალტერნულ ელიტებს თავიანთი ხალხების „ერებად“ წარმოსახვა შეეძლოთ, რასაც თან სდევდა მოთხოვნა კულტურის აღიარებაზე, პოლიტიკურ უფლებებზე, ტერიტორიაზე და სახელმწიფოებრიობაზეც კი. ნაციონალიზმის ლეგიტიმაციასთან ერთად, სხვა ხალხების დომინანტურ ეროვნებაში ასიმილაციის პროცესი თანდათან გართულდა.

მესამე მიზეზი ის იყო, რომ იმპერიული სახელმწიფო სტრუქტურები და პრაქტიკები, ძალაუფლების ავტოკრატიული კონცენტრაციით დაწყებული, წოდებრივი იერარქიით და სოციალური და ეთნიკური აღმატებულებისა და არასრულფასოვნების ჩამენებული იდეებით დამთავრებული, წინააღმდეგობაში მოდიოდნენ ჰორიზონტალურ, ეგალიტარულ ერად ჩამოყალიბების პროცესებთან. როგორც ერის ფორმირებისა და ნაციონალიზმის შესახებ დაწერილი ახალი ნაშრომები გვეუბნება. ერებად ჩამოყალიბება ახალი ტიპის სივრცის სოციალური და კულტურული მშენებლობაა. ერები არა მხოლოდ სივრცულად და კონცეპტუალურად უფრო დიდია, ვიდრე ძველი პოლიტიკური საზოგადოებები, განსაკუთრებით, დასავლეთ ევროპის ძველი წყობის დანაწევრებული და პარტიკულარიზებული სივრცეები, არამედ შეგნებულად და განზრახ არიან დაცლილები პარტიკულარიზმისგან, ტრადიციული ან წეს-ჩვეულებითი დაყოფებისგან, იერარქიის ზოგიერთი ძველი ფორმისგან, და სავარაუდო პრივილეგიებისგან და ამ ყველაფრის ნაცვლად ქმნიან, რასაც უილიამ სიუელი უწოდებს — „ერთგვაროვან ცარიელ სივრცეს“.⁹⁶ საფრანგეთის რევოლუციამ საფრანგეთის ძველ წყობას წაართვა რეგიონული და ადგილობრივი პრივილეგიები, გააუქმა შიდა გადასახადები და ტარიფები, ფართო სივრცეზე დააწესა წონისა და ზომის საერთო სტანდარტი — ცარიზმის ქვეშ კი, ეს ყველაფერი მხოლოდ ნაწილობრივ განხორციელდა.

XVIII და XIX საუკუნეების რუსი იმპერატორებისა და ბიუროკრატების „მოდერნიზატორული“ პრაქტიკები, რომლებმაც ეკონომიკური და სამართლებრივი

⁹⁶ William H. Sewell, Jr., "The French Revolution and the Emergence of the Nation Form," გამოუქვეყნებელი ნაშრომი წარმოდგენილი პერდუს უნივერსიტეტის კონფერენციაზე ტრანსატლანტიკური რევოლუციური ტრადიციის შესახებ და ერების და ნაციონალიზმის სემინარზე, ჩიკაგოს უნივერსიტეტი, 14 იანვარი, 1998, გვ. 13.

პრაქტიკები გააერთგვაროვნა, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანი იყო, მაგრამ ისინი უნდა განვიხილოთ იმ პროგრამებისა და პოლიტიკების ფონზე, რომლებიც სხვა მიმართულებით მოძრაობდა, ქმნიდა ახალ ან აძლიერებდა ძველ განსხვავებებს, გამორჩევებს, პრივილეგიებს და დაბრკოლებებს, დაფუძნებულს სოციალურ კლასზე, რეგიონზე, ეთნიკურობაზე ან რელიგიაზე. XVIII საუკუნეში რუსმა ლიტერატურულმა ელიტამ ეროვნული განსხვავებულობის ხედვა შექმნა, მაგრამ XIX საუკუნის პირველი ნახევარის პოლიტიკური საზოგადოების საწყის დასავლურ კონცეფციაში, სადაც ხალხი იყო ლეგიტიმაციისა და სუვერენიტეტის წყარო — ეროვნულობის მწირი განცდა არსებობდა. რუსეთი იყო სახელმწიფო და იმპერია, რომლის მოსახლეობა ჰორიზონტალურად იყო დაყოფილი ათობით ეთნიკურ და რელიგიურ ჯგუფად, ხოლო ვერტიკალურად მმართველ და პრივილეგიურულ წოდებებსა და გლეხების დიდ მასებად. ეს დაყოფები კანონში იყო ფორმალიზებული და ადამიანებისა და ხალხების უმეტესობას დისკრიმინაციულ და არახელსაყრელ პოზიციებში აყენებდა. ასეთმა იერარქიებმა და განცალკევებებმა შეაფერხა იმგვარი ძმობისა და სოლიდარობის ჰორიზონტალური კავშირების განვითარება, რომლებიც უკვე იყო ერის შესახებ დასავლური რიტორიკის ნაწილი. იმპერიის უკანასკნელ დღეებამდე რომანოვების რეჟიმი ამ გაგებით იმპერიული დარჩა: რთული, დიფერენცირებული, იერარქიული, ტრადიციული ძველი წყობით, სტრუქტურებითა და კანონებით, რომლებიც ზღუდავდა გათანაბრებისა და გაერთგვაროვნების მცდელობებს. ჰორიზონტალური, ძმური კავშირები, რომლებიც ერის-ფორმაში მოქალაქეობის იდეალს წარმოადგენს, ვერ დამყარდება ისეთ სისტემაში, რომელიც იერარქიებზე და გამორჩევებზეა აგებული და რომელიც მოსახლეობის დიდ მასებს ქედმაღლურად და შორიდან უყურებს.

დაბოლოს, მეოთხე მიზეზი იყო რუსი ელიტების მარცხი, ჩამოეყალიბებინათ რუსი ერის მკაფიო იდეა, იდენტობა, რომელიც განსხვავებული იქნებოდა რელიგიური (მართლმადიდებლური), იმპერიული, სახელმწიფო თუ ვიწრო ეთნიკური იდენტობისგან. რუსეთი არასოდეს ყოფილა გაიგივებული ეთნიკურ რუსეთთან; თითქმის თავიდანვე არსებობდა რაღაც უფრო დიდი, მრავალეროვნული „რუსული“ სახელმწიფო, ბუნდოვნად მოაზრებული საერთო მახასიათებლებით — ალბათ, რელიგიითა ან ცარისადმი ერთგულებით, მაგრამ ინტელექტუალებსა და სახელმწიფო აქტორებს შორის მსჯელობისას ვერ წარმოიშვა რუსობის დამაჯერებელი, მიმზიდველი ცნება, რომელიც, ერთი მხრივ, განცალკევებული იქნებოდა ეთნიკური იდენტობისგან, ხოლო, მეორე მხრივ, იმპერიული სახელმწიფოსგან. ერის იდეები რელიგიისა და სახელმწიფოს იდეებში ჩაიშალა და ვერ დაკონკრეტდა, როგორც სახელმწიფოსგან ან მართლმადიდებლური თემისგან განცალკევებული ერთობა.

ხალხური იდენტობების დადგენა მართლაც რთული საკვლევეია, მაგრამ თუ შევხედავთ ტექსტებს, რასაც მაშინ რუსები კითხულობდნენ, ეს დაგვიდასტურებს ბევრ მოსაზრებას რუსული იდენტობის შესახებ. როგორც ჯეფრი ბრუკსი აღნიშნავს, „ჩვენ ცოტა რამ ვიცით ხალხური კონცეფციის შესახებ, თუ რას ნიშნავდა რუსობა წინარე მოდერნულ რუსეთში,

მაგრამ“, განაგრძობს ის, „ადრეული ლუბოკის ზღაპრები მიგვანიშნებს, რომ მთელი XIX საუკუნის განმავლობაში მართლმადიდებლური ეკლესია და, უფრო ნაკლებად, ცარი რუსეთის უპირველესი სიმბოლოები იყვნენ. ეროვნების ეს ორი სიმბოლო ადრეულ მოთხრობებშიც მეორდება და ავტორების მიერ ამ სიმბოლოების გამოყენება გვეუბნება ხოლმე, რომ იყო რუსი ნიშნავს მეფისა და მართლმადიდებლური ეკლესიის ერთგულებას“.⁹⁷ ხალხური ლიტერატურის ბრუკსისეული წაკითხვა ადასტურებს, რომ „საერთო ლოიალობების მქონე ხალხებისგან შემდგარი ერის ცნება კარგად არ იყო განვითარებული“.⁹⁸ მიუხედავად ამისა, ლუბოკის ზღაპრებში "ეროვნულ" იდენტობაზე რამდენიმე მინიშნება არსებობდა.⁹⁹ მართლმადიდებლობაზე მოქცევა და მეფისადმი ერთგულება რუსულ საზოგადოებაში ჩართვასა და შერეული ქორწინების დაშვებაზე მიუთითებდა. ამავე დროს, არსებობდა იმპერიის, როგორც უზარმაზარი გეოგრაფიული სივრცის განცდა, მრავალფეროვანი პეიზაჟებითა და ხალხებით, რომელშიც რუსები იმპერიის სხვა ხალხებისგან გამოირჩეოდნენ. „სხვისგან“ განსხვავებისა და მისდამი შიში, განსაკუთრებით ისლამური „სხვის“ მიმართ, ხაზგასმული იყო თურქებისა და თათრების გამოსახულებებში და ტყვეობის ხალხურ ზღაპრებში.¹⁰⁰

XIX საუკუნის მეორე მესამედში ავტონომიური ინტელიგენციის გაჩენისთანავე, ინტენსიური დისკუსია გაჩაღდა რუსეთის არსზე და მის ურთიერთობაზე დასავლეთთან და აზიასთან, ისევე, როგორც მის შიდა „სხვებთან“ — იმპერიის არაეთნიკურ რუსებთან. ისევე, როგორც ევროპის პოსტრევოლუციური პერიოდის სხვა ხალხები და სახელმწიფოები, ინტელექტუალები, განსაკუთრებით ისტორიკოსები, გარკვეული გაგებით, ერებს წარმოსახვით ქმნიდნენ ან სულ მცირე ამუშავებდნენ და ავრცელებდნენ კონტურებს, მახასიათებლებს, სიმბოლოებს და ნიშნებს, რომლებიც ერის იდეას უფრო ფართო საზოგადოებას გააცნობდა. ნიკოლაი კარამზინის „История государства Российского“-თი (1816-1826) დაწყებული და სერგეი სალოვიევისა და ვასილი კლიუჩევსკის დიდი სინთეზური

⁹⁷ Jeffrey Brooks, *When Russia Learned to Read: Literacy and Popular Literature, 1861— 79/7* (Princeton, NJ.: Princeton University Press, 1985), გვ. 214.

⁹⁸ იქვე, გვ. 215.

⁹⁹ გაითვალისწინეთ, რომ სიტყვა „ეროვნული“ სხვა მნიშვნელობებთან ერთად შეიძლება მიუთითებდეს „მთელ პოლიტიკურ თემზე“. ეს არის ფართო, ინკლუზიური მოსახლეობის განცდა, რომელსაც ხშირად ურევენ ერის დისკურსიდან მომდინარე „მიკუთვნებულობის“ განცდასთან, ანუ ადამიანთა ერთობლიობასთან, რომლებსაც სჯერათ, რომ მათი საერთო კულტურული მახასიათებლებიდან გამომდინარე აქვთ უფლება თავიანთი თავი მართონ.

¹⁰⁰ ჩემი აზრით, სერიოზული მეთოდოლოგიური პრობლემაა როდესაც ხალხურ ლიტერატურას განმარტავენ, როგორც გლეხის გონების ფანჯარას, თითქოს წიგნის ყიდვის სურვილი ამ წიგნში გამოთქმულ შეხედულებებთან თანხმობას ან გაიგივებას გულისხმობდეს. ბეჭდურ ლიტერატურაში გადმოცემული წარმოდგენები შეიძლება ასახავდეს არა ავტორების შეხედულებებს, არამედ იდეალიზებებს იმისა, რაც მათ გლეხი მკითხველის სურვილად ჩათვალეს. გასათვალისწინებელია რომ არტისტიზმი და პრეზენტაციის უნარები ემოციების აღძვრას ემსახურება, რომ აღარაფერი ვთქვათ ფორმის, ჟანრის, ლიტერატურული წესებისა და ცენზურის შეზღუდვებზე. ბაზარი არ უნდა განიხილებოდეს, როგორც სრულყოფილი საშუალება, რომლის მეშვეობითაც, სუვერენული მომხმარებლები, ხელმისაწვდომი ობიექტებს შორის თავისუფალ არჩევანს აკეთებენ, რათა თავიანთი სურვილები უშუალოდ გამოხატონ.

ნაშრომებით გაგრძელებული, ისტორიკოსები რუსეთს ერ-სახელმწიფოდ განიხილავდნენ, რომელიც მრავალი თვალსაზრისით დასავლეთ ევროპულ მოდელებს აირეკლავდა და ამავდროულად, გამოირჩეოდა თავისი მრავალეთნიკური შედგენილობით. კარამზინის წვლილი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან მისი ნამუშევარი უაღრესად პოპულარული იყო განათლებულ მკითხველებში და წარმოადგენდა ხატოვან, პატრიოტულ ნარატივს რუსეთის წარსულის შესახებ არეულობის ხანამდე. როგორც მან ასევე ხაზგასმით აღნიშნა ალექსანდრე I-ისთვის დაწერილ საიდუმლო მემორანდუმში, „მემუარები ძველი და თანამედროვე რუსეთის შესახებ“ (1811), კარამზინი მიიჩნევდა, რომ რუსეთის სიდიადეზე თვითმპყრობელობა და ძლევამოსილი სახელმწიფო იყო პასუხისმგებელი.¹⁰¹ ეროვნულ წარმოსახვაში რუსული ისტორიოგრაფიის წვლილს ამ ესეში ვრცლად ვერ განვიხილავ, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ის დაემთხვა იმპერიალიზმის იდეოლოგიის ჩამოყალიბებას ისეთ ჟურნალებში, როგორცაა Вестник Европы და Русский вестник, ეთნოგრაფიისა და გეოგრაფიის რუსული სკოლების აღმოცენებას და პოეზიის, რომანებისა და მოთხრობების, მუსიკისა და ვიზუალური ხელოვნების აყვავებას.¹⁰² ვინაიდან დარწმუნებულები იყვნენ კულტურულ, რომ აღარაფერი ვთქვათ მატერიალურ, უპირატესობაში იმპერიის სამხრეთ და აღმოსავლეთ ხალხებზე, საზღვრისპირა არარუსი ხალხებისთვის რუსმა ინტელექტუალებმა და სახელმწიფო მოღვაწეებმა განავითარეს მოდერნისტული პროგრამა, რაც გულისხმობდა ამ ხალხების განვითარებას, ცივილიზებას, კატეგორიზებასა და რაციონალიზებას რეგულაციების, კანონების, სტატისტიკური კვლევებისა და აღწერების გზით. როგორი არასრულფასოვნების განცდაც არ უნდა ჰქონოდათ რუსებს ევროპელების, განსაკუთრებით, გერმანელებისა და ინგლისელების მიმართ, ისინი ამას კოლონიზებული ხალხების მიმართ პატერნალისტური დამოკიდებულებით ინაზღაურებდნენ. რუსები ხშირად აღნიშნავდნენ, რომ თავად ბევრად უკეთესი იმპერიალისტები იყვნენ, ვიდრე ბრიტანელები ან ფრანგები.¹⁰³ თუმცა, ზოგჯერ, ცივილიზაციის გამავრცელებლის მისიის უკიდველობა გაოგნებას იწვევდა ექსპანსიის ყველაზე გულმხურვალე მომხრეებშიც კი. მაგალითად, მიხეილ ორლოვმა დადლით (და წინასწარმეტყველურად) აღნიშნა: „ჩეჩნებისა და ამ რეგიონის სხვა ხალხების დამორჩილება ისეთივე ძნელია, როგორც კავკასიის მთების გასწორება. ამის მიღწევა შესაძლებელია არა ხიშტებით, არამედ დროითა და განმანათლებლობით, რაც ჩვენს ქვეყანას ასე აკლია“.¹⁰⁴

XIX საუკუნის დასაწყისი სამხრეთით, კავკასიაში იმპერიული ექსპანსიის დრო იყო. როდესაც რუსი ჯარისკაცები მთებზე გადადიოდნენ და შედიოდნენ ქართულ სამთავროებში,

¹⁰¹ Memoir on Ancient and Modern Russia, translated, edited, and introduced by Richard Pipes (Cambridge, Mass.: Harvard University Press, 1959).

¹⁰² მაგალითად, იხილეთ Susan Layton, Russian Literature and Empire: Conquest of the Caucasus from Pushkin to Tolstoy (Cambridge: Cambridge University Press, 1994); და Austin Jersild, Colonizing the Caucasus: Muslims, Mountaineers, and Russification, 1845—79/7.

¹⁰³ ეს არგუმენტი კენეტ ჩერჩმა გამაცნო, რომელიც ასახულია მის ნაშრომში დასავლეთ საქართველოში რუსეთის მმართველობის შესახებ. იხილეთ მისი გამოუქვეყნებელი ნაშრომი, "Production of Culture in Georgia for a Culture of Production" (1996).

¹⁰⁴ ციტირებულია ნაშრომში Layton, Russian Literature and Empire, გვ. 108.

მუსლიმურ სახანოებსა და სომხეთში, რუსი მწერლები თავიანთ „ლიტერატურულ კავკასიას“ ქმნიდნენ, რომელსაც თავისი წვლილი შეჰქონდა იმპერიისა და ეროვნული იდენტობის რუსულ დისკურსებში, რაც თავის მხრივ XIX საუკუნის რუსი ელიტების აღქმებსა და თვითაღქმებს აყალიბებდა. პუშკინის პოემა „კავკასიის ტყვე“ ერთსა და იმავე დროს იყო ტრეველოგი, ეთნოგრაფია, გეოგრაფია და ომის ჟურნალისტიკაც კი. პუშკინის წარმოსახვით გეოგრაფიაში ბუნებასთან ზიარება „თვალს არიდებდა სამხედრო დაპყრობებს“ და დიდწილად უგულებელყოფდა კავკასიის მკვიდრ ხალხებს, რომლებიც ბუნდოვან საფრთხედ იყვნენ წარმოდგენილები რუსის ლირიკულ ურთიერთობაში უდაბურებასთან. პოემის ეპილოგი მიესალმებოდა კავკასიის სამხედრო დაპყრობას და ამით დისონანსი შეჰქონდა მთიელთა უმანკოების, კეთილშობილებისა და თავისუფლების ხოტბაში. ვიაზემსკის მეტყველი საყვედურის პერიფრაზი რომ გავაკეთოთ, აქ პოეზია ჯალათების მოკავშირედ იქცა.¹⁰⁵

კავკასიასთან რუსეთის კოლონიური შეხვედრა დაემთხვა ინტელიგენციის მიერ ევროპასა და აზიას შორის რუსეთის ადგილზე მსჯელობის ინტენსიურ ფაზას. XIX საუკუნის პირველ ათწლეულებში მკვლევრებმა საფუძველი ჩაუყარეს რუსულ ორიენტალიზმს და აზიური „სხვის“ აღქმით რუსებმა საკუთარი თავის შესახებ იდეების კონცეპტუალიზება მოახდინეს. რუსული "ცივილიზაცია", როგორც წესი, დასავლეთის ცივილიზაციაზე უფრო დაბლა მდგომად განიხილებოდა, თუმცა, კავკასიელი მთიელების ან შუააზიელი მომთაბარეების "ველურობას" მაინც აღემატებოდა. კომპენსაციური სიამაყე თან გასდევდა კავკასიური ორიენტის რთულ და წინააღმდეგობრივ სახეებს და მისადმი დამოკიდებულებებს. ემოციური ინტენსივობა და პრიმიტიული პოეზია მაჩოისტურ ძალადობას შეერია. ზოგისთვის, სამხრეთში და აღმოსავლეთში რუსეთის „ცივილიზაციური მისია“ იყო უმთავრესი; სხვებისთვის, მათ შორის სამხედრო მოხალისეებისთვის, თავგადასავალი და „ადამიანებზე ნადირობის“ შესაძლებლობა იყო ის, რასაც ეძებდნენ. ახალგაზრდა მიხეილ ლერმონტოვის „იზმაილ-ბეი“-სა და ელიზავეტა განის აღმოსავლურ ზღაპრებში მთიელები სექსუალური აგრესორებიც ხდებიან, „ნამდვილი კაცები“ — ერთდროულად შემზარავები და მაცდურები, საფრთხეს უქმნიან თავშეკავებული რუსის შერყეულ მასკულინურ სიამაყეს. ბელინსკისთვის „ქალი ბუნებით სიყვარულისთვისა შექმნილი“, მაგრამ კავკასიელები ძალიან შორს მიდიან და მას მხოლოდ ვნების ობიექტად აქცევენ. რუსი მწერლები საქართველოს მკვლევლობის ჩამდენ, სახიფათო ქალად წარმოადგენდნენ, რომელსაც მისსავე სასიკეთოდ უნდა დაეუფლო.¹⁰⁶

¹⁰⁵ იქვე, გვ.53.

¹⁰⁶ კენეტ ჩერჩი ვარაუდობს, რომ, მიუხედავად იმისა, რომ სიუზან ლეიტონი, რა თქმა უნდა, მართალია, რომ ქართველი ქალის, როგორც სახიფათო ქალის რუსულ გამოსახულებას მის მიერ შესწავლილი ლიტერატურული ტექსტები გვთავაზობენ, სამოგზაურო ლიტერატურის უფრო ფართო გაცნობა ქართველი ქალების კონტრამოსახულებას გვაჩვენებს, რომელშიც ის წარმოდგენილია არა მხოლოდ როგორც ქალური სილამაზის კვინტესენციად, არამედ „ისლამური დაპყრობების ისტორიაში მიმზიდველ მსხვერპლად“ და „კატეგორიულად მატყუარა, ზარმაცი და უძლური ქართველი კაცების მსხვერპლად“ (გვ. 4). ნაცვლად უბრალო ორიენტალურ სხვებად გამოსახვისა, ისინი ხშირად წარმოდგენილები იყვნენ, როგორც "დაცემული ქრისტიანები, გარყვნილები და უკულტუროები, რა თქმა უნდა, მაგრამ დახსნადებიც" (გვ. 5) ("Conjuring 'the Most Beautiful Women in the World'

მუსლიმი ტომების წარმომადგენლებისგან განსხვავებით, რომლებიც გმირებად იყვნენ წარმოჩენილი, ქრისტიან ქართველ კაცებს სხვა როლი არ ჰქონიათ რუსულ ლიტერატურაში, გარდა უძღურისა ან ვაჟკაცი რუსი იმპერიის მშენებლის არარსებული მოწინააღმდეგისა. ისტორიამ თითქოს რუსი კაცების მოწყვლადობის განცდა გაამლიერა. როდესაც რუსეთის წინააღმდეგ მთის ხალხთა ომის ისტორიული ლიდერი, შამილი სომეხ ტყვეზე დაქორწინდა, ქალი ისლამზე მოექცა და მასთან ერთად სასიყვარულო ურთიერთობაში სიცოცხლის ბოლომდე დარჩა. ეროტიზმი, რომელიც იმპერიალიზმს თან ახლდა, აერთიანებდა რუსულ შიშს კავკასიელების ფიზიკური ძლევამოსილების მიმართ, რომელიც ბრძოლის ველიდან ლოგინამდე ვრცელდებოდა.

1830-იანი წლების უფრო პოპულარულ იაფფასიან ლიტერატურაში რუსული კოლონიალიზმის [მთარგ. მორალური] ბუნდოვანებები გაქრა და იმპერიალიზმის უდიდამო ხოტბამ ადრინდელი ხედვები ჩაანაცვლა, საწინამ ახალგაზრდა ლევ ტოლსტოი კოლონიზებული კავკასიის რომანტიზებისა და სენტიმენტალიზების დომინანტურ რუსულ ლიტერატურულ ტრადიციას არ დაუპირისპირდა. მიუხედავად ამისა, 1850-იან და 1870-იან წლებში დაწერილ მის მოთხრობებს — "თარეში", "ტყის ჩეხა", "კაზაკები" და მისი "კავკასიის ტყვე" — და რეგიონის სპეციალისტების კავკასიის კვლევებს, რომლებიც „კეთილშობილ ველურთა რომანსებს“ აკრიტიკებდნენ — არ ჰქონიათ ისეთი გავლენა, როგორც ჯერ კიდევ პოპულარულ რომანტიკოს მწერლებს.¹⁰⁷ საზოგადოება ხოტბას ასხამდა დამარცხებულ შამილს, რომელმაც რუსეთში ტრიუმფალური ტური მოაწყო და მას ნოსტალგიურად ეპყრობოდნენ, როგორც კეთილშობილ მეომარს.

ტერიტორიის გაფართოებით და თვითმპყრობელობისა და მართლმადიდებლობის ტრადიციული პრინციპების დაცვით, რუსეთის მონარქია, ყოველ შემთხვევაში, ნიკოლოზ I-მდე, რუსეთს თანამედროვე დასავლურ სახელმწიფოდ წარმოიდგენდა. თუმცა, პეტრეს ეპოქის მერე "დასავლეთი" შეიცვალა. ევროპა აღარ იზიარებდა აბსოლუტიზმის იდეალს და სულ უფრო მეტად განასახიერებდა ეროვნულობისა და სახალხო სუვერენიტეტის, ინდუსტრიალიზმისა და თავისუფალი შრომის, კონსტიტუციონალიზმისა და წარმომადგენლობითი ხელისუფლების პრინციპებს. საუკუნის შუაში იმპერიის იდეოლოგიების ამოცანა იყო რუსეთი ხელახლა წარმოედგინათ, როგორც „მოდერნული“ და გადაეაზრებინათ ურთიერთობა მათ წარმოსახვაში არსებულ „დასავლეთთან“. მოსკოვის უნივერსიტეტის კონსერვატორი პროფესორი ს. შევირევი, რომელმაც კონცეპტუალური საფუძველი ჩაუყარა მომავალში დაუსრულებელ კამათს, 1841 წელს წერდა: „დასავლეთი და რუსეთი, რუსეთი და დასავლეთი — აი, შედეგი, რომელიც მთელი წარსულიდან

in Nineteenth-Century Descriptions of Georgian Women," ნაშრომი წარდგენილი იყო AAASS-ის ყოველწლიურ კონფერენციაზე, ბოკა რატონი, ფლორიდა, 1998 წლის 26 სექტემბერი).

¹⁰⁷ Layton, Russian Literature and Empire, გვ. 254.

გამომდინარეობს; აი, ისტორიის ბოლო სიტყვა; აი, მომავლის ორი ფაქტი".¹⁰⁸ დროდადრო რაოდენ მიმზიდველიც არ უნდა ყოფილიყო ევროპული იდეები და პრაქტიკები მონარქებისა და ინტელექტუალების რეფორმირებისთვის, ეკატერინე II-ის მეფობის ბოლო წლებში და ისევ 1815 წლის შემდგომ პერიოდში, იმპერატორებმა და მათმა მრჩევლებმა საზღვარგარეთული გავლენები უცხოოდ, სახიფათოდ და ძირგამომთხრელად გამოაცხადეს. აბსოლუტიზმისთვის ინოვაციური იდეებისგან წამოსული საფრთხე კიდევ უფრო საგრძნობი დეკაბრისტების აჯანყებით გახდა, როცა სახელმწიფო მოხელეებმა თავად სცადეს შეექმნათ ერის რუსული კონცეფცია, რომელიც განსხვავებული იქნებოდა ერზე დომინანტური დასავლური დისკურსისგან.

ნიკოლოზის იდეოლოგიური ფორმულა, რომელიც "ოფიციალური ერობის" სახელითაა ცნობილი, ოფიციალურ ლოზუნგში შეჯამდა: "მართლმადიდებლობა, თვითმპყრობელობა, ერობა [народность]". განათლების კონსერვატორი მინისტრის სერგეი უვაროვის მიერ შემუშავებული ოფიციალური ერობა ხაზს უსვამს ცარსა და ხალხს შორის მჭიდრო კავშირს, კავშირს, რომელიც თითქოს მოსკოვის სამთავროდან იღებს საფუძველს. როგორც ამბობდნენ, რუსებმა აირჩიეს თავიანთი უცხოელი მმართველები, ვარანგები და თავყვანს სცემდნენ მათ მემკვიდრეებს. რუსეთი ვესტერნიზებული თვითმპყრობელობისადმი ხალხის სიყვარულით და მათი ეკლესიისადმი ერთგულებით გამოირჩეოდა. კავშირი, რომელიც თვითმპყრობელობას, მართლმადიდებლობას და ხალხს აერთიანებს, რუსეთის შექმნის დღიდან არსებობს, ამტკიცებდა ჟურნალისტი ფედორ ბულგარინი: „რწმენამ და თვითმპყრობელობამ რუსი სლავებისთვის რუსული სახელმწიფო და საერთო სამშობლო შექმნა... ეს უზარმაზარი კოლოსი, რუსეთმა, ლამის ცალკე კონტინენტმა, რომელიც კაცობრიობის ყველა კლიმატს და ყველა ტომს მოიცავს, მხოლოდ რწმენითა და თვითმპყრობელობით შეიძლება შეინარჩუნოს წონასწორობა. ამიტომ, რუსეთში ვერასდროს იარსებებს და ვერ შეიძლება იარსებოს სხვა ერობამ, გარდა ერობისა, რომელიც დაფუძნებულია მართლმადიდებლობაზე და თვითმპყრობელობაზე".¹⁰⁹

ოფიციალური ერობის ცენტრში რუსეთის სახე ძვეს, როგორც "ერთი ოჯახი, რომელშიც მმართველი მამაა, ხოლო ქვეშევრდომები შვილები არიან. მამა შვილებზე სრულ ძალაუფლებას ინარჩუნებს და ამავედროულად, მათ სრული თავისუფლების ნებას რთავს. მამასა და ბავშვებს შორის არ შეიძლება არსებობდეს ეჭვი, ღალატი; ისინი საერთო ბედისწერას, ბედნიერებას და მშვიდობას იზიარებენ".¹¹⁰ „ერობა“, რომელიც ოფიციალურ სამებაში ყველაზე ბუნდოვანი და ყველაზე სადავო ცნება იყო, მჭიდროდ იყო დაკავშირებული მორჩილების, დაქვემდებარებისა და ერთგულების იდეებთან. ამბობდნენ, რომ როგორც

¹⁰⁸ S. Shevryev, "Vzglyad russkogo na sovremennoe obrazovanie Evropy," *Moskvitianin*, no. i, გვ. 219 ციტირებულია ნაშრომში Nicholas Riasanovsky, *Nicholas I and Official Nationality in Russia, 1825-1855* (Berkeley: University of California Press, 1967), გვ. 134.

¹⁰⁹ ციტირებულია ნაშრომში Riasanovsky, *Nicholas I and Official Nationality*, გვ. 77

¹¹⁰ Mikhail Pogodin, ციტირებულია იმავე ნაშრომში., გვ. 118—119.

ქვეყნის კრიტიკა და ქრისტიანი ხალხი, რუსები თავდადებულობითა და თავგანწირვით გამოირჩეოდნენ, სიმშვიდითა და მჭკრეტელობით, ღრმა სიყვარულით თავიანთი სუვერენისადმი და რევოლუციისადმი თავდადებული წინააღმდეგობით. მეფედ კურთხევის დროს, რომელიც პროგრესული დიდგვაროვნების დეკაბრისტული აჯანყების გამო გადაიდო, ნიკოლოზმა ხალხს სამჯერ დაუხარა თავი და ამით ახალი ტრადიცია გამოიგონა, რომელიც დინასტიის დაცემამდე გაგრძელდა. ამასთან, ის უფრო ინტენსიურად შეუდგა მონარქიის ნაციონალიზებას. მეფედ კურთხევის შემდეგ ჩატარებულ საცეკვაო წვეულებაზე დიდგვაროვნები მოსკოვური დეკორაციების ფონზე ეროვნულ სამოსში იღებდნენ მონაწილეობას. სამეფო კარზე რუსული ენა უნდა გამოეყენებინათ; რუსული ენა და ისტორია უნივერსიტეტებში სავალდებულო საგნები გახდა; ეკლესიები რუსულ-ბიზანტიურ სტილში უნდა აგებულიყო; იმპერატორის ხელმძღვანელობით შეიქმნა ეროვნული ჰიმნი, "ღმერთო დაიფარე ცარი", ასევე მიხაილ გლინკას ეროვნული ოპერა "ცხოვრება ცარისთვის", სადაც ხალხური მუსიკა იყო გამოყენებული პატრიოტი გლეხის, ივან სუსანინის ამბის მოსაყოლად, რომელმაც პოლონელთა რაზმს გზა აუბნია და არ გაუმხილა მომავალი ცარის სამალავი.¹¹¹

„ოფიციალური ერობა“ იყო მცდელობა, გვერდი აევლოთ ერზე დასავლური დისკურსისთვის და ერის იდეა ხელახლა დაეკავშირებინათ სახელმწიფოსთან, მონარქთან და სახელმწიფო რელიგიასთან იმ ეპოქაში, როცა დასავლეთ ევროპაში ერად ცნობილი პოლიტიკური საზოგადოება, სულ მცირე, კონცეპტუალურად, სახელმწიფოსგან იმიჯნებოდა და სწრაფად იძენდა დამოუკიდებელ ძალას, როგორც ლეგიტიმაციის წყაროს.¹¹² ერის დისკურსისგან განსხვავებით, ცარისტული იდეოლოგია ეწინააღმდეგებოდა ძველი წყობის, ესე იგი, პოლიტიკური საზოგადოების (და სუვერენიტეტის) იმგვარი გაგების მორყევას, რომელშიც ის [სუვერენიტეტი] მმართველთანაა გაიგივებული ან სახელმწიფოს შიგნითაა მოთავსებული. რუსეთის მაგალითის განზოგადებით, ბენედიქტ ანდერსონი "ოფიციალურ ნაციონალიზმს" ხედავს, როგორც ნაციონალიზმების ერთ-ერთ კატეგორიას, რომელიც სახალხო ლინგვისტური ნაციონალიზმების შემდეგ ჩნდება, როგორც "ძალაუფლებრივი-ჯგუფების — უპირველეს ყოვლისა, მაგრამ არა მხოლოდ, დინასტიური და არისტოკრატიული — პასუხი იმ

¹¹¹ საფრანგეთის რევოლუციის შემდეგ, დასავლეთ ევროპაში მონარქიის ახალი სახე ჩამოყალიბდა, რომელშიც მმართველი ნაკლებად ჰგავდა ღმერთს და უფრო მეტად ადამიანს ჩვეულებრივი ოჯახური ღირებულებებით. მონარქები „ადამიანური ქცევის, მოკრძალებული სათნოების სახეები ხდებიან, რომლებიც ქვეშევრდომებს აღტაცებაში მოიყვანდნენ“. მონარქის ოჯახის იდეალიზებამ მმართველი დინასტია ერის ისტორიულ განსახიერებად აქცია. ოჯახის წინ წამოწვევამ მონარქსა და მის ხალხს შორის მანძილი შეამცირა, ვინაიდან ახლა ყველა საერთო ერის ნაწილი იყო. ცარისტულ რუსეთში ბურჟუაზიული მონარქიის ამ იდეალმა თავისებური სახე შეიძინა. ნიკოლოზ I-მა თავისი დინასტია რუსული სახელმწიფოსა და ხალხის ისტორიულ ბედთან გააიგივა. „მის სცენარში . . . იმპერატორი დასავლური მონარქიის თვისებებს განასახიერებდა, მაგრამ ახლა უკვე როგორც თავისი ოჯახის წევრი, როგორც მემკვიდრეობით აღმატებული ადამიანი, რომლის მმართველ ოჯახთან კუთვნილება კაცობრიობის უმაღლეს ღირებულებებს განასახიერებდა. . . . ცარის პირადი ცხოვრება მდიდრულად იყო მოწყობილი, რათა რუსეთის საზოგადოების წინაშე დასავლური იდეალი განესახიერებინა“. (Wortman, *Scenarios of Power*, p. 402; ასევე იხილეთ George Mosse, *Nationalism and Sexuality: Middle-Class Morality and Sexual Norms in Modern Europe* [Madison: University of Wisconsin Press, 1985], *passim*).

¹¹² Anderson, წარმოსახვითი საზოგადოებანი, გვ. 86-87, 110.

საფრთხეზე, რომ ისინი შეიძლება გამორიცხულიყვნენ წარმოსახვითი სახალხო თემებიდან ან მათში მარგინალიზებულიყვნენ“. ოფიციალური ნაციონალიზმი „ნიღბავდა ერსა და დინასტიურ სამეფოს შორის შეუსაბამობას“ და დაკავშირებული იყო არისტოკრატიებისა და მონარქიების ძალისხმევასთან, შეენარჩუნებინათ თავიანთი იმპერიები.¹¹³ რა თქმა უნდა, ოფიციალური ცარისტული ხედვა იმაზე, თუ რას ნიშნავდა ეროვნულობა — ღრმად კონსერვატიული იყო იმ თვალსაზრისით, რომ ცდილობდა შეენარჩუნებინა დასავლეთში უკვე კითხვის ნიშნის ქვეშ დამდგარი სახელმწიფოს ფორმა. ხალხსა და მმართველს შორის წარსული ჰარმონიული ურთიერთობის იდეალიზებული სახის გამოყენებით, ნიკოლოზის წმინდა რუსეთის [святая русь] ცნება უღმერთო, რევოლუციურ ევროპას უპირისპირდებოდა. ამავდროულად, მონარქია, რომელიც უხერხულად რუსული იყო და ევროპულიც, ეწინააღმდეგებოდა სლავოფილი კონსტანტინ ასაკოვის მსგავს ადგილობრივ ნაციონალისტებს, რომლებიც წვერისა და რუსული ეროვნული სამოსის ტარებით უბრალო ხალხთან (Народ) აიგივებდნენ თავს. "ნიკოლოზის დასავლური აზროვნებისთვის, წვერი არა რუსებს, არამედ ებრაელებს და რადიკალებს ნიშნავდა. ოფიციალური ხედვა ერს მმართველ დასავლურ ელიტასთან აიგივებდა" და არა ხალხის მასასთან.¹¹⁴ ოფიციალურ სცენარში ხალხი თავყანს სცემდა ცარს, მაგრამ არ ანიჭებდა მმართველობის უფლებამოსილებას ან ლეგიტიმაციას. ის [უფლებამოსილება ან ლეგიტიმაცია] მან ღმერთისგან მიიღო, დაპყრობებით, მემკვიდრეობითი უფლებით, მემკვიდრეობითი ელიტის თავისთავადი აღმატებულებით და რუსი ხალხის ბუნებრივი სიყვარულით თვითმპყრობელი უცხოელის მიმართ, რომლის მმართველობამ მათ სარგებელი მოუტანა.

მრავალი თვალსაზრისით, 1830-იან წლებში ინტელიგენციის გამოჩენა ნიშნავდა სოციალურ დიალოგს იმაზე, თუ რა იყო „ერი“. სხვადასხვა კლასის წევრებისგან შემდგარი ინტელიგენცია საზოგადოებისა და ხალხისგან განცალკევებით ცხოვრობდა, ოფიციალური რუსეთისგან იზოლირებული და გაუცხოებული იყო და კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებდა პოლიტიკური წესრიგისა და რელიგიის საფუძვლებს, თუმცა, ძალიან უნდოდა ხალხთან დაახლოება და მისი მსახურება. როგორც ალან პოლარდი ვარაუდობს, "სწორედ ეს იყო ინტელიგენციის დილემა. ის ელემენტები, რაც ცნობიერებას ქმნიდა, ძირითადად დასავლეთის პროდუქტი იყო, ხოლო ის თვისებები, რომლებიც ინტელიგენციას გაგების უნარს ანიჭებდა და, შესაბამისად, დანიშნულებას წარმოედგინა თუ როგორი იყო ერის ცხოვრება, მას ამ უკანასკნელისგან აუცხოებდა. სწორედ ამიტომ, ინტელიგენციის მთავარი პრობლემა ხალხთან კავშირის დამყარება იყო".¹¹⁵ ახალგაზრდა რუსი ინტელექტუალები 1830-იანი წლებიდან 1860-იან წლებში, სამყაროს ჭვრეტიდან მისი ქმედითი გარდაქმნის მცდელობებზე გადავიდნენ. ინტელიგენციის დიალოგი პიოტრ ჩაადაევის 1836 წლის „ფილოსოფიური წერილით“ გაიხსნა, რომელსაც, ალექსანდრ ჰერცენის ცნობით, „ბნელ ღამეში ნასროლი პისტოლეტის“ მსგავსი ეფექტი ჰქონდა. რადიკალურად ანტინაციონალისტური წერილი აცხადებდა, რომ რუსეთი

¹¹³ იქვე, გვ. 109-110.

¹¹⁴ Wortman, *Scenarios of Power*, გვ. 402.

¹¹⁵ Alan P. Pollard, "The Russian Intelligentsia: The Mind of Russia," *California Slavic Studies* 3 (1964): 15.

უნიკალურია იმით, რომ მას არ ჰქონდა ისტორია და ტრადიციები, რაც მას არსებითად *tabula rasa*-დ [ცარიელი დაფა] აქცევდა, რომელზეც ახალი იდეებისა და ფორმების დაწერა შეიძლებოდა. ეს უკიდურესად მედასავლეთე პოზიცია დიამეტრულ წინააღმდეგობაში იყო ოფიციალურ ერობის პოლიტიკასთან, რომელიც რუსეთის ჯანსაღ მთლიანობას დასავლეთის ლპობას უპირისპირებდა. მას შემდეგ, რაც ის შეშლილად გამოაცხადეს და შინაპატიმრობა მიუსაჯეს, ჩაადაევმა გამოაქვეყნა თავისი „შეშლილის ბოდიში“, სადაც ის ამტკიცებდა, რომ რუსეთის ჩამორჩენილობა მის ქვეყანას უნიკალურ შესაძლებლობას აძლევდა „მოეგვარებინა სოციალური პრობლემების დიდი ნაწილი და დაეხვეწა ძველ საზოგადოებებში გაჩენილი იდეების უმეტესობა“.¹¹⁶

შემდგომმა დისკუსიამ ინტელიგენცია ორად დაყო, მათ ვინც რუსეთისთვის ემხრობოდა უფრო რაციონალისტურ, განმანათლებლურ დღის წესრიგს — რეფორმებს ზოგადად მოდერნისტული ევროპული მიმართულებით — და მათ, ვინც ემხრობოდა უფრო კონსერვატიულ რეკონსტრუქციას იმისა, რასაც რუსული ან სლავური ტრადიცია გულისხმობდა. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი ლიბერალი გულგრილი ან თუნდაც მტრულად იყო განწყობილი ეროვნული იდენტობის საკითხებისადმი, ივან კირეევსკი, ალექსეი ხომიაკოვი და სხვა სლავოფილები მიჰყვებოდნენ ევროპელ რომანტიკოსებს და ხალხში [народ], რომელიც მეტწილად გლეხობასთან იყო გაიგივებული, ხალხურობას [народность] ეძებდნენ, როგორც რუსის ან სლავის არსებით მახასიათებელს. ხომიაკოვისთვის ეროვნული ხასიათი რელიგიაში ან რელიგიურობის გარკვეულ ფორმებში იმალებოდა.¹¹⁷ სლავები ყველაზე სულიერი, ყველაზე ხელოვანი და ყველაზე ნიჭიერი ხალხი იყო დედამიწაზე. მშვიდობისმოყვარე და ძმური, სპონტანური, მოსიყვარულე და თავისუფლების დამფასებელი, მათ თავიანთი სისავსე, სიყვარულსა და თავისუფლებაში საყოველთაო ორგანულ ერთობაში განახორციელეს, რომელსაც მან *единство* უწოდა. რუსები ყველაზე დიდი სლავები იყვნენ და ფლობდნენ სასიცოცხლო, ორგანულ ენერგიას, თავმდაბლობას და ძმურ სიყვარულს. პეტრემდელ წარსულში ისინი თავისუფლად და ჰარმონიულად ცხოვრობდნენ, თუმცა პეტრე დიდმა რუსეთში რაციონალიზმის, ლეგალიზმისა და ფორმალიზმის უცხო დასავლური იდეები შემოიტანა და ამით ერის ორგანული ჰარმონია გაანადგურა. კონსტანტინე აკსაკოვისა და სხვა სლავოფილებისთვის არა მხოლოდ მართლმადიდებლური ქრისტიანობა იყო სლავური ბუნების არსებითი გული, არამედ გლეხების კომუნა წარმოსახული იყო, როგორც "ხალხის კავშირი, რომელმაც უარყო ეგოიზმი, ინდივიდუალობა, და რომელიც საერთო ჰარმონიის გამოხატულება იყო". ისინი დასავლეთის ახლად გამარჯვებული კაპიტალიზმის მიმართ კრიტიკულები იყვნენ, ეშინოდათ კერძო

¹¹⁶ P. Chaadaev, *Philosophical Letters and Apology of a Madman*, თარგმნა და შესავალი გაუკეთა მერი-ბარბარა ზელდინმა (Knoxville: University of Tennessee Press, 1969), გვ. 174.

¹¹⁷ იხილეთ ოსტინ ჯერსილდის გამოუქვეყნებელი ნაშრომი, "Khomiakov and Empire: Faith and Custom in the Borderlands," ნაშრომი წარდგენილი იყო AAASS-ის ყოველწლიურ კონფერენციაზე, ბოკა რატონი, ფლორიდა, 1998 წლის 26 სექტემბერი.

საკუთრებასთან ერთად მოსული ადამიანური ურთიერთობების გაუპიროვნების, ადამიანებზე ნივთების გაბატონების. ანდჟეი ვალიცკის მრავლისმეტყველ ანალიზში, სლავოფილობა „კონსერვატიული უტოპიზმი“ იყო, რომელიც თემს საზოგადოების დამაქუცმაცებელი ზეგავლენებისგან იცავდა.¹¹⁸

როგორც სახელმწიფო ხელისუფლებამ, ისე მედასავლეთე ინტელექტუალებმა უარყვეს სლავოფილური ხედვა. თვითმპყრობელობისთვის პეტრეს რეფორმების უარყოფა მიუღებელი წინადადება იყო, ხოლო მედასავლეთეებისთვის რუსული წარსულის სლავოფილური წაკითხვა – ნარცისული ფიქცია. მიუხედავად იმისა, რომ თავიდან სლავოფილობა ძირითადად "ძველი რუსეთის სოციალურ ცხოვრებასა და კულტურაში ადგილობრივი და უპირველეს ყოვლისა, სლავური ელემენტების კულტივირება იყო", ეს კონსერვატიული ნაციონალიზმი, რუსულ ეროვნულ ხასიათზე ორიენტირებული განვითარების ნაცვლად, მოგვიანებით მთელ სლავობაზე (პან-სლავიზმი) ზრუნვაში გადაიზარდა. როგორც ოფიციალურ, ისე არაოფიციალურ დისკურსებში, რუსეთი ან სახელმწიფოსთან, მონარქიასთან და იმპერიასთან იყო გაიგივებული, ან მართლმადიდებლობასთან და სლავობასთან.¹¹⁹ "სლავოფილებმა", წერს ბუშკოვიჩი, "მიუხედავად ამ მიმართულებით სვლისა, რუსეთში სრულფასოვნად ვერ დაამკვიდრეს ეთნიკურობასთან და არა სახელმწიფოსგან გაიგივების ტრადიცია".¹²⁰ თუმცა, რუსულ პოლიტიკურ და სოციალურ აზროვნებაში მათ მაინც დიდი წვლილი შეიტანეს. ჰერცენის „რუსული სოციალიზმიდან“ და გლეხთა კომუნების განდიდებიდან — 1870-იანი წლების რევოლუციურ პოპულიზმამდე, რუსული ინტელიგენციის მემარცხენე ფრთაში რუსული განსაკუთრებულობის [exceptionalism], დასავლური კაპიტალიზმის უღლის გადაგდებისა და პირდაპირ ახალ კომუნისტარიზმზე გადასვლის იდეები ბატონობდა. მათი გავლენა ასევე იგრძნეს დოსტოევსკისა და სოლოვიევის მსგავსმა უფრო კონსერვატორმა ფიგურებმაც.

მედასავლეთე ვისარიონ ბელინსკი კრიტიკულად აფასებდა როგორც სლავოფილების მიერ ხალხის განდიდებას, ასევე „ჰუმანისტი კოსმოპოლიტების“ შეხედულებებს, როგორც ვალერიან მაიკოვი იყო, რომელიც თვლიდა, რომ მოდერნულობა ეროვნულ თავისებურებებს გააქრობდა. ბელინსკი საპირისპიროს ამტკიცებდა, რომ ერი არ უნდა აგვერიოს ეთნიკურობაში, ვინაიდან ერი პროგრესული ცივილიზაციური განვითარების შედეგია, რომელიც მაშინ გაჩნდა, როდესაც ხალხი საზოგადოების დონემდე ამაღლდა და არა, როგორც სლავოფილები ამტკიცებენ, როდესაც საზოგადოება ხალხის დონემდე დავიდა.¹²¹ ნაცვლად საზოგადოებისა და ხალხის გამიჯვნის გამო პეტრეს რეფორმების დაგმობისა, ბელინსკიმ ცარი რუსი ხალხის [народ] ნაცვლად გარდაქმნის გამო შეაქო, ვინაიდან პეტრემ რუსეთი ინსტინქტურ

¹¹⁸ Andrzej Walicki, *The Slavophile Controversy: History of a Conservative Utopia in Nineteenth-Century Russian Thought*, trans. Hilda Andrews-Rusiecka (Oxford: Oxford University Press, 1975).

¹¹⁹ Andrzej Walicki, *A History of Russian Thought from the Enlightenment to Marxism*, trans. Hilda Andrews-Rusiecka (Stanford: Stanford University Press, 1979), გვ. 92.

¹²⁰ Bushkovitch, "What Is Russia?" გვ. 12.

¹²¹ Walicki, *A History of Russian Thought*, გვ. 137.

ერობას ჩამოაშორა და ეროვნულ ცნობიერებას განვითარების საშუალება მისცა. რაც შეეხება ლიტერატურას, კრიტიკოსი ამტკიცებდა, რომ ეროვნული ხელოვნება ხალხურ ნაწარმოებებში არ უნდა აგვერიოს, ვინაიდან პირველი ახალ სოციალურ და კულტურულ ამაღლამას წარმოადგენს, რომელიც უნივერსალურ ღირებულებებზე წვდომასთან ერთად ჩნდება. რუსეთისთვის, "ჭეშმარიტად ეროვნული ნაწარმოებები უდავოდ უნდა ვეძებოთ მათ შორის, ვინც ასახავს იმ სოციალურ ჯგუფებს, რომლებიც პეტრე დიდის რეფორმების შემდეგ აღმოცენდა და ცივილიზებული ცხოვრების წესი გაითავისა".¹²² ევროპაში XIX საუკუნის დასაწყისში ეროვნების გარშემო გამართული დისკუსიების გამოძახილად, ბელინსკი იზიარებს შეხედულებას, რომ "ეროვნება კაცობრიობის ინდივიდუალობაა. ერების გარეშე კაცობრიობა უსიცოცხლო აბსტრაქცია იქნებოდა, სიტყვა შინაარსის გარეშე, უაზრო ბგერა".¹²³

რუსი ერის ბუნებასა და პეტრე დიდის რეფორმების შედეგებზე კამათს ისტორიკოსები შეუერთდნენ, როგორც წესი, სლავოფილური ინტერპრეტაციის წინააღმდეგ. 1843-1844 წლების ლექციათა სერიაში ტიმოფეი გრანოვსკიმ ხალხის სლავოფილურ იდეალიზაციას შეუტია. მაგრამ უფრო გრძელვადიანი კვალი რუსი ისტორიკოსების — კონსტანტინე კაველინის, ბორის ჩიჩერინის და სერგეი სოლოვიოვის — ეგრეთ წოდებულმა სახელმწიფოზე რიენტირებულმა [statist] სკოლამ დატოვა, რომელმაც წამოაყენა ხედვა, რომ ვინაიდან რუსეთის ისტორიაში პროგრესის მთავარი აგენტი რუსეთის სახელმწიფო იყო, მომავალ ისტორიულ დისკუსიებშიც სახელმწიფო, და არა ერი, იქნებოდა წამყვანი ფაქტორი. რუსული „ნაციონალისტური“ აზროვნება, რაოდენ მწირიც არ უნდა ყოფილიყო, ჩვეულებრივ იდენტობისა და თემის სახელმწიფო ან რელიგიურ კონცეფციაზე იყო ორიენტირებული, ხოლო მისი უფრო კონსერვატიული წარმომადგენლების გონებაში ის სრულიად სლავების თემსაც მოიცავდა. მიუხედავად იმისა, რომ "ერი" ყოველთვის პალიმფსესტის სახით იყო წარმოდგენილი, მას სხვა, უფრო აქტუალური სოციალური და პოლიტიკური თემები ედებოდა ზედ, ხოლო ნაროდის პრობლემებსა და ობშჩესტვოსთან (საზოგადოებასთან) მის ურთიერთობაზე გამუდმებული ფიქრი მიანიშნებს კონცეპტუალურ სირთულეზე, წარმოესახათ ერი, რომელიც გადალახავდა წოდებრივ საზღვრებს და მთელ „ეროვნულ“ თემს მოიცავდა.

ცარისტული იმპერია სხვადასხვა დროს ცდილობდა გაეფართოებინა ოფიციალური ნაციონალიზმი, ხელი შეეწყო ჯერ ბიუროკრატიული, შემდეგ კულტურული გარუსებისთვის, აღეკვეთა არარუსული ნაციონალიზმები და სეპარატიზმები და დინასტია და მონარქია რუს "ერთან" გაეიგივებინა. მაგრამ ამ არათანმიმდევრულ ნაციონალიზაციის პოლიტიკებს საპირისპირო ტენდენციები აბათილებდა, მათგან ყველაზე დიდი ძალა რუსეთის ზენაციონალურ იმპერიასთან, მართლმადიდებლობასთან და სლავობასთან გაიგივებას ჰქონდა. კონსერვატორი ნაციონალისტი მიხაილ კატკოვიც კი (1818-1887) რუსულ იდენტობას

¹²² V. G. Belinskii, *Polnoe sobranie sochineniia* (Moscow, 1953—1959), ტომ. 7, გვ. 435; Walicki, *A History of Russian Thought*, გვ. 140.

¹²³ Belinskii, *Polnoe sobranie sochineniia*, ტომ. 10, გვ. 29; Walicki, *A History of Russian Thought*, გვ. 143.

არსებითად სახელმწიფოზე დამყარებულად ხედავდა. ვინაიდან სახელმწიფო არ იყო ეთნიკურად ერთგვაროვანი, ის ასეთი უნდა გამხდარიყო. გარუხება სახელმწიფოს მხარდაჭერის ერთგული, ეთნიკურად ჰომოგენური წყაროთი უზრუნველყოფდა. მართალია მისი გაზეთი, *Московские Ведомости*, მემარჯვენეებში ყველაზე პოპულარული იყო, მოსახლეობისთვის მისი ნაციონალისტური შეხედულებები ნაკლებ მიმზიდველი აღმოჩნდა. პანსლავური ერთიანობის იდეას, რომელსაც სათავეში "სრულიად სლავთა ცარი" შეიძლება ჩასდგომოდა და არა უბრალოდ რუსეთი (იდეას, რომელსაც სხვებთან ერთად პოეტი ფედორ ტიუჩევიც აჟღერებდა), მუდმივად სხვა სლავი ხალხების წინააღმდეგობა ურყევდა საფუძველს. პირველ რიგში, პოლონელები, რომლებიც არათუ არ იზიარებდნენ რუსების მართლმადიდებლობას, არამედ მათი მთელი თვითიდენტობა რუსეთის ბატონობისთვის წინააღმდეგობის გაწევასთან იყო დაკავშირებული. შინ, როგორც პანსლავიზმს, ისე რუსი ხალხის უფრო მოკრძალებულ კონცეფციას, რომელშიც "პატარა რუსები", (უკრაინელები), "თეთრი რუსები" (ბელორუსები) და "დიდი რუსები" შედიან — მძიმე დარტყმა მიაყენა უკრაინელებს შორის განცალკევებული ეროვნული იდენტობის გაჩენამ. მას შემდეგ, რაც 1847 წელს ხელისუფლებამ კირილესა და მეთოდეს სახელობის უკრაინული სამმო აკრძალა, რადიკალური პანსლავური ჯგუფი, მან არა მხოლოდ შეატრიალა თავისი უკრაინოფილური პოლიტიკა (პოლონეთის გავლენის წინააღმდეგ მიმართული), არამედ ოფიციალურად დაგმო პანსლავიზმი, როგორც საშიში და დივერსიული დოქტრინა.¹²⁴

ინტელექტუალების და ხელისუფლების წარმომადგენლების მიერ რუსი ხალხის განსაკუთრებული ხასიათის არტიკულირებამ, რომელიც დასავლეთის ქაოტური ამორალიზმისგან განსხვავებული და არსებითად მასზე აღმატებული იყო, მმართველ რუს ელიტებს აღმოსავლეთით ციმბირსა და შუა აზიაში იმპერიული ექსპანსიისა და „ცარიელი სივრცის“ კოლონიზების მოტივაცია და გამართლება მისცა. ისეთი კონსერვატორი ნაციონალისტის ნაშრომები, როგორც ისტორიკოსი მიხაილ პოგოდინი იყო, რომელიც თავყანს სცემდა კარამზინს და მოსკოვის უნივერსიტეტში რუსეთის ისტორიის კათედრის ხელმძღვანელი იყო, ყველა ამ იდეას შეიცავდა — რუსულ განსაკუთრებულობას, პანსლავიზმს და აღმოსავლეთით ცივილიზაციურ მისიას.¹²⁵ მაშინ, როცა დასავლეთში რუსეთი თავისი ექსპანსიისას წინააღმდეგობას წააწყდა — ყირიმის ომს (1853-1856), ბერლინის ხელშეკრულებასა (1878) — და აჯანყებას (პოლონეთის 1831 და 1863 წლების ამბოხებები), აღმოსავლეთი მას შესაძლებლობებს სთავაზობდა. იმამ შამილის დამარცხებით, შესაძლებელი გახდა ბრძოლაში გამოწრთობილი ჯარების უფრო აღმოსავლეთით გადასხმა. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის ფრთხილი საგარეო საქმეთა მინისტრი, ა.მ. გორჩაკოვი ეწინააღმდეგებოდა ხოკანდის საყაენოს ანექსიას, მაშინაც კი, როცა გენერალმა ჩერნიაევმა 1865

¹²⁴ P. A. Zionchkovskii, *Kirilo-Mefodievskoe obshchestvo (1846-1847)* (Moscow: Izdatel'stvo Moskovskogo universiteta, 1959).

¹²⁵ პოგოდინის ნაწერები მიმოფანტულია, მაგრამ მათი ნახვა შესაძლებელია N. Barsukov, *Zhizn' i trudy M. P. Pogodina*, 22 ტომი. (St. Petersburg, 1888-1910 წწ.); *Bor'ba ne na zhivot, a na smert s novymi istoricheskimi eresiami* (Moscow, 1874); *Sobranie statei, pisem i rechei po povodu slavianskogo voprosa* (Moscow, 1978). Riasanovsky, *Nicholas I and Official Nationality*, passim, ვრცლად განიხილავს პოგოდინს.

წელს ტაშკენტი აიღო, ენერგიული გენერლის ამოცანამ გაეუქმებინა საყაენოს ავტონომია, საბოლოოდ მთავრობაში მაინც მოიპოვა მხარდამჭერები. რუსეთის მთავარი საზღვრული ცენტრალურ აზიაში არც ეკონომიკური ყოფილა და არც რელიგიური, არამედ თავდაპირველად ძირითადად სტრატეგიული იყო — მიმართული ბუხარას ექსპანსიის წინააღმდეგ, მოგვიანებით კი ბრიტანელების წინააღმდეგ — და მხოლოდ მოგვიანებით დაეთმო ყურადღება ვაჭრობასა და დასახლებას. მას შემდეგ, რაც გენერალმა კონსტანტინ ფონ კაუფმანმა ბუხარა და ხივა დაამარცხა, ისინი რუსეთის ცარის ქვეშევრდომები გახდნენ, მაგრამ უფლება მიეცათ შეენარჩუნებინათ ავტონომია. იქ, სადაც რუსები უშუალოდ მართავდნენ, ხელისუფლებას მთელი თავისი ულმოხელობით და ავტორიტარიზმით სამხედროები წარმოადგენდნენ. მას შემდეგაც კი, რაც 1886 წლის შემდეგ არასამხედრო მოხელეები უფრო გავლენიანები გახდნენ, ადმინისტრაცია, რომელიც დაკომპლექტებული იყო წვრილმანი და ცუდად განათლებული ჩინოვნიკებით, გამოირჩეოდა ადგილობრივი ხალხის მიმართ თავხედური და თვითნებური მოპყრობით და გავრცელებული კორუფციით. ცენტრალურ აზიაში რუს ადმინისტრატორებსა და ჩასახლებულებს მუსლიმი ხალხებისგან კულტურული და კლასობრივი უფსკრული ამორება. განათლებული მუსლიმები ან ისლამურ სამღვდლოებას უერთდებოდნენ, ან რუსულის მეშვეობით ევროპული ცოდნის სარგებელს თანხმდებოდნენ. ჯადიდისტებმად ცნობილი მუსლიმი რეფორმატორები („ახალი მეთოდის“ მიმდევრები), ცენტრალურ აზიაში დასავლური სწავლების შეტანას ცდილობდნენ, თუმცა ორ ცეცხლს შუა აღმოჩნდნენ, ერთი მხრიდან, ეჭვიან რუსებსა და მეორე მხრიდან, მტრულად განწყობილ მუსლიმ სასულიერო პირებს შორის.

მიუხედავად იმისა, რომ ცარისტული რუსეთი ბრიტანეთის, საფრანგეთის ან ბელგიის იმპერიების მსგავსად არ იყო "ლიბერალურ ბურჟუაზიული" იმპერია, და მისი იმპერიული მმართველობის ფორმები უცილებლად არ ეწინააღმდეგებოდა უნივერსალურ უფლებებსა და თავისუფლებებს, ის მაინც ბურჟუაზიულ ევროპულ სამყაროში არსებობდა და XIX საუკუნის ბოლოს მან მოდერნიზაციული დღის წესრიგიც აითვისა, რამაც შეარყია კოლონიზატორსა და კოლონიზებულს შორის ურთიერთობის ადრინდელი მდგრადობა. რუსმა კოლონიზატორებმა იმპერიის ცივილიზაციური მისიისა და სამოქალაქო სათნოების იდეის გამოსახატად აიღეს "ცივილურობის" (гражданственность) ცნება, რის მეშვეობითაც "სხვა" მრავალეროვანი რუსულ სამყაროს ნაწილი უნდა გამხდარიყო.¹²⁶ მაგრამ მაშინაც კი, როცა ისინი იმპერიულ საზოგადოებაში კულტურულად ინტეგრირდებოდნენ, ბევრი განათლებული, სოციალურად მობილური, რუსულენოვანი არარუსი ქვეშევრდომი გარკვეულ გადაულახავ დაბრკოლებებს აწყდებოდა საჯარო სამსახურსა და საზოგადოების ზედა ფენებში შეღწევის თვალსაზრისით. პერიფერიულ ელიტებს შორის ნაციონალიზმის გაღვივების ერთ-ერთი ყველაზე მკაფიო მიზეზი სწორედ ეს არშემდგარი მობილობა იყო — რასაც ბენედიქტ ანდერსონი "კრეოლი

¹²⁶ гражданственность-ის შესახებ იხილეთ Dov Yaroshevski and Austin Lee Jersild, კრებულში Daniel R. Brower and Edward J. Lazzerini, eds., *Russia's Orient: Imperial Borderlands and Peoples, 1700-1917* (Bloomington: Indiana University Press, 1997), გვ. 58-79, 101-114.

ფუნქციონერების" "შეზღუდული" ან "ვერტიკალურად დახშული" პილიგრიმობას უწოდებს¹²⁷ — რაც მათ უბიძგებს იფიქრონ პოლიტიკური და ეკონომიკური ასპარეზის ისეთ გარდაქმნაზე, რომ მასში ოპერირება შეძლონ. მრავალეროვნულობის პირობებში ნაციონალიზმი ხშირად არგუმენტია ხოლმე, როგორც უმრავლესობის ხალხებისთვის, ისე უმცირესობებისთვის, მოითხოვონ სახელმწიფო თანამდებობებზე პრივილეგირებული წვდომა.

როგორც იმპერიული პოლიტიკური საზოგადოება, რომელიც XIX საუკუნეში დაკავებული იყო როგორც დისკრიმინაციული, ისე ნაციონალიზაციის პოლიტიკებით, რუსეთის სახელმწიფო აგრძელებდა როგორც სოციალური წოდებების, ასევე რუსებისა და არარუსების ერთმანეთისგან არსებით გამორჩევას, რაც სხვადასხვა არარუს და არამართლმადიდებელ ხალხთან განსხვავებულ მოპყრობაში ვლინდებოდა. მთელი რიგი ხალხები, რომლებიც უცხოელებად [иноподдцы] იყვნენ მონიშნულები, კვლავ ექვემდებარებოდნენ სპეციალურ კანონებს — მათ შორის იყვნენ ებრაელები, ჩრდილოეთ კავკასიის ხალხები, ყალმუხები, მომთაბარეები, სამოდიელები და ციმბირის სხვა ხალხები. 1860-იანი წლების დიდ რეფორმებს არ გაუვრცელებია ადგილობრივი კრებები (земства) არარუსულ ტერიტორიებზე. მიუხედავად იმისა, რომ იმპერიის ნაწილებსა და მის შემადგენელ ხალხებს შორის შენარჩუნდა გარჩევა და დისკრიმინაცია, უფრო სისტემური ძალისხმევა ჩაიდო მოსახლეობის ზოგიერთი ნაწილის გარუსებისთვის. მთავრობა ყველა სლავს პოტენციურ თუ რეალურ რუსებად თვლიდა; ოფიციალური პირები ზღუდავდნენ პოლონურ უმაღლეს განათლებას და უკრაინულ ენას.¹²⁸ ვილნოს პოლონური უნივერსიტეტი 1830-1831 წლების აჯანყების შემდეგ დაიხურა, თუმცა, მოგვიანებით რუსული უნივერსიტეტის სტატუსით კიევში გაიხსნა. ალექსანდრ III-ის მრჩეველები, დმიტრი ტოლსტოი და კონსტანტინ პაბედანოსცევი რუსობასა და მართლმადიდებლობას აიგივებდნენ და განსაკუთრებით მტრულად იყვნენ განწყობილები კათოლიკეებისა და ებრაელების მიმართ. ყველა მართლმადიდებელ სტუდენტს რუსულ ენაზე უნდა მიეღო განათლება, თუნდაც თავი უკრაინელად, ბელარუსად, ქართველად ან ბესარაბიელად ჩაეთვალიდა. თუმცა, ამავდროულად, ხელისუფლებას სურდა, რომ ადამიანებს საკუთარი რწმენის შესაბამის რელიგიურ სწავლებაზე ჰქონოდათ წვდომა. სწორედ ამიტომ, მათ დაუშვეს კათოლიკური, პროტესტანტული, სომხური, ისლამური და ებრაული სკოლების არსებობა და ზოგჯერ, არამართლმადიდებლური განათლება რუსულის გარდა, სხვა ენებზეც კი დაიშვებოდა ხოლმე. არაქრისტიანულ კონფესიურ სკოლებსაც დართეს სხვა ენებზე სწავლების ნება, ხოლო არაქრისტიანულ სახელმწიფო სკოლებში რუსული იყო სავალდებულო. თავად ეკლესიის საგანმანათლებლო რეფორმატორი, ნ.ი. ილმინსკი, დამაჯერებლად ამტკიცებდა, რომ წარმართებს სახარების მოსმენა საკუთარ ენაზე უნდა შესძლებოდათ, ხოლო 1870 წელს ეგრეთ წოდებული ილმინსკის სისტემა, რომელმაც

¹²⁷ ანდერსონი, წარმოსახვითი საზოგადოებანი, გვ. 57

¹²⁸ Theodore R. Weeks, *Nation and State in Late Imperial Russia: Nationalism and Russification on the Western Frontier, 1863-1914* (De Kalb: Northern Illinois University Press, 1996), გვ. 70-91.

ადგილობრივ ენებზე მისიონერული სკოლების ქსელი დააარსა — ოფიციალურ პოლიტიკად იქცა.¹²⁹

გვიანი ცარიზმის „ნაციონალობების პოლიტიკაზე“ ყველაზე გავრცელებული წარმოდგენის მიხედვით, ის გარუსებისკენ იყო მიმართული. მაგრამ ეს წარმოდგენა, რომელშიც ადმინისტრაციული სისტემატიზებით დაწყებული ეროვნული მოძრაობების ჩახშობით დამთავრებული, თითქოს ყველა ქმედება ერთგვაროვანი თანმიმდევრულ პროგრამის ნაწილი იყო, უაღრესად ნაკლოვანია. რუსეთში გარუსებას სულ მცირე სამი განსხვავებული მნიშვნელობა ჰქონდა. პირველი, ეკატერინე დიდისა და ნიკოლოზ I-ისთვის *инрусеть* ან *инрусевание* იმპერიის ადმინისტრაციული პრაქტიკების გაერთვაროვნების და უნიფიცირების სახელმწიფო პოლიტიკას ნიშნავდა. მეორე, რუსეთის იმპერიაში ცხოვრებისა და ენის ნორმებთან ადამიანთა თვითადაპტაციის სპონტანური პროცესი მიმდინარეობდა, დაუგეგმავი *инрусение* (აქაც ზმნა *инрусеть* იხმარებოდა), რომელიც საკმაოდ წარმატებული იყო ვოლგის რეგიონისა და დასავლეთ სლავ ხალხებში და განსაკუთრებით მძლავრად გრძელდებოდა XIX საუკუნის შუა ათწლეულებში, როდესაც იმპერია ინკლუზიური და შედარებით შემწყნარებელი (გარდა პოლონელებისა და უკრაინელების მიმართ) იყო და არარუს ხალხებს ის ევროპული განმანათლებლობისა და პროგრესის ხელმისაწვდომი გზით იზიდავდა. გარუსების მესამე ფორმა კი ისაა, რასაც ჩვეულებრივ გულისხმობენ ხოლმე გარუსების მცდელობაში — კულტურული გაგებით რუსად ქცევა. კულტურული გარუსება ცარიტული სახელმწიფოს მშენებლობის არსენალში გვიან შევიდა და ის რეაქცია იყო არარუსების ნაციონალიზმებზე, რომელთა ძალა ალექსანდრე III-ისა და ნიკოლოზ II-ის მთავრობებმა პანიკური შიშის გამო უაღრესად გააზვიადეს.¹³⁰

ერთ-ერთი სფერო, სადაც ეროვნება რუსეთში განსხვავებულობის მნიშვნელოვანი ნიშანი გახდა, იყო განათლება, და აქაც, როგორც სხვაგან, ეროვნების პოლიტიკურად გამორჩეულ კატეგორიად გამოჩენა სახელმწიფო რელიგიური პოლიტიკის გაუთვალისწინებელი შედეგი იყო. როგორც ჯონ სლოკამი ვარაუდობს, „როდესაც საჯარო განათლების სისტემის დანერგვასთან ერთად ენის რაციონალიზების სახელმწიფო პოლიტიკა ხორციელდება, ეს ხელს უწყობს ეროვნების პოლიტიკას, ვინაიდან ამ დროს სახელმწიფო ეჩეხება ფესვგადგმულ სოციალურ აქტორებს (ამ შემთხვევაში, არამართლმადიდებლურ რელიგიურ იერარქიებს), რომლებსაც ღრმა ინტერესი აქვთ დაიცვან ალტერნატიული მსოფლმხედველობები“.¹³¹ როდესაც 1856 წლიდან 1885 წლამდე რუსეთში დაწყებით სკოლაში ჩარიცხვა ხუთჯერ გაიზარდა და 1914 წლისთვის კიდევ ოთხჯერ, სასწავლო ენის საკითხი მთავრობის მთავარი საზრუნავი გახდა. არარუსობა ენასთან უფრო და უფრო ასოცირდებოდა, ხოლო მთავრობა უფრო ხშირად ერეოდა რუსული განათლების სასარგებლოდ. 1887 წელს, მაგალითად,

¹²⁹ Isabelle Kreindler, "A Neglected Source of Lenin's Nationality Policy," *Slavic Review* 36, no. i (March 1977): 86-100.

¹³⁰ რუსიფიკაციის ტიპების შთამბეჭდავი განხილვისთვის, იხილეთ Edward C. Thaden, ed., *Russification in the Baltic Provinces and Finland, 1855—1914* (Princeton, N.J.: Princeton University Press, 1981), გვ. 7-9, *passim*.

¹³¹ John Willard Slocum, "The Boundaries of National Identity: Religion, Language, and Nationality Politics in Late Imperial Russia" (Ph.D. diss., University of Chicago, 1993), გვ. 10.

ბალტიისპირეთის რეგიონის დაწყებით სკოლებს, რომლებსაც პირველი ორი წლის განმავლობაში რუსულ, ესტონურ ან ლატვიურ ენაზე სწავლების უფლება ჰქონდათ, ბოლო წელს სწავლება ექსკლუზიურად რუსულ ენაზე მოეთხოვებოდათ, გარდა რელიგიისა და საეკლესიო სიმღერისა. "დაახლოებით 1910 წლისთვის," ამტკიცებს სლოკამი, "იმპერიულ რუსეთში ეროვნება პოლიტიკურად მნიშვნელოვანი კატეგორია გახდა... ენაზე დაფუძნებულმა ეროვნებამ რუსების არარუსებისგან განმასხვავებელი უმთავრესი კრიტერიუმის სტატუსი შეიძინა (და არარუსების ერთი ჯგუფის მეორისგან), რამაც ადრინდელი ოფიციალური განმარტება ჩაანაცვლა, რომლის მიხედვითაც რუსობისა და არარუსობის განმსაზღვრელი უპირველესი კრიტერიუმი რელიგია იყო."¹³² ძირითადად, მაგრამ არა მთლიანად, რელიგიაზე დაფუძნებული განსხვავების პოლიტიკიდან, რუსეთი გადავიდა პოლიტიკაზე, რომელშიც ეროვნება ისეთი მნიშვნელოვანი გახდა, როგორც არასდროს.

1905 წლიდან 1917 წლამდე, ორ რევოლუციას შორის პერიოდის უფრო ღია პოლიტიკურ ასპარეზზე, „ეროვნების საკითხი“ დიდი ინტერესის საგანი გახდა როგორც ხელისუფლებისთვის, ასევე ოპოზიციისთვის. ძალიან ხშირად, რუსები, რომლებიც ეთნიკურად არარუსულ რაიონებში ცხოვრობდნენ, როგორც დასავლეთის პროვინციები, უკრაინა ან ამიერკავკასია იყო, მძვინვარე ნაციონალისტები იყვნენ. ისინი ნაციონალისტურ პარტიაში იყვნენ წარმოდგენილები, რომელსაც დასავლეთ პროვინციებში აღზევების ხანა ჰქონდა, ხოლო შოვინისტი პუბლიცისტები, როგორც ვასილი ველიჩკო იყო, თავისი ანტისომხური დიატრიხებით — ამიერკავკასიაში გავლენიანები გახდნენ.¹³³ პრესაში ფართოდ წაკითხულმა დებატმა, „კონსერვატორ ლიბერალ“ პიოტრ სტუვესა და უკრაინელ აქტივისტს ბოჰდან კისტიაკივსკის შორის, გამოაშკარავა სახელმწიფოებრივი და ასიმილაციური ნაციონალიზმი, რომელიც საფუძვლად ედო რუსეთის პოლიტიკურ აზროვნებას, მათ შორისაც კი, ვინც თვითმპყრობელობას ეწინააღმდეგებოდა.¹³⁴ მაშინ, როცა რუსი ნაციონალისტები ამტკიცებდნენ, რომ უკრაინელები და ბელარუსები ერთი რუსი ხალხის მცირე შტოები იყვნენ, უკრაინელი ნაციონალისტები განსხვავებულ კულტურის საფუძველზე ცალკე ერად აღიარებაზე აცხადებდნენ პრეტენზიას. კონსერვატორ რუსებსა და არარუს ხალხებს შორის სხვადასხვა ეთნიკური ნაციონალიზმების განვითარების პერიოდში, მთავრობამ ეროვნების საკითხებზე კონფერენციების სერია მოაწყო, ერთი პანთურქიზმის შესახებ, ხოლო მეორე უწყებათაშორისი კონფერენცია ინოროდცების [инородцы] განათლების შესახებ. ამ უკანასკნელი კონფერენციის ორგანიზატორები იმედოვნებდნენ, რომ რუსულენოვანი სახელმწიფო სკოლები ზოგადსაგანმანათლებლო სისტემაში ინოროდცებს მოიზიდავდნენ,

¹³² იქვე, გვ. 4-5

¹³³ Robert Edelman, *Gentry Politics on the Eve of the Russian Revolution: The Nationalist Party* (New Brunswick, N.J.: Rutgers University Press, 1980); Ronald Grigor Suny, *The Making of the Georgian Nation* (Bloomington: Indiana University Press in association with the Hoover Institution Press, 1988; 2d ed., Bloomington: Indiana University Press, 1994). გვ. 142

¹³⁴ Susan Heuman, *Kistiakovsky: The Struggle for National and Constitutional Rights in the Last Tears of Tsarism* (Cambridge, Mass.: Harvard Ukrainian Research Institute, 1998), გვ.130-146

რათა რუსული „როგორც სახელმწიფო ენა“ გავრცელებულიყო, თუმცა იძულებითი გარუსება თავიდან უნდა ყოფილიყო აცილებული. ეს ამკარად იყო „ილმინსკის სისტემაზე“ უარის თქმა იყო, ახლა სწავლა, გარდა დაწყებითი სკოლის პირველი და შესაძლოა, მეორე წლისა, საბოლოოდ რუსულად უნდა წარმართულიყო. მიზანი აღარ იყო ჩამორჩენილი ხალხების, მართლმადიდებლურ რელიგიასთან ერთად, საკუთარ კულტურაში განვითარება, არამედ არარუსების მაქსიმალურად ასიმილაცია. კონფერენცია დაუპირისპირდა „ცალკეულ ხალხებს [народности] შორის თვითცნობიერების ხელოვნურ გაღვივებას, რომლებიც თავიანთი კულტურული განვითარებისა და რიცხოვრივი ზომის მიხედვით დამოუკიდებელ კულტურას ვერ შექმნიან“.¹³⁵ როგორც კონფერენციის ანგარიში ასკვნის, „სახელმწიფოებრივი ერთიანობის თვალსაზრისით იდეალური სკოლა იქნებოდა ერთნაირი სკოლა იმპერიის ყველა ხალხისთვის [народности], სახელმწიფო ენაზე სწავლებით, რომელიც ესწრაფვის არა ცალკეული ერების [национальности] ჩახშობას, არამედ მათში, ისევე, როგორც აბორიგენ რუსებში, რუსეთის სიყვარულის და მისი ერთიანობის, მთლიანობის [целость] და განუყოფლობის ცნობიერების კულტივირებას“.¹³⁶

სახელმწიფო მზად იყო თავისი რესურსები მართლმადიდებლობასა და რუსულ ენაზე მოსახლეობის მოსაქცევად გამოეყენებინა, მაგრამ, როგორც ჩანს, გააცნობიერა, რომ „იმპერიის მოსახლეობის უმრავლესობა არ იყო და არც არასდროს იქნებოდა ჭეშმარიტი რუსი“.¹³⁷ რელიგიური საზღვრები რეალური იყო და უნდა დაცულიყო, ხოლო ნაციონალიზმი და სეპარატიზმი უნდა აღკვეთილიყო. მიუხედავად იმისა, რომ რელიგია რუსებისა და არარუსების გარჩევის მთავარი ნიშანი იყო, ცარიზმის ბოლო წლებში ენა და ეროვნება განსხვავების მნიშვნელოვანი ნიშნები გახდა, ხოლო რელიგიაზე დაფუძნებული განსხვავებიდან ენაზე დაფუძნებულზე გადასვლა, თუმცა არასრულად, სლოკამის სიტყვებით, „დისკურსული რეჟიმის ტრანსფორმაცია იყო, რუსებსა და არარუსებს შორის პოლიტიკურ საუბრებში რევოლუციური წყვეტა“.¹³⁸

ცარიზმის ბოლო წლებში ცარისტული მაღალი კლასები და სახელმწიფო ხელისუფლება გაიყო მათ შორის, ვისაც აღარ სურდა ხელი შეეშალა თვითმპყრობელობისა და თავადაზნაურობის ტრადიციული ინსტიტუტებისთვის და მათ, ვინც ცდილობდა სახელმწიფოს რეფორმირებას, რათა წარმოედგინა ისინი, ვინც არ იყვნენ წარმოდგენილები, შეემცირებინა ან აღმოეფხვრა სოციალური და ეთნიკური დისკრიმინაცია და ერის მშენებლობისკენ აეღო გეზი.¹³⁹ მაგრამ სოციალური თანასწორობისადმი ან ეთნიკური ნეიტრალურობისადმი წინააღმდეგობამ ერის შექმნის პროცესი გადატვირთა. დასავლეთის პროვინციებში არჩევითი ზემსტვას [земства]

¹³⁵ იქვე, გვ. 214.

¹³⁶ იქვე, გვ. 216

¹³⁷ იქვე, გვ. 256

¹³⁸ იქვე, გვ. 258

¹³⁹ დაპირისპირებული შეხედულებები იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა ამენდეს თანამედროვე რუსული პოლიტიკური საზოგადოება, განხილულია ნაშრომში Joshua A. Sanborn, "Drafting the Nation: Military Conscription and the Formation of a Modern Polity in Tsarist and Soviet Russia, 1905-1925" (Ph. D. diss., University of Chicago, 1998).

დაარსების ცნობილმა მცდელობამ პოლიტიკური კრიზისი გამოიწვია. თუ ქონებით წარმომადგენლობის ჩვეული პრინციპი იქნებოდა დაცული, ადგილობრივი ძალაუფლება პოლონელი მემამულეების ხელში გადავიდოდა, მაგრამ როცა ეთნიკური კურიაზე დაფუძნებული წარმომადგენლობითი სისტემა იქნა შემოთავაზებული, კანონი დუმის კონსერვატიულ ზედა პალატაში ჩავარდა, რადგან ის ქონებით წარმომადგენლობას უქმნიდა საფრთხეს. პოლონეთის ქალაქებში მუნიციპალური საკრებულოების შესახებ კანონი ანტისემიტი პოლონელების წინააღმდეგობის გამო ჩავარდა, რომლებსაც მუნიციპალურ საკანონმდებლო ორგანოებზე ებრაელთა გავლენის ზრდის ემინოდათ. 1912 წელს რუსმა ნაციონალისტებმა მცირე ხნით გაიმარჯვეს, როცა უკრაინელებითა და კათოლიკეებით დასახლებული ხოლმის (ხელმის) რეგიონი, ისტორიულ პოლონეთის სამეფოს ჩამოართვეს და ცალკე პროვინციად აქციეს.¹⁴⁰ ამ სამი შემთხვევიდან თითოეულში, დისკუსიაზე ეროვნებისა და კლასის პარტიკულარისტული განსხვავებები დომინირებდა და მონაწილეებს ყოფდა. საერთო ერისადმი ერთგულების უნივერსალისტური პრინციპები ძირითადად დაიკარგა.

იძულებითი პენსიაზე გასვლისას, ყოფილმა პრემიერმინისტრმა სერგეი ვიტმა, თვითმპყრობელობის გამორჩეულად ღრმა ანალიტიკოსმა, გამჭრიახად აღნიშნა ძირითადი სირთულეები, რომლებსაც XX საუკუნეში შესვლისას ტრადიციული იმპერიები აწყდებოდა. თავის „Записки“-ში (მოგონებებში) ვიტმა აღნიშნა, რომ რუსული საზოგადოების მზარდ პოლიტიკურ ცნობიერებასთან ერთად, ცარის „არა მხოლოდ შეუფერებელი, არამედ ფატალურად მცდარი“ ქმედებები თვითმპყრობელობას შეუძლებელს ხდიდა.¹⁴¹ ცენტრის წარუმატებლობებს და მასების მობილიზებას, ვიტმა ნაციონალიზმის მიერ წარმოქმნილი საფრთხის ფაქტორიც დაუმატა.

სასაზღვრო მხარეებმა... შურისძიების გზას მიმართეს უაღრესად რეალური დისკრიმინაციის გამო, რომელიც წლების განმავლობაში გაგრძელდა, ისევე როგორც ზომები, რომლებიც სრულიად გამართლებული, მაგრამ შეუთავსებელი იყო დაპყრობილი ეთნიკური ჯგუფების (инородцы) ეროვნულ გრძნობებთან (национальное чувство)... ჩვენი ათწლეულების პოლიტიკის დიდი შეცდომა არის ის, რომ ჩვენ დღესაც არ გვესმის, რომ პეტრე დიდის და ეკატერინე დიდის დროიდან რუსეთი არ არსებობდა. იყო რუსეთის იმპერია. როდესაც მოსახლეობის 35 პროცენტზე მეტი ეთნიკურია, ხოლო რუსები დაყოფილები არიან დიდრუსებად, პატარა რუსებად და თეთრ რუსებად, შეუძლებელია XIX და XX საუკუნეებში ისეთი პოლიტიკის გატარება, რომელიც უგულებელყოფს რუსეთის იმპერიაში შემავალ ეროვნებათა სხვა ეროვნულ თავისებურებებს (национальные свойства), მათ რელიგიებს, მათ ენებს და ა.შ. ასეთი იმპერიის დევიზი არ შეიძლება იყოს "მე მათ ყველას ჭეშმარიტ რუსებად

¹⁴⁰ Weeks, *Nation and State*, გვ. 131—192.

¹⁴¹ Francis C. Wcislo, "Witte, Memory, and the 1905 Revolution: A Reinterpretation of the Witte Memoirs," *Revolutionary Russia* 7, no. 2 (December 1995): 175.

ვაქცევ" — ეს არ არის იდეალი, რომელიც რუსეთის იმპერატორის ყველა ქვეშევრდომს შთააგონებს, გააერთიანებს მათ მოსახლეობას და ერთ პოლიტიკურ სულად აქცევს.¹⁴²

ცარიზმს არასოდეს შეუქმნია ერი მთელ იმპერიაში ან თუნდაც ეროვნულობის განცდა რუსეთის დომინანტურ მოსახლეობაში, მიუხედავად იმისა, რომ ის, რაც სხვების იმპერიალიზმს ჰგავდა, ქვეყნის მმართველებისთვის "სახელმწიფოებრივი და ერის მშენებლობის უფრო დიდი პროექტების ნაწილი"¹⁴³ იყო. ცარისტულმა რუსეთმა ძალიან კარგად მოახერხა სახელმწიფოს მშენებლობა და იმპერიის შექმნა; თუმცა, ამ იმპერიაში მან ვერ შეძლო მრავალეთნიკური "რუსი ერი" მშენებლობა. ცარიზმის ისტორია არის იმპერიის ისტორია, რომელიც ზოგჯერ ერის-მშენებლობასაც ეწეოდა, თუმცა სახელმწიფო პრაქტიკა ყოველთვის დამაბულობაში იყო იმპერიის სტრუქტურებთან და დისკურსებთან. მისი იმპერიული მხარე ზღუდავდა, თუ არ აღკვეთდა, ეროვნულს, ისევე როგორც ეროვნული ძირს უთხრიდა სახელმწიფოს სტაბილურობასა და ლეგიტიმურობას. სანამ მოსკოვი და იმპერიული რუსეთი წარმატებით ახდენდნენ მათი იმპერიის ძირითადი რეგიონების ერთ ერში ინტეგრირებას, რომლებსაც ხშირად *внутренние губерния*-ს უწოდებენ — მრავალფეროვანი ადმინისტრაციული პრაქტიკები, ასევე ადგილობრივი ეთნიკური ჯგუფების კომპაქტურობა და დასახლების პოლიტიკის შედეგები, ინარჩუნებდა და აძლიერებდა განსხვავებებს რუსეთის ბირთვისა და არარუსულ პერიფერიებს შორის.¹⁴⁴ ცენტრალური რუსეთის მართლმადიდებლური სლავური მოსახლეობის (ვლადიმირი, ნოვგოროდი და სხვა აპანაჟი სახელმწიფოები) შედარებით წარმატებით დაპყრობისა და ასიმილაციის შემდეგ, მოსკოვმა მიზნად დაისახა "დაებრუნებინა" არასლავი, არამართლმადიდებლური მოსახლეობის მიწები, როგორცაა, ყაზანი. ზოგიერთ მხარეში ცარისტულმა რეჟიმმა კულტურული იდენტობების ტრანსფორმაციის გზით მოახერხა ლოიალური ქვეშევრდომების ჩამოყალიბება, თუმცა მისი პოლიტიკები არათანმიმდევრული და უაღრესად არაერთგვაროვანი იყო. მას არც ეფექტური სამოქალაქო ეროვნული იდენტობა შეუქმნია და ვერც ეთნიკური ერი ჩამოაყალიბა (ძალიან არც უცდია ჩამოყალიბება), რუსებშიც კი. ლოკალიზმი, რელიგიური იდენტობა და რუსეთის ყოვლისმომცველი კონცეფცია, როგორც ცართან და სახელმწიფოსთან და არა მთლიანად ხალხთან დაკავშირებული, აფერხებდა იმპერიის შიგნით ზეკლასობრივი, ზეკულტურული ერის წარმოსახვას. ცარისტულმა ხელისუფლებამ, შეიძლება ითქვას, ვერც კი მოახერხა გლეხების რუსებად გადაქცევა.¹⁴⁵ არ არსებობდა პროგრამა, როგორც ეს საფრანგეთში იყო, მილიონობით ადამიანის განათლებისა და ერის იდეის გარშემო გაერთიანებისთვის. ცარისტული რუსეთის გამოცდილება არასრული ერის მშენებლობის გამოცდილება იყო. რუსული შემთხვევის ასახსნელად დამაფიქრებელია პარალელები ინგლისის წარმატებასთან ბრიტანეთის ინტეგრირებაში და ირლანდიაში

¹⁴² იქვე, გვ. 176

¹⁴³ Beissinger, "The Persisting Ambiguity," p. 2.

¹⁴⁴ კერძოდ, ეს არგუმენტი კენეტ ჩერჩს ეკუთვნის, რომელმაც ფრთხილად და კრიტიკულად წაიკითხა ამ ნაშრომის ადრინდელი ვერსია.

¹⁴⁵ ეს ხედვა რომან შპორლუკმა შემომთავაზა.

წარუმატებლობასთან, ან საფრანგეთის წარმატებასთან "ექსკლუზივის" ნაციონალიზებაში და წარუმატებლობა ალჟირში (როგორც ეს იან ლუსტიკმა განიხილა).¹⁴⁶

რუსეთი კომპოზიციური სახელმწიფო იყო, არათანაბარი ურთიერთობებით "რუსულ" მეტროპოლიას — რომელიც თავად იყო მრავალეთნიკური, მაგრამ კულტურულად გარუსებული მმართველი ელიტით — და არარუს მოსახლეობას შორის. მმართველი ინსტიტუციის ნაციონალიზებისკენ მიმართული ფრაგმენტული მცდელობების მიღმა, როგორც მეტროპოლიასა და პერიფერიას შორის დისკრიმინაციისა და უთანასწორობის პროგრამებმა, ასევე რეზისტენტულმა კულტურებმა და არარუსთა ნაციონალიზების კონტრდისკურსებმა — ხელი შეუშალეს რუსი ერის ერთიან "წარმოსახვით საზოგადოებაში" მოსახლეობის გაერთიანებას და ინკორპორირებას. მიუხედავად იმისა, რომ ცარისტული რუსეთი არა პერიფერიებიდან მომდინარე ნაციონალიზების გამო დაიშალა, არამედ ცენტრის თანდათანობითი შესუსტებისა და ჩამოშლის გამო, იმპერიული იდეის ლეგიტიმურობა 1917 წლისთვის მეტწილად უკვე გამქრალი იყო. ელიტებმა შეწყვიტეს მონარქიის მხარდაჭერა, ხოლო უფრო ფართოდ, რეჟიმი ზოგადად გაუცხოებული იყო უდიდეს ქალაქებში სტრატეგიულად განლაგებული ინტელიგენციისა და მუშებისგან. ინდუსტრიალიზაციის პოლიტიკამ და შეზღუდულმა რეფორმებმა 1905 წლის შემდეგ ცარისტულ საზოგადოებაში ახალი სოციალური ჯგუფები შექმნა, რომლებიც წარმომადგენლობას იმ პოლიტიკურ წესრიგში მოითხოვდნენ, რომელშიც მათ ცარი უარს ეუბნებოდა. ახალ მსოფლიოში, სადაც ცივილიზაციის დისკურსები ორიენტირებული იყო ერზე, კონსტიტუციონალიზმზე, ეკონომიკურ განვითარებაზე (რომელსაც ცარიზმი აფერხებდა) და (ზოგიერთ კუთხეში) სოციალიზმზე და რევოლუციაზე, ცარიზმის პოლიტიკური სტრუქტურა (თვითმპყრობელობა) სულ უფრო მეტად განიხილებოდა დაბრკოლებად შემდგომი წინსვლისთვის.

ბოლო წლებში დინასტია სულ უფრო და უფრო არაკომპეტენტური და ზოგჯერ სახიფათოც ჩანდა. როდესაც რუსებმა პირველ მსოფლიო ომში დამარცხებები და კოლოსალური დანაკარგები იწვნის, იმპერატორს და მის მეუღლეს, რომლებიც რუსეთისგან დაშორებულებად და უცხოებადაც კი მიიჩნეოდნენ ლეგიტიმაციის მყიფე აურაც წაერთვათ. ის, რაც შორეულ წარსულში დინასტიას საკუთარ ძლიერებად ესახებოდა, ხალხისგან მათი განსხვავება, ახლა საბედისწერო დაბრკოლებად იქცა. ელიტური პატრიოტიზმი, უკმაყოფილო არარუსული ნაციონალიზმები და გლეხების დადლილობა აუტანელი მსხვერპლის გამო იმ საქმისთვის, რომელშიც ისინი თავს ვერ ხედავდნენ მონარქიის მოსარღვევად მომაკვდინებლად შეერწყა ერთმანეთს. იმპერიის დიფერენციაციისა და იერარქიის პრინციპები შეუთავსებელი იყო დემოკრატიული წარმომადგენლობისა და თანასწორი მოქალაქეობის მოდერნულ იდეებთან, რომლებმაც ინტელიგენციისა და ურბანული საზოგადოების დიდ ნაწილის თავები დაიპყრო. როდესაც მონარქიამ ომის გამოცდა ვერ

¹⁴⁶ Ian Lustick, *State-Building Failure in British Ireland and French Algeria* (Berkeley: Institute of International Studies, University of California at Berkeley, 1985).

ჩააზარა, მისი სახალხო სიყვარულისა და ლეგიტიმაციის ბოლო წყაროც დაიწრიტა, 1917 წლის თებერვლის დღეების გადამწყვეტ გამოცდაზე, მისი მმართველობის წინააღმდეგ სახალხო წინააღმდეგობის ჩასახშობად, ნიკოლოზ II-მ ერთადერთ ქალაქში სამხედრო მხარდაჭერაც კი ვერ იპოვა.